საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 ოქტომბერი **ოთხშაბათი** 2011
№246 (13543) ფასი 80 თეთრი

# მუმუ ალაპარაკდა

## დავით მუჯირის ღია წერილი და ბევრი



ქეცბაიამ და სიჭინავამ ქართველებს ახალი ფენომენი შემოგვთავაზეს - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის გამოყენება...

ტოპმოლერი გავაგდეთ, ცუდი შედეგი ჰქონდა, ქეცბაიას კი ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გავუფორმეთ და მომავალ, შედარებით სუსტ ჯგუფში შედეგს არ ვითხოვთ. სადაა ლოგიკა?!

არსად მსმენია, შენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყო, ქვეყანაში ფეხბურთელების დეფიციტს წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზად მიიჩნევდე, საკუთარ სამშობლოში წარმოუდგენლად მაღალ გასამრჯელოს იღებდე და ამ დროს სხვა ქვეყანაში საფეხბურთო აკადემიას ხსნიდე.



# რატომ?

2-3

ქეცბაიამ კარგად იცის, ნებისმიერი კონფლიქტი, რომელმაც გუნდს საბედისწეროდ ავნო, მწვრთნელის შეცდომად ითვლება, და ამიტომ იგი ყველგან და ყველაში ეძებს წაგების მიზეზებს, საკუთარი თავის გარდა.

იქნებ, ასე მაინც იგრძნონ პასუხისმგებლობა შედეგზე; იქნებ, სუსტ ჯგუფში 10 ქულის და მე-5 ადგილის წარმატებად აღარ უწოდონ და იქნებ, იმასაც მიხვდნენ, რომ მხოლოდ 9-0-1 განლაგებით და ტაქტიკის საერთოდ არარსებობით მომავალი არ გვაქვს და ორ წელიწადში ერთი შემთხვევითი გამარჯვება საქართველოსთვის საკმარისი არ არის.

10 ქულით მეხუთე ადგილზე გავედით, 10 ტურში მხოლოდ 7 გოლი გავიტანეთ, უპერსპექტივო ფეხბურთი ვაჩვენეთ და მთავარმა მწვრთნელმა ეს ყველაფერი დადებითად შეაფასა, რაც ქართველი გულშემატკივრის დაცინვად მიმაჩნია.

როდესაც ქეცბაიამ საქმეს ხელი მოჰკიდა და პასუხისმგებლობა აიღო თავის თავზე, მშვენივრად იცოდა, ვისთან ერთად მოუწევდა დასახული მიზნების განხორციელება. მისი განცხადებები, რომ ფეხბურთელები არ გვყავს, მინიმუმ, არაკორექტულია, ჩემი ხედვით კი, საკუთარი გუნდის უპატივცემულობაა.

იქნებ, თვალები გაახილონ და უარი თქვან ამ იდეაზე, ყველა ნაკრებმა ქეცბაიას სტრატეგიით და „ტაქტიკით" უნდა ითამაშოს. იქნებ, შერცხვეთ და ლატვიასთან სამინაო მარცხის შემდეგ არ გვითხრან, 10 წელიწადია, ასეთი ფეხბურთი არ გვიჩვენებია და ასე არც ერთი გუნდისთვის არ „გადაგვირბენია". იქნებ, იმავე მალტასთან ფრე ლატვიასთან დამარცხებას აღარ მაწერონ...



მარცხნიდან მეორე ვალერი ლიპარტელიანი

## ვალერის არაბული ოქრო

10

ორი ქართველი აბუ დაბის კვარცხლბეკზე



MIDI OLYMPIQUE

PAPA EST DE RETOUR

## მიდი ოლიმპიკი:

# მიდი, გულივერ!

მამუკა გორგოძე მონპელიეში დაბრუნდა, ბაიონს დაჰკრა და ამოაყირავა

13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● მოყვარეს პირში უძრახე...

## დავით მუჯირის ღია წერილი

# ქეცბაიას გზით ვერ გავფრინდებით


დავით მუჯირი

...თუ არა და, დავიძინოთ ყველამ... 3 წელიწადი, ამდენივე ხნით დავკეტოთ „ბორის პაიჭაძე“ და „მიხეილ მესხი“. დავიძინოთ 2014 წლის სექტემბრამდე, როდესაც შემდეგი შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი გვექნება...

*მოგესალმებით ყველას. ქართულ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენები იმდენად უსამართლოდ მეჩვენება, იძულებული გავხდი, ასეთი სახის მიმართვა გამეკეთებინა.*

### ეს გულშემატკივრის დაცინვაა

როგორც ქართული ფეხბურთის გულშემატკივარმა, თავს უფლება მივეცი, საქართველოს ნაკრების თავკაცისა და ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ პრეტენზიები გამოვთქვა და ქართული ფეხბურთის უკუსვლისკენ მიმართული მათი რამდენიმე გამონათქვამი და მიღებული გადაწყვეტილება გავაკრიტიკო.

ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სუსტი ჯგუფი გასულ შესარჩევ ციკლში შეგვხვდა. ამ ჯგუფში კატასტროფული შედეგისა და მთელი ციკლის განმავლობაში ნაჩვენები „ანტიფეხბურთის“ შემდეგ ფედერაციის თავკაცმა მიიღო გადაწყვეტილება, მთავარ მწვრთნელთან გაეფორმებინა ახალი ოთხწლიანი კონრაქტი და თან, როგორც თავად აცხადებს, გასული ორი წლის მსგავსად, მომდევნო სამი წელი შედეგს არ მოსთხოვს. თუმცა, ბატონი დომენტის გადაწყვეტილებაზე მეტად თემურ ქეცბაიას კომენტარებმა დამწყვიტა გული, რომლებზეც დაწვრილებით ქვემოთ მოგიყვებით.

ქეცბაიამ და სიჭინავამ ქართველებს ახალი ფენომენი შემოგვთავაზეს - მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის გამოყენება, რადგან, მაინც ძლიერი ჯგუფიაო! თითქოს წინასწარ იცოდნენ მომდევნო შესარჩევი ციკლის კენჭისყრის შედეგები და გარანტია ჰქონდეთ იმისა, რომ ისევ ესპანეთ-საფრანგეთის დარი ძლიერი გუნდები არ შეგვხვდება. ან თუნდაც „იოლი“ ჯგუფიდან გასვლა ჰქონდეთ გარანტირებული. და, ნეტავ, რას მიიჩნევენ „იოლ“ ჯგუფად, როდესაც იმაზე სუსტი ჯგუფი, რომელშიც ბოლო შესარჩევ ციკლში მოვხვდით, არ არსებობდა. არადა, შეგახსენებთ, 10 ქულით მეხუთე ადგილზე გავედით, 10 ტურში მხოლოდ 7 გოლი გავიტანეთ, უპერსპექტივო ფეხბურთი ვაჩვენეთ და მთავარმა მწვრთნელმა ეს ყველაფერი დადებითად შეაფასა, რაც ქართველი გულშემატკივრის დაცინვად მიმაჩნია. ქეცბაიას მხრიდან მართებული იქნებოდა და სწორად ჩავთვლიდი, თუ იგი გამოვიდოდა, აღიარებდა შეცდომებს, წარუმატებლად მიიჩნევდა ციკლს, წარმატებას უსურვებდა ნაკრებს და დატოვებდა თანამდებობას.

### მწვრთნელ ქეცბაიას მინუსები - სად არის ტაქტიკა?!

სამწუხაროდ, მწვრთნელ ქეცბაიას უამრავი მინუსი აღმოაჩნდა, უამრავი შეცდომა დაუშვა შემადგენლობის შერჩევაში, თამაშებისთვის მზადების პროცესში, შეცვლებში, ფეხბურთელებთან ურთიერთობაში... რაც შეეხება ტაქტიკას, ჩემი აზრით, მის არსენალში ის საერთოდ არ მოიპოვება, რადგან, პირადად მე, „მცველთა და დაცვითი ფუნქციების ფეხბურთელების ჭარბი რაოდენობით მოედანზე გამოყვანას და იქნებ გაგვიმართლოს და შემთხვევით ბოლო წუთზე გოლი გავიტანოთ“-ს, ტაქტიკას ვერ ვუწოდებ.

გამართლებაზე გამახსენდა: არ გვიმართლებსო, გაიძახის ქეცბაია ეს ბოლო პერიოდია, რასაც გავახსენებ მასაც და გულშემატკივარსაც. 1. კენჭისყრისას ისე გაგვიმართლა, სიზმარშიც ვერ ვინატრებდით და უსუსტესი ჯგუფი შეგვხვდა; 2. თემურის სადებიუტო შეხვედრაში ესტონეთთან ბოლო წამზე სირაძის თავურმა გაგვახარა; 3. ჯგუფის აუტსაიდერ მალტასაც ასევე ბოლო წამზე, ისევ სირაძის თავურით გაჭირვებით გამოვტყუეთ გამარჯვება; 4. ხორვატიასთან თბილისში ბოლო წუთზე პირველად (!!!) დავარტყით კარში და კობიაშვილის გოლით გავიხარეთ; 5. ხორვატიაში კარის მიმართულებით გაგზავნილი ერთადერთი (!!!) ბურთი კანკავას თავიდან მოწინააღმდეგის ბადეში აღმოჩნდა.

აღარ კმარა? და ჩვენ რით ვუპასუხეთ ხორვატიას? იაშვილის მაგივრად დაუშვილი, დაცვაზე ორიენტირებული კიდევ ერთი ნახევარმცველი შემოვიყვანეთ და „დავტვირთეთ“ ჩვენი საჯარიმო. ამდენი გამართლების შემდეგ 2014 წლის შესარჩევში რონალდომ ყველაზე ძლიერი ჯგუფი შეგვახვედრა. თუმცა ეს ფაქტი ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობამ თავის სასიკეთოდ შემოაბრუნა, ძლიერი ჯგუფია, შედეგს ნუ მოგვთხოვთ და 2014 წლის სექტემბერში რომ ციკლი დაიწყება, ანუ 3 წლის შემდეგ, მაშინ ვსინჯავთ რამესო.

ფაქტია, ამაზე ძლიერი ჯგუფი იყო ტოპმიოლერის დროს, სადაც, ესპანეთის მსგავსად, მსოფლიოს ჩემპიონი იტალია, ვიცე-ჩემპიონი საფრანგეთი, 1/4-ფინალისტი უკრაინა და შოტლანდია გვყავდა და, ქეცბაიას გუნდის მსგავსად, ჯგუფში 10 ქულა ავიღეთ. მალტის დონის გუნდთან, ფარერებთან, 2 მატჩში 9 გოლი გავიტანეთ, როცა ქეცბაიას გუნდმა 10 მატჩში მხოლოდ 7-ის გატანა მოახერხა.

ტოპმიოლერი გავაგდეთ, ცუდი შედეგი ჰქონდაო, ქეცბაიას კი ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი გავუფორმეთ და მომავალ, შედარებით სუსტ ჯგუფში შედეგს არ ვთხოვთ. სადაა ლოგიკა?!

### ჩვენ არ გვყავს ფეხბურთელები?!

ვინმე იტყვის, ეს ქართველიაო. გიპასუხებთ - ქეცბაია, ტოპმიოლერის, კუპერის და კიდევ ბევრი სხვა მწვრთნელის მსგავსად, დაქირავებული, მაღალანაზღაურებადი მწვრთნელია, რომელიც შედეგზეა პასუხისმგებელი და მისი არქონის შემთხვევაში სხვა მიზეზებზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფეხბურთელების დეფიციტზე, გადაბრალება არ ეპატიება.

» მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

« მე-2 გვერდიდან

ავხსნი რატომ - როდესაც ქეცბაიამ საქმეს ხელი მოჰკიდა და პასუხისმგებლობა აილო თავის თავზე, მშვენივრად იცოდა, ვისთან ერთად მოუწევდა დასახული მიზნების განხორციელება. მისი განცხადებები, რომ ფეხბურთელები არ გვყავს, მინიმუმ არაკორექტული, ჩემი ხედვით კი საკუთარი გუნდის უპატივცემულობაა.

ანუ, რა გამოდის? ის, რომ კალაძეს ეუბნება, კახა, შენ კი მოიგე 2 ჩემპიონთა ლიგა და სისტემატურად კი თამაშობ სერია A-ში, მაგრამ ესტონელებს (რომლებიც სერია A-ს სიზმარშიც ვერ ნახულობენ) უკეთესი მცველები ჰყავთო? კობიაშვილს ეუბნება, ლევან, შენ კი თამაშობ ბუნდესლიგაში 15 წელიწადია და შენს პოზიციაზე ახლაც გამორჩეული ხარ, მაგრამ მე მაინც ლატვიის (სამწუხაროდ, გვარებიც არ ვიცი) ფეხბურთელები მირჩევნიაო? რევიშვილს ეუბნება, კი ხარ დღეს რუსეთის ძლიერი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, მაგრამ მე მაინც რუსეთის მეორე ლიგის „ხიმკის" სომეხთა მეკარე ბერეზოვსკი მირჩევნიაო? რა გამოდის, რომ ესტონეთის, ლატვიის და სომხეთის ეროვნული ჩემპიონატები და კლუბები საქართველოსაზე ძლიერია?

არა, არა და არა. ანუ მორიგ ქართულ ფენომენთან გვაქვს საქმე - იგებს მწვრთნელი, აგებენ ფეხბურთელები. შეიძლება, არ გვყავს ისეთი ფეხბურთელები, როგორიც ესპანეთს, ჰოლანდიასა და გერმანიას, მაგრამ ჩვენ ხომ თემურს მსოფლიოს ჩემპიონობას არ ვთხოვთ?

## გოგუასთან კონფლიქტი და რას ერჩის სირაძეს?

კიდევ ერთ გაუგებარ მომენტს უნდა შევეხო. სელექცია და ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახების კრიტერიუმები, რომლებიც მწვრთნელის ხასიათთან ერთად იცვლება. ერთ მაგალითს მოვიყვან. გოგუა-ქეცბაიას კონფლიქტის განხილვა ცალმხრივად მოხდა, მოვისმინეთ მხოლოდ ქეცბაიას აზრი, რომელმაც დიმა ობოლაძის გადაცემაში გოგუა „მიწასთან გაასწორა". თემური კატეგორიულად უარყოფს კონფლიქტს და აცხადებს, ისრაელთან გასამართ უმნიშვნელოვანეს შეხვედრამდე ორი დღით ადრე გოგუა იმიტომ „გაუშვა" ნაკრებიდან, რომ გოლები ვერ გაჰქონდაო.

მიუხედავად იმისა, თუ ვინაა დამნაშავე, გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალდებული იყო, უპირველესად, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ემოქმედა და ნებისმიერი (თუნდაც ურჩი) ფეხბურთელის მიმართ პრეტენზია მატჩის შემდეგ გამოეთქვა. კარგი, ვთქვათ, აქ ქეცბაიას დავუჯერეთ, მაშინ რას მივაწეროთ ის ფაქტი, რომ სირაძე, რომელმაც ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და რამდენიმეჯერ სირცხვილს ბოლო წამებზე გადაგვარჩინა, ნაკრებს მიღმა რჩება? დათოს ბევრი გოლი რომ გააქვს, ეს არ ითვლება?! ალარაფერს ვამბობ შეტევის ხაზის (მათ შორის, უშუალოდ თავდამსხმელების) იმ მოთამაშეებზე, რომლებსაც შესარჩევი ციკლის დასრულებამდე იძახებდა მიუხედავად იმისა, რომ გოგუას მსგავსად არც ერთი გოლი არ გაუტანიათ. საქმე კი იმაშია, რომ ქეცბაიამ კარგად იცის, ნებისმიერი კონფლიქტი, რომელმაც გუნდს საბედისწეროდ ავნო, უკვე მწვრთნელის შეცდომად ითვლება და ამიტომ იგი ყველგან და ყველაში ეძებს წაგების მიზეზებს, საკუთარი თავის გარდა.

## მოთამაშეთა დეფიციტია და აკადემიას კვიპროსში ხსნი?

მე პირადად არსად მსმენია, შენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყო, ქვეყანაში ფეხბურთელების დეფიციტს წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზად მიიჩნევდე, საკუთარ სამშობლოში წარმოუდგენლად მაღალ გასამრჯელოს იღებდე და ამ დროს სხვა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში კვიპროსზე, საფეხბურთო აკადემიას ხსნიდე. ეს მაშინ, როდესაც ჩვენთან კატასტროფული პირობებია ბავშვთა და, საერთოდ, ფეხბურთში; იმ დროს, როდესაც ბატონმა თემურმა ჟურნალისტების და კამერების თანდასწრებით „სპექტაკლი" დადგა და სასტიკად და უხეშად გააკრიტიკა ვეტერანთა თაობა, ქართულ ფეხბურთზე და მის განვითარებაზე არ ზრუნავთო, თავად 3 თვეში იზრუნა კვიპროსული ფეხბურთის განვითარებაზე.

და კიდევ, თუ ქეცბაია თანამდებობაზე სიმბოლურ ან თუნდაც დაბალ ხელფასზე მუშაობს მხოლოდ ქართული ფეხბურთის სიყვარულისა და მის მომავალზე ზრუნვის გამო, მით უფრო გამჭვირვალე და ყველასთვის ცნობილი უნდა იყოს ეს ფაქტი. ამიტომ, საფეხბურთო სამყაროში არსებული აზრი, რომ ქეცბაიას წლიური გასამრჯელო მინიმუმ შვიდნიშნა რიცხვია, უფრო ჰგავს სიმართლეს და მაძლევს საფუძველს, მას „წარმოუდგენლად მაღალი" ვუწოდო.

## ვეტერანთა მოშორებით წარუმატებლობა გამართლდება

მინდა, მივმართო გულშემატკივართა იმ ნაწილს, რომელიც მიიჩნევს, რომ ნაკრებში ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკლებად იხარჯება, ვიდრე საკუთარ კლუბში. მერწმუნეთ, საქართველოს ნაკრებში არ არის ფეხბურთელი, რომლისთვისაც ნაკრების ინტერესი უპირველესი არ იყოს და მაქსიმალურად არ იხარჯებოდეს გუნდის წარმატებისთვის.

გამაკვირვა ქეცბაიას ურთიერთობამ ნაკრების ნამყვან ფეხბურთელებთან და მათ მომავალთან დაკავშირებულ კითხვებზე მისმა არაკონკრეტულმა და არადამაჯერებელმა პასუხებმა. იმის მაგივრად, რომ თქვას, ნაკრებში ითამაშებენ საუკეთესო ფეხბურთელები ასაკის მიუხედავადო, კითხვებს თავს არიდებს და კონკრეტული პასუხებისგან თავს იკავებს. რას ელოდებით, ბატონო თემურ? კალა-კობი-იაშკა-ხიზანა რომ გამოვლენ და თავად იტყვიან, ჩვენ კი ვთამაშობთ სერია A-ში, პირველ და მეორე ბუნდესლიგებსა და თურქეთში, კი ვართ ნაკრებისთვის ყველაზე საჭირო ფეხბურთელები, მაგრამ ჩვენი დრო წავიდა და წავალთო? ლოგიკურად ეგრეა და თუ ასე არ არის, მაშ რატომ არ აფიქსირებთ თქვენს პოზიციას გუნდის ნამყვან მოთამაშეებთან დაკავშირებით? პრინციპში, თქვენს „არსენალს" კიდევ ერთი არგუმენტი შეემატება და წარუმატებელი მატჩის შემდეგ იტყვით, გუნდი ნამყვანმა მოთამაშეებმა თავად დატოვეს და ახლებს დრო სჭირდებათ შესათამაშებლადო. ალბათ, 5-გუნდიან ძლიერ ჯგუფში ყოფნასაც თქვენს სასიკეთოდ გამოიყენებთ და (ღმერთმა არ ქნას) თუ მეხუთეზე გავედით, იტყვით, პროგრესი აშკარაა, წინა შესარჩევ ციკლთან შედარებით უფრო ძლიერ ჯგუფში გავედით მეხუთეზე და ციკლი წარმატებულად უნდა ჩავთვალოთო.

## ამას ხომ უმწვრთნელოდ მოვახერხებდით?

მაისის ბოლოს, როდესაც ხორვატიაში მატჩამდე ქეცბაიამ გაფართოებულ 30-კაციან შემადგენლობას უხმო, იმის გათვალისწინებით, რომ საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბში მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მქონდა და შედეგიანად და გუნდისთვის სასარგებლოდ ვთამაშობდი, ვიფიქრე, რომ ნაკრებში გამოძახების საფუძველი მქონდა. ისევე, როგორც ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელისთვის, ჩემთვისაც ნაკრებში თამაში ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. ამიტომ მწყდება გული, რომ ვერც ამ 30-კაციან სიაში და ვერც სხვა რომელიმე მატჩში ჩემი ადგილი არ მოიძებნა და ნაკრების დახმარება ვერ შევძელი.

შევეცადე, ამისთვის გულშემატკივრის თვალით შემეხედა და ვიფიქრე - თუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის განკარგულებაში მუჯირზე უკეთესი 30 ფეხბურთელია, მაღალი შედეგისთვის ბრძოლა უფრო გაგვიადვილდება-მეთქი. თუმცა, როდესაც თამაშს ვუყურე და ვნახე, რომ საქართველოს ნაკრებმა სპლიტში 90 წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგის კარში (და კარის მიმართულებითაც!) მხოლოდ ერთხელ დაარტყა, და ისიც თავით, მივხვდი, რომ ასე ვერ „გავფრინდებით".

დარწმუნებული ვარ, საქართველოს ამჟამად აქვს იმის რესურსი და ჰყავს ისეთი დონის ფეხბურთელები, რომ მწვრთნელის გარეშეც მოახერხებს ასეთ სუსტ და თუნდაც ძლიერ ხორვატიასთან ორჯერ მაინც დაარტყას კარში!

## მედიას სითამამე სჭირდება!

სამწუხაროდ, სპორტული მედია დუმს. ბევრ ჟურნალისტს პირადად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერს ბევრი ხედავს და ბევრ რამეში მეთანხმება. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი ქართული ფეხბურთის აღორძინებას ელოდებიან და ერთი სურვილით არიან შეპყრობილნი, როდის დაწერენ და გვამცნობენ ქართული ფეხბურთის და ეროვნული ნაკრების დიდ წარმატებას. მათი დახმარების გარეშე კი არაფერი შეიცვლება.

ამიტომ მათ თხოვნით მივმართავ - უშუალო მონაწილეობა მიიღონ ქართული ფეხბურთის განვითარების პროცესში. ესაა ჟურნალისტის საქმე, სტატიებითა და გადაცემებით ქართული ფეხბურთის და სპორტის წინსვლას ემსახურებოდეს. თორემ, ხორვატებს რომ გავუტანეთ, ამას სიხარულისგან მთელი საქართველო ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა. ასე ვიყავი მეც ღამის 5 საათზე იაპონიაში, შოთა თურქეთში, ასათიანი მოსკოვში, ყენია გერმანიაში, მჭედლიძე იტალიაში და კიდევ ათასობით უცხოეთში მყოფი ქართველი, იმიტომ, რომ ეს ყველა ქართველის ნაკრები და თითოეული ჩვენგანის სიხარული და ტკივილია.

ამოიღეთ ხმა, თამამად და თავისუფლად მიუთითეთ შეცდომებზე, დაუსვით კონკრეტული კითხვები და მოითხოვეთ კონკრეტული პასუხები. იქნებ მიხვდნენ, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და მათ გარდა სხვამაც იცის, რა არის ფეხბურთი და რა „ანტიფეხბურთი".

## იქნებ, თვალები გაახილონ

იქნებ, ასე მაინც იგრძნონ პასუხისმგებლობა შედეგზე; იქნებ, სუსტ ჯგუფში 10 ქულას და მე-5 ადგილს წარმატება აღარ უწოდონ და იქნებ, იმასაც მიხვდნენ, რომ მხოლოდ 9-0-1 განლაგებით და ტაქტიკის საერთოდ არარსებობით მომავალი არ გვაქვს და ორ წელიწადში ერთი შემთხვევითი გამარჯვება საქართველოსთვის საკმარისი არ არის.

იქნებ, როცა დვალიშვილის სტილის თავდამსხმელს მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი შეექმნება და ისიც ისრაელის მცველის შეცდომის ხარჯზე, აქ მაინც ეძებოს მწვრთნელმა საკუთარ თავში შეცდომა.

იქნებ, თვალები გაახილონ და უარი თქვან იმ იდეაზე, რომ თურმე ყველა ახალგაზრდული ნაკრები ქეცბაიას ამჟამინდელი სტრატეგიითა და „ტაქტიკით" უნდა თამაშობდეს. იქნებ, მერე შერცხვეთ და ლატვიასთან საშინაო მარცხის შემდეგ არ გვითხრან, 10 წელიწადია, ასეთი ფეხბურთი არ გვიჩვენებია და ასე არც ერთი გუნდისთვის არ „გადაგვირბენიაო". იქნებ, იმავე მალტასთან ფრე ლატვიასთან დამარცხებას აღარ მიაწერონ...

თუ არა და, დავიძინოთ ყველამ... 3 წელიწადი, ამდენივე ხნით დავკეტოთ „ბორის პაიჭაძე" და „მიხეილ მესხი". დავიძინოთ 2014 წლის სექტემბრამდე, როდესაც შემდეგი შესარჩევი ციკლის პირველი მატჩი გვექნება. და რა? ისევ მივალთ სტადიონზე, ალბათ, ჩვენი შვილები არ წამოგვყვებიან, რა აზრი აქვსო, მამები გვეტყვიან, სახლში ვუყურებთ, სად გვაქვს მაგათი ნერვებიო, თქვენ კი პრესკონფერენციაზე ისევ მოისმენთ, რომ არ გაგვიმართლა, რომ 13 წელი ასე არავისთვის „გადაგვირბენია", რომ ისევ ძლიერი ჯგუფი შეგვხვდა, მწვრთნელს დრო მივცეთ, კონტრაქტი გავუგრძელოთ და შემდეგი შესარჩევისთვის მოვემზადოთო.

მე კი დღესვე მინდა, სწორ გზაზე დავდგეთ, პერსპექტიული მომავალი დავინახო და ამიტომ ჩავთვალე ჩემს ვალდებულებად მიმდინარე პროცესებზე პოზიციის დაფიქსირება.

და თუ მომავალში მაინც ქეცბაია უნდა იყოს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, იქნებ, ჩემმა და თქვენმა სიტყვებმა აუხილოს თვალი, თვითკრიტიკული გახდეს და ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე დააყენოს.

ამ წერილის მიზეზი და მიზანი ქართული ფეხბურთის კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ამიტომ თქვენ და თითოეულ ქართველს გთხოვთ, ყველაფერი გააკეთოთ ქართული ფეხბურთის უკეთესი მომავლისთვის.

იმიტომ, რომ ეროვნული ნაკრები მთელი ერის საკუთრებაა და თითოეული ქართველის ვალია, მისთვის მაქსიმუმი გაიღოს.

*დავით მუჯირი*

*ჰიროშიმა, იაპონია 18.10.2011*




თემურ ქეცბაია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ფუტსალი

# მუნდიალამდე შორია, მეორე ეტაპამდე – ახლო

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უნდა ჩაებას. მუნდიალის ფინალური ეტაპი გაისად ტაილანდში გაიმართება, მისი საკვალიფიკაციო ციკლი კი სამეტაპიანია.

საქართველოს ნაკრები ასპარეზობას პირველი ეტაპიდან დაიწყებს, სადაც ჯგუფში ჩვენი მეტოქეები სომხეთი, მალტა და მოლდოვა იქნებიან. საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ შეძლო და ჯგუფური ტურნირის თბილისში ჩატარების უფლება მოიპოვა. მატჩებს დედაქალაქის სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

პირველ ეტაპზე ევროპაში სულ ხუთი ჯგუფია, საიდანაც მეორე რაუნდში გავლენ ჯგუფების გამარჯვებულები და ორი საუკეთესო მეორეადგილოსანი. შემიზანი იყო, ამ კონტინგენტიდან ის მოთამაშეები შეგვერჩია, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში სათამაშოდ მზად იქნებოდნენ. ვფიქრობ, ამ ამოცანას თავი წარმატებით გავართვით, მაგრამ ამ კითხვას ყველაზე მკაფიო პასუხი თბილისში ჩასატარებელმა მატჩებმა უნდა გასცეს. ჩვენი მიზანი პირველი ეტაპის უპირობოდ გადალახვაა, შემდეგ რაუნდში კი იმისთვის უნდა ვიყოთ მზად, რომ თითოეულ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ.

დღეისთვის საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა დაახლოებით ნახევარი ახალგაზრული ნაკრების წევრია, გვყავს ასევე გამოცდილი მოთამაშეები და ლეგიონერები. ნაკრების თითოეულმა წევრმა ძალიან ბევრი იშრომა და იმედი გვაქვს, ჩვენს მონდომებას შედეგი მოჰყვება. ამ გამოცდისთვის მზად



გიზო ფხოველიშვილი (მარცხნივ) და ზაალ ჩიტალაძე ფოტო: msy.gov.ge

საბამისად, ჩვენმა გუნდმა თბილისურ მინიტურნირზე მხოლოდ პირველობისთვის უნდა იბრძოლოს.

პირველი ეტაპის 7 საუკეთესო გუნდს მეორე ეტაპზე ავტომატურად დაშვებული 21 გუნდი დაემატება და შეიქმნება 7 ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომელთა პირველ-მეორეადგილოსნებიც მუნდიალზე მოსახვედრად 7 საპლეიოფო წყვილს შექმნიან.

უკვე ცნობილია, სად ითამაშებს ჩვენი ჯგუფის გამარჯვებული მეორე რაუნდში – სლოვენიურ მინიტურნირში, რომელშიც მასპინძელთა გარდა სერბეთისა და ისრაელის ნაკრებები იასპარეზებენ.

საქართველოში გასამართი ეტაპის შესახებ გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა. მედიის წინაშე საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტი **გიზო ფხოველიშვილი**, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაალ ჩიტალაძე** და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გია გალდავა** წარდგნენ.

### ზაალ ჩიტალაძე:

- ამ უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის მზადება იანვრიდან დავიწყეთ, როცა ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე ვიასპარეზეთ. მაშინ გარკვეულწილად ექსპერიმენტულ შემადგენლობას დავეყრდენით, რადგან ეროვნული ნაკრები ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით დავაკომპლექტეთ. ჩვენი ვართ, რადგან საკმაოდ ნაყოფიერად მოვემზადეთ.

**- ლეგიონერებით გაძლიერებულმა "იბერია-სტარმა" ევროტურნირებზე დიდ წარმატებას მიაღწია. ნატურალიზებული ფეხბურთელების გამოჩენას ნაკრებშიც ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- ჩვენი სურვილია, ნაკრების ბირთვს ქართველები შეადგენდნენ, თუმცა უარს არც კარგ უცხოელებზე ვიტყვით. მართალია, მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება რთული პროცესია, მაგრამ მაინც ვცდილობთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენს ნაკრებში "იბერია-სტარის" ორი ბრაზილიელი, რონინიო და ბეტინიო ვიხილოთ. არც უცხოელი მეკარე გვაწყენდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცუდი მეკარეები ან მოედნის მოთამაშეები გვყავს, მაგრამ კონკურენციის გაზრდა ნებისმიერ რგოლში აუცილებელია.

**- მეტოქეებს როგორ დაახასიათებთ?**

- მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე გრანდები არ თამაშობენ, მაგრამ ისეც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იოლი გასეირნება გველის. მალტა ნაკლებად ძლიერი გუნდია, სომხეთი და მოლდოვა კი ანგარიშგასაწევი მეტოქეები არიან, რადგან პირველი ეტაპის გადალახვის პრეტენზიას ყოველთვის აცხადებენ.

**- მეორე ეტაპზე გასვლის შემთხვევაში გუნდის მომზადების გეგმა როგორი იქნება?**

- აუცილებელია შეკრება და მინიმუმ ორი საკონტროლო მატჩი. დანარჩენზე უფრო დეტალურად პირველი ეტაპის გადალახვის შემდეგ ვისაუბროთ.

### გიზო ფხოველიშვილი:

- დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ფეხბურთის ფედერაციას. ჩვენი ნაკრები ქართველი ქომაგის გასახარებლად ყველაფერს გააკეთებს და გულშემატკივრებს ვთხოვთ, მობრძანდნენ სპორტის სასახლეში და გუნდს გვერდში დაუდგნენ.

### გია გალდავა:

- სასიხარულოა, რომ ჩვენი ქვეყანა ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებას მასპინძლობს. ფუტსალი ძალიან დინამიკური და სანახაობრივი სახეობაა და სპორტის სასახლეში მისული ქომაგი არ ინანებს. კარგია, რომ მატჩებზე დასწრება უფასოა, ეს გულშემატკივართა რაოდენობას უთუოდ გაზრდის. ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრების მხარდაჭერა ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

გაგაცნობთ საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობას:

მეკარეები: **ალექსანდრე ჯამბურია** (იბერია-სტარი), **დავით კეფაშვილი** (ინტერმეცო, სერბეთი);

მოედნის მოთამაშეები: **ალექსანდრე ძაბირაძე, გიორგი ალთუნაშვილი** (ორივე - იბერია-სტარი), **გიორგი ნიშნიანიძე** (ნოვაია გენერაცია, რუსეთი), **გიორგი თორთლაძე** (სპესტროვოლოსი, კვიპროსი), **შოთა ჭანუყვაძე, კახაბერ მაისაია, არჩილ სებისკვერაძე, ლაშა სიგუნავა, გიორგი ტიკურიშვილი** (ყველა - ალგო), **დავით ბობოხიძე, ლევან კობაიძე, დავით ლუკავა** (ყველა – თსუ).

კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი ის არის, რომ სომხეთის ეროვნული ნაკრების კარს იცავს "იბერია-სტარის" წევრი **ერნესტ აკოპოვი**, რომელიც თბილისელია, მაგრამ ორმაგ მოქალაქეობას ფლობს და წლებია, სომხეთის ნაკრებში ასპარეზობს.

ბოლოს მატჩების განრიგსაც გაგაცნობთ:

**20 ოქტომბერი**

15:30 მოლდოვა-მალტა
18:15 საქართველო-სომხეთი

**21 ოქტომბერი**

15:30 სომხეთი-მოლდოვა
18:15 საქართველო-მალტა

**23 ოქტომბერი**

18:30 მალტა-სომხეთი
21:00 მოლდოვა-საქართველო

უეფას მოთხოვნით, ბოლო ტურის შეხვედრები მთელ ევროპაში ერთსა და იმავე დროს უნდა დაიწყოს და ამიტომაცაა, 23 ოქტომბრის თამაშები შედარებით გვიან რომ იმართება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მატჩებზე დასწრება უფასოა, საქართველოს ნაკრების სამივე შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს კი „საზოგადოებრივი მაუწყებელი" გადასცემს.

# საფეხბურთო ქველმოქმედება



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან ფიფას და უეფას წარმომადგენლები, რომლებიც 17-21 ოქტომბერს ფიფას მიერ ორგანიზებულ გრასრუტის კურსსა და ფესტივალს უხელმძღვანელებენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ამ პროექტის ფარგლებში ფიფას გრასრუტის ინსტრუქტორები - **ალექსანდრ ჩერნუხო, ჟან მარი კონსი**, უეფას გრასრუტის ინსტრუქტორი **რობინ რასელი** და სფფ-ის წარმომადგენლები გლდანის ბავშვთა სახლში იმყოფებოდნენ, სადაც აღსაზრდელებს სპორტული ინვენტარი გადასცეს და მცირე მასტერკლასიც ჩაუტარეს. ბავშვებს საჩუქრად დაურიგდათ მაისურები და ბურთები. ფიფას ინსტრუქტორებმა მათთან ერთად ფეხბურთიც ითამაშეს.

ფიფას გრასრუტის კურსი ზუგდიდში, „ბაიას" სპორტულ ბაზაზე დაიწყო, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა საფეხბურთო კლუბისა და საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები მონაწილეობენ. სემინარი სამდღიანია.

U19



ოლივერ დრახტა

# ვინ გვიმსაჯებს

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები 11 ნოემბერს ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპს დაიწყებს. ჩვენი ჯგუფის მატჩები თურქეთში გაიმართება, უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე იმ მსაჯების ვინაობაც გამოქვეყნდა, რომლებიც **გიორგი დევდარიანის** გუნდის შეხვედრებს მოემსახურებიან.

11 ნოემბერს პოლონეთისა და საქართველოს ნაკრებების მატჩს ავსტრიელი **ოლივერ დრახტა** გაუძღვება, 13 ნოემბერს თურქეთისა და საქართველოს შეხვედრას შოტლანდიელი **სტივენ მაკლინი** განსჯის, 16 ნოემბერს კი ლუქსემბურგთან დაპირისპირებაში ისევ დრახტა გვიმსაჯებს.

ლეგიონერი

# ქანტურია ორი მატჩით დასაჯეს

ჰოლანდიის ჩემპიონატის გასულ ტურში "ნაიმეგენთან" გაძევება არნემის "ვიტესის" ფორვარდ **გიორგი ქანტურიას** ძვირად დაუჯდა – იგი ორი მატჩითაა დისკვალიფიცირებული. ქანტურია პსვ-სთან საშინაო და "გრააფსხაპთან" გასვლით მატჩებს გამოტოვებს.

გვერდი მოამზადა **ლევან ჯანეზაშვილმა**



გიორგი ქანტურიას აძევებენ

საქართველოს ჩემპიონატი. II ლიგა

| დასავლეთი ზონა. VI ტური | |
|---|---|
| ენგური (ჯვარი)-ჩხოროწყუ (ჩხოროწყუ) | 0:1 |
| მარგვეთი-2006 (ზესტაფონი)-ეგრისი (სენაკი) | 9:1 |
| ჩიხურა-2 (საჩხერე)-დინამო-2 (ბათუმი) | 4:1 |
| შუქურა (ქობულეთი)-საირმე (ბაღდათი) | 0:1 |
| გურია-2 (ლანჩხუთი)-სქური-2 (წალენჯიხა) | 0:0 |
| მართვე (ქუთაისი)-ბეთლემი (ქედა) | 1:0 |
| მაჭახელა (ხელვაჩაური)-ჭიათურა-2 | 3:1 |
| ბახმარო (ჩოხატაური)-აბაშა (აბაშა) | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მართვე | 6 | 5 | 1 | 0 | 11-2 | 16 |
| 2. საირმე | 6 | 4 | 2 | 0 | 14-7 | 14 |
| 3. ჩიხურა-2 | 6 | 4 | 1 | 1 | 14-5 | 13 |
| 4. მაჭახელა | 6 | 4 | 0 | 2 | 12-10 | 12 |
| 5. გურია-2 | 6 | 3 | 3 | 0 | 8-4 | 12 |
| 6. მარგვეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 18-8 | 10 |
| 7. ბეთლემი | 6 | 3 | 1 | 2 | 13-7 | 10 |
| 8. შუქურა | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 9. ბახმარო | 6 | 2 | 2 | 2 | 10-9 | 8 |
| 10. ჩხოროწყუ | 6 | 2 | 1 | 3 | 4-10 | 7 |
| 11. ეგრისი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-15 | 7 |
| 12. დინამო-2 | 5 | 1 | 3 | 1 | 6-8 | 6 |
| 13. სქური-2 | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 14. აბაშა | 6 | 0 | 1 | 5 | 4-14 | 1 |
| 15. ჭიათურა-2 | 6 | 0 | 1 | 5 | 3-14 | 1 |
| 16. ენგური | 6 | 0 | 0 | 6 | 9-18 | 0 |

| აღმოსავლეთი ზონა. VI ტური | |
|---|---|
| იუსი ბესტი (თბილისი)-ლიახვი (აჩაბეთი) | 2:2 |
| სასკო (თბილისი)-ალგეთი (მარნეული) | 6:0 |
| იბერია (თბილისი)-35-ე სკოლა (თბილისი) | 2:6 |
| დუშეთი-ივერია (ხაშური) | 2:2 |
| აბული (ახალქალაქი)-ლაგოდეხი | 1:0 |
| **VII ტური** | |
| ივერია-აბული | 4:0 |
| 35-ე სკოლა-დუშეთი | 4:2 |
| ლიახვი-სასკო | 1:3 |
| ლაგოდეხი-იუსი ბესტი | 0:2 |
| ალგეთი-იბერია | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასკო | 7 | 6 | 1 | 0 | 22-3 | 19 |
| 2. 35-ე სკოლა | 7 | 4 | 1 | 2 | 17-16 | 13 |
| 3. ლიახვი | 7 | 3 | 2 | 2 | 20-14 | 11 |
| 4. ივერია | 7 | 3 | 2 | 2 | 15-9 | 11 |
| 5. აბული | 7 | 3 | 1 | 3 | 10-13 | 10 |
| 6. იუსი ბესტი | 6 | 2 | 4 | 0 | 9-5 | 10 |
| 7. დუშეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-10 | 6 |
| 8. ლაგოდეხი | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 5 |
| 9. ალგეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 2-13 | 4 |
| 10. იბერია | 7 | 1 | 1 | 5 | 8-20 | 4 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| გიორგი კახიანი (საირმე) | 6 |
| ვიტალი დარჩიძე (ბეთლემი) | 5 |
| გოჩა გასვიანი (მართვე) | 5 |
| ნუკრი შავაძე (ჭიათურა) | 5 |
| გიორგი ძარდავა (ენგური) | 4 |
| კორადო ხაჩატურიანი (მარგვეთი) | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# არსენ ვენგერი გადადგომაზე დაფიქრდა



**არსენ ვენგერი** ამბობს, რომ თუ „არსენალი“ შედეგებს არ გააუმჯობესებს, მას თანამდებობიდან გადადგომა მოუწევს. ფრანგი სპეციალისტი, რომლის გუნდმაც აგვისტოში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 2:8 წააგო, ბრძანებს: *„მე იმ სფეროში ვმუშაობ, სადაც მთავარი შედეგია და ადამიანის მომავალსაც ეს განაპირობებს“.*

ზემოთ მანჩესტერული კრახი ვახსენეთ. ვენგერი ამ წაგებამ საშინლად დათრგუნა, თუმცა კლუბის ამერიკელ მეწილეს, **სტენ კროენკს** ამის გამო მისი მხარდაჭერა არ შეუწყვეტია. *„სტენ კროენკის სიტყვები რწმენისა და მხარდაჭერის შესანიშნავი მაგალითია, მაგრამ მე რეალისტი გახლავართ. გუნდი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 2:8-ს აგებს, ვერ იტყვის, რომ ის მსოფლიოში საუკეთესოა. იმას კი არ ვამბობ, რომ სამსახურის დაკარგვა მაშინებს, მაგრამ როდესაც თავს ასეთი ზვავი დაგატყდება, აშკარაა, რომ ამოცანა ჩააფლავე. მეორე მხრივ, იმედგაცრუება ჩვენი პროფესიის შემადგენელი ნაწილია. დღეს „არსენალი“ საოცრად რთულ პერიოდშია. ჩვენ ნებისმიერი შეხვედრის ნებისმიერ დროს შეიძლება გოლი გავუშვათ“.*

ჩრდილოლონდონურმა კლუბმა, რომელმაც **სესკ ფაბრეგასი** და **სამირ ნასრი** გაყიდა, პრემიერლიგის პირველ ხუთ ტურში მხოლოდ ერთი თამაში მოიგო. გულდაწყვეტილი ვენგერი ნასრის ტრანსფერის თემას დღესაც უბრუნდება და ამბობს, რომ ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც 24 წლის ფრანგი „მანჩესტერ სიტიში“ გადავიდა, გასამრჯელო იყო.

*„თუ „არსენალისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ტიტულებს შევადარებთ, აშკარად გამოჩნდება, რომ ფეხბურთელი „არსენალიდან“ „სიტიში“ მათ მოსაპოვებლად არ გადავა. მოთამაშეები „ეტიჰედ სთედიუმზე“ იმიტომ მიდიან, რომ იქ გაცილებით მეტს უხდიან“* — ამბობს ვენგერი, რომელმაც „მარსელთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინა პრესკონფერენციაზე არ დამალა, რომ გასულ ზაფხულს მისი ფეხბურთელების ნახევარი სხვა კლუბში გადასვლას აპირებდა. ფრანგმა სპეციალისტმა განაგრძო:

*„ასეთი რთული ზაფხული არასდროს მქონია. ჩემი მოთამაშეების ნახევარი სადღაც გაქცევას აპირებდა. თან ახალი სეზონისთვის მომზადება უნდა დამეგეგმა, თან აზიაში ტურნეზე გავემგზავრეთ, იმავდროულად ფეხბურთელების ერთი ნახევარი სადღაც გარბოდა, მეორე ნახევარი კი გაკვირვებული კითხულობდა, რა ხდება ჩვენს თავს, სტიქიური უბედურება ხომ არ დაგვტეხიაო. წარმოდგენა არ გვქონდა, ვინ შემოგვემატებოდა... ეს ნამდვილი საშინელება იყო“.*

როგორც მოგახსენეთ, წამყვანი ფეხბურთელების გაქცევამ და არეულობამ „არსენალი“ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დიდი ანგარიშით წაგებამდე მიიყვანა. იმ მომენტისთვის ვენგერს მხოლოდ ორი ახალი მოთამაშე ჰყავდა ნაყიდი, **ჟერვინიო** და **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი.** დანარჩენი ახალწვეულები „ემირეიტ სთედიუმზე“ სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე სამი დღით ადრე გამოჩნდნენ: **პერ მერტეზაკერი, მიკელ არტეტა, სანტოსი** და **იოსი ბენაიუნი.**

*„სეზონი ახალი დაწყებული გახლდათ, მე კი სამ დღეში ოთხი ახალი ფეხბურთელი ვიყიდე. ესეც ძალიან ძნელი გასაძლები გამოდგა. ღამეები მოლაპარაკებებში გაილია, სიტუაცია ყოველ წამს იცვლებოდა, ბევრი რამ გაურკვეველი იყო, თუმცა, საბედნიეროდ, საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა“* - უამბო ვენგერმა ფრანგულ რადიო არხს.

„არსენალის“ თავკაცმა არც ის დამალა, რომ ძალიან გადაიღალა: *„დიახ, პერიოდულად საშინელ დაღლილობას ვგრძნობ. სეზონი რომ მთავრდება, ხალხს ჰგონია, რომ ჩვენ ვისვენებთ, მაგრამ ასე არ არის. სწორედ მაშინ ვიწყებთ დაძაბულ მუშაობას. სიამოვნებით გავიქცეოდი ერთი თვით ტაიტიზე, სადაც დროის შეგრძნებასაც კი დავკარგავდი, მაგრამ ამის საშუალება არ მაქვს. მუშაობა სისხლში მაქვს გამჯდარი. ეტყობა, წინა ცხოვრებაში ძალიან ზარმაცი კაცი ვიყავი და ბუნება ვალს სტრესული სამსახურით მაბრუნებინებს“.*

ვესტ ჰემი

# პრემიერლიგა ფეხბურთს მოკლავს

„ვესტ ჰემის“ მეპატრონე, **დევიდ სალივანი** ამბობს, რომ პრემიერლიგის დერეფნებში გაჩენილი იდეა — ამ ლიგიდან გავარდნა გააუქმონ, ინგლისურ ფეხბურთზე გამანადგურებლად იმოქმედებს. „ჩაქუჩების“ თანამეპატრონე ამტკიცებს, რომ შეჯიბრების მამოძრავებელი ძალა გავარდნის შიშია. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში სწორედ „ვესტ ჰემი“ გავარდა პრემიერლიგიდან.



დევიდ სალივანი

მოგეხსენებათ, ბოლო დროს პრემიერლიგის კლუბებს უცხოელი მეპატრონეები მოეძალენ და სწორედ მათ გაუჩნდათ ტრადიციული სისტემის შეცვლის იდეა. სალივანმა თქვა:

*„პრემიერლიგიდან თუ არავინ გავარდა და მას არც ახალი გუნდები შეემატნენ, უკვალოდ გაქრება ის სისტემა, რომელმაც აქამდე მოგვიყვანა და და რომელსაც წლობით მივეჩვიეთ. ახლა ცდილობენ დაამკვიდრონ აზრი, რომ პრემიერლიგა ახალი „ბრენდია“, თითქოსდა მას ძველ ინგლისურ პირველ ლიგასთან კავშირი არ აქვს, მაგრამ ასე არ არის. პრემიერლიგა სწორედაც რომ ის, ძველი ინგლისური პირველი დივიზიონია, რომელსაც, უბრალოდ სახელი გამოუცვალეს. გასაგებია, რომ ამერიკული ფეხბურთის ლიგის მაგვარი ორგანიზაციის ჩამოყალიბება უნდათ, მაგრამ ეს ინგლისში, პრემიერშიფის გარეთ ცხოვრებას გააფუჭებს და საკუთრივ პრემიერშიფსაც ეშხს მოაკლებს“.*

სალივანი დარწმუნებულია, რომ ტრადიციული სისტემის გადაკეთება ყალბ ფასეულობებს შემოიტანს. ის დაძენს:

*„ერთადერთი, ვფიქრობ, სამი გუნდის გავარდნასა და სამის შემოყვანას შეიძლება ორის გავარდნა და ორის შემოყვანა სჯობდეს. ანდა, ვთქვათ, პრემიერლიგის მე-19 გუნდი პირველი დივიზიონის მეორე, მესამე და მეოთხე გუნდებთან პლეი ოფში ვათამაშოთ“.*

კიდევ, სალივანის რწმენით, პრემიერლიგიდან გავარდნის გაუქმება ტელეკომპანიებისთვის იქნება ცუდი, რაც კომერციულ მხარეზე იმოქმედებს ცუდად.

*„ვფიქრობ, ეს ტელეკომპანია „სქაისაც“ დააზარალებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ტელეკომპანიამ გასულ ზაფხულს სუონსიში, ნორვიჩსა და დასავლეთ ლონდონში უამრავი სატელიტური თეფში გაყიდა. თან დააკვირდით, ეს კანონი ათი წლის წინ რომ შემოეღოთ, დღეს „მანჩესტერ სიტი“ პრემიერლიგაში ვერ ითამაშებდა“.*

ხულიგნობა

# მგლური კანონი



„ვულვერჰემპტონის“, იმავე „ვულვზის“ ანუ მგლების ფანებმა Youtube.com-ზე თავიანთი გადაღებული ვიდეო დააგდეს. ჩანაწერზე ჩანს, როგორ შარდავენ ისინი „ვესტ ბრომვიჩის“ მოედანზე კვირას გამართული რეგიონული დერბის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ „ვესტ ბრომვიჩმა“ „ვულვზს“ 2:0 მოუგო.

ჩანაწერზე განმარტებაა მიწერილი: *„მათ შესაძლოა მოიგეს, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვენ გავიცინეთ“.*

შემდეგ მკაფიოდ ისმის, როგორ ამბობს ის, ვინც ამ ხულიგნობას იღებს, ცინიკურად: *„ესეც ჩვენ, პირდაპირ „ალბიონის“ ცენტრალურ წრეში ვშარდავთ. იმ შემთხვევაში თუ ვინმე გვიჩივლებს და საქმე სასამართლოზე მიდგება, ვაცხადებ, რომ ეს მშვიდობიანი აქციაა. ჩვენ არავის შეურაცხყოფა არ გვქონია მიზნად“.*

საინტერესო ის არის, რომ „ვესტ ბრომვიჩის“ სტადიონის, „ჰოუთორნზის“ დაცვამ ეს ყველაფერი ვერ შეამჩნია. ახლა კლუბი გამოძიებას აწარმოებს.

ცნობისათვის, „ვულვზისა“ და „ვესტ ბრომვიჩის“ სტადიონებს შორის 20 კილომეტრი და 300 მეტრია.

დაპირისპირება

# ევრა თავისას არ იშლის



ლუის სუარესი (მარცხნივ) და პატრის ევრა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფრანგმა მცველმა, 30 წლის **პატრის ევრამ** განაცხადა, რომ „ლივერპულის“ ურუგვაელ ფორვარდს, 24 წლის **ლუის სუარესს** არ შეეშვება და დავას რასისტულ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით, ბოლომდე მიიყვანს. მოგეხსენებათ, მანჩესტერელი ამტკიცებს, რომ სუარესმა შაბათს, „ენფილდ როუდზე“, შეხვედრის მსვლელობისას, ათჯერ მაინც უწოდა „ნიგერი“. ინგლისის ჩემპიონთა თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** თქვა, რომ მის ფეხბურთელს სურს ურუგვაელი ფეხბურთის ასოციაციამ დასაჯოს.

ფერგიმ ჟურნალისტებს უამბო: *„ჩვენ პატრისს ველაპარაკეთ. მან გვითხრა, რომ ახლა ამ საქმეს აღარ შეეშვება. საკმაოდ რთული საკითხია, რადგან, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ლივერპულს“ მოედანზე მომხდარი ამბების გამო განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. სწორედ გაგვიგეთ, ჩვენ არც „ლივერპულის“ საწინააღმდეგო აქციას ვგეგმავთ და არც ვინმეს დასჯა გვაქვს თვითმიზნად დასახული. ერთი რამ აშკარაა, პატრისი იმ დღეს მომხდარი ამბით ძალიან შეურაცხყოფილია, დანარჩენი კი ფეხბურთის ასოციაციის ხელთ არის. ჩვენ ძალიან არ გვინდა, რომ ჩვენმა ფეხბურთელმა თავი დაჩაგრულად იგრძნოს“.*

შეგახსენებთ, რომ სუარესმა ევრას ბრალდებები უარყო. ურუგვაელმა განაცხადა, რომ ის რასისტი არ არის და ყველა ჯურის ადამიანს პატივს სცემს. ამ ისტორიაში მედიატორობა ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე **გორდონ ტეილორმა** იკისრა. მან თქვა:

*„ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოთამაშე ორი უცხო ქვეყნის წარმომადგენელი ძალიან სერიოზული საკითხის გამო დაუპირისპირდა ერთმანეთს. ინციდენტი მხოლოდ საფუძვლიანი გამოძიების წყალობით თუ ამოიწურება“.*

მანჩესტერ სიტი

# ტევესს ბოკა უშველის?

27 წლის **კარლოს ტევესის** მანჩესტერული ჯოჯოხეთიდან დასახსნელად თავი არგენტინულმა „ბოკა ხუნიორსმა“ გამოიდო. ბუენოს აირესის კლუბი ყველა ღონეს ხმარობს, რომ ფეხბურთელის საგანგებო წესით ქირაობის ნება დართონ — თავად „ბოკას“ 24 წლის ფორვარდი, **ლუკას ვიატრი** ნახევარი წლით დაუშავდა და შეტევის გამწვავება სჭირდება.



კარლოს ტევესი

იმ იმედით, რომ ახალ თავდამსხმელს მომავალ კვირაში დაიმატებს, „ბოკა ხუნიორსის“ ვიცე-პრეზიდენტი, **ხოსე ბერალდი** „სიტისთან“ სინჯავს ნიადაგს:

*„ჩვენ ჩვენსას ვცდით და „მანჩესტერ სიტის“ კარლოს ტევესის შესახებ დაველაპარაკებით. ტევესს ამ გუნდში ხომ მაინც არ ათამაშებენ. კარგად ვიცით, რომ ამ საქმიდან შესაძლოა არაფერი გამოვიდეს, მაგრამ ცდას წინ რა უდგას“.*

შეძლებს თუ არა სამხრეთამერიკული კლუბი პრემიერლიგის ლიდერისთვის საინტერესო ფინანსური წინადადების მომზადებას, უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. გარდა ამისა, ისტლენდზე ტევესის საქმის გარჩევაა დანიშნული - მოგეხსენებათ, ფეხბურთელმა, მიუნხენში, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მოედანზე შესვლაზე უარი განუცხადა, რის გამოც კლუბი მას დასჯას უპირებს.

ბერალდიმ დასძინა: *„კარლიტოსთვის ჩვენი კლუბის კარი ყოველთვის ღიაა. ის „ბოკას“ გულშემატკივართა კერპი და ჩვენი მრავალი წარმატების მიზეზია. „ბოკა ხუნიორსი“ ტევესის სახლია, ის ამ კლუბში გაიზარდა“.*

ჩელსი

# სტემფორდ ბრიჯის ამბავი

„ჩელსი“ პოზიციას არ ცვლის და შემდეგ კვირაში „სტემფორდ ბრიჯის“ გამოსყიდვის გეგმას არ ღალატობს. „ლურჯების“ მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** „ბრიჯის“ 14 ათასივე მეწილის აქციის გამოსყიდვას აპირებს, რათა ტერიტორიას, რომელზეც დასავლეთლონდონელთა სტადიონია, მთლიანად დაესაკუთროს. აღსანიშნავია, რომ გუნდის ფანებს მოვლენათა ასეთი განვითარება მაინცდამაინც არ მოსწონთ, რადგან კარგად იციან, რომ ამას შემდეგ, სადმე სხვაგან ახალი სტადიონის აშენება მოჰყვება.



რომან აბრამოვიჩი

ამრიგად, ლონდონში წამოიწყეს კამპანია სახელწოდებით, უფრო სწორად კი ლოზუნგით *„ჩელსის მოედნის მესაკუთრე, თქვი უარი“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ვარსკვლავი

# გზა სკოლიდან ნაკრებამდე

**ფილ ჯონსის კარიერული ნახტომი ბავშვთა გუნდ "რობლ უონდერერსი-დან" "მანჩესტერ იუნაიტედამდე" მართლაც თავბრუდამხვევია. სამი წლის წინ ხომ ის ჯერ კიდევ სკოლის ფოტოგრაფისთვის პოზირებდა. მას მერე კი, რაც სერ ალექს ფერგიუსონ-მა მასში 16,5 მილიონი გირვანქა გადაიხადა, 3 თვეში მან ჩემპიონთა ლიგაში დებიუტიც მოასწრო და ინგლისის ნაკრებშიც ითამაშა. „დეილი მეილის" რეპორტიორებმა ჯონ ედვარდსმა და იან ლედიმენმა გადაწყვიტეს, მის ფენომენს გასცნობოდნენ. მასალას შემოკლებით გთავაზობთ.**

## დანი ჰინდლი

(როვლ უონდერერსის მთავარი მწვრთნელი)

- სადაც არ უნდა ეთამაშა ფილ ჯონსს, დაცვის ცენტრში თუ მარჯვენა ფლანგზე, ყოველთვის ბევრი გოლი გაჰ-ქონდა. ძლიერი გუნდი გვყავდა. ყოველთვის ლიდერებში შევდიოდით და ერთხელ ლანკაშირის საგრაფოს თასის ფინალშიც კი გავედით. ჩვენი ყოველი თამაში სკაუტთა დიდ ყურადღებას იპყრობდა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ "მეორე სართულზე" თამაში ყოველთვის იყო ფილის საუკეთესო თვისება. მან ეს რეპუტაცია ალალად დაიმსახურა. მეტოქეები მის წინააღმდეგ ყოველთვის ორ მცველს აყენებდნენ, როცა საქმე სტანდარტულ მდგომარეობაზე მიდგებოდა. ახლა კი როცა მის თამაშს ვუყურებ და ვხედავ, რა დამაჯერებლად ამოაქვს ბურთი დაცვიდან, მასში იმ თვისებებს ვხედავ, რაც მას ჩვენთან თავდამსხმელად თამაშის დროს განუვითარდა. ჩვენგან წასვლის შემდეგ მასთან რამდენჯერმე მქონდა კონტაქტი. ძალიან ამაყები ვართ იმით, რომ ფილმა დიდი გზა ფეხბურთში სწორედ ჩვენგან დაიწყო. ამასთან მისი მადლობლებიც ვართ. მისი თვისებებიდან ყველაზე მეტად რაც დამამახსოვრდა, ეს შრომისმოყვარეობა იყო.

რისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, დაუღალავად მუშაობდა მასზე. ეს მინდორზეც ჩანდა. უცნაური კი ის არის, რომ სხვების ფონზე ის არასოდეს ჩანდა განსაკუთრებულად ნიჭიერად. არასოდეს მქონია წინაპირობა, მეფიქრა, რომ ეს ბიჭი ერთ დღესაც, ვთქვათ, "მანჩესტერ იუნაიტედში" ითამაშებს-თქო. ვფიქრობ, ეს იმის ბრალი იყო, რომ ყოველთვის გუნდის ინტერესებზე აკეთებდა კონცენტრაციას და არა იმის, რომ ნიჭი აკლდა. მისი ტოლი ბიჭებისგან განსხვავებით, როცა ბურთს იღებდა, არასოდეს ცდილობდა ფინტების კასკადი ეჩვენებინა. ის ბურთს ყოველთვის თავისუფალ პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს აწვდიდა. არ დაგავიწყდეთ, რომ "ბლექბერნმა" ის თავის სკოლაში 8 წლისა მიიწვია, სადაც ის ოთხშაბათობით ვარჯიშობდა ხოლმე. მასზე ბევრის თქმა შეიძლება მისი ატესტატითაც. მხოლოდ უმაღლესი შეფასებები აქვს სპორტის ყველა სახეობაში და... კულინარიაში.



ფილ ჯონსი

## გარი ბოუიერი

(ბლექბერნის დუბლების მთავარი მწვრთნელი)

ფილი აკადემიაში მარჯვენა თავდამსხმელის ამპლუაში მოვიდა. ჩვენ ის ჯერ ნახევარდაცვის ცენტრში გადავიყვანეთ, შემდეგ კიდევ უკან დაცვაში დავხიეთ. სწორედ ამ პოზიციაზე თამაშობდა ის ინგლისის 16 და 18-წლამდელთა ნაკრებებშიც. როცა ამბობენ, რომ ფილი სხვებისგან დიდად არ გამოირჩეოდა, ეს მართალია. აკადემიაში გადმოსვლის შემდეგ პირველი წელიწადი ის ბრწყინვალედ გამოიყურებოდა. შემდეგ კი ისე ცუდად ათამაშდა, რომ არ ველოდით. ერთხელ "ნოტინგემ ფორესტთან" ისეთი შეცდომები დაუშვა, ერთ ხანს განაცხადშიც კი აღარ შეგვყავდა. ამით მას დავეხმარეთ, რომ საკუთარ შეცდომებზე ბევრი ეფიქრა. ამ ამბებიდან ზუსტად ერთ წელიწადში კი მას ძირითად გუნდში ინგლისის თასის შეხვედრაში დებიუტი ჰქონდა. შემდეგ კი პრემიერლიგაში "ჩელსისთანაც" ითამაშა "ივუდ პარკზე". მახსოვს, როგორ შეებრძოლა ჯერ დიდიე დროგბას, შემდეგ კი ფრენკ ლემპარდს და ორივე ეს ბრძოლა მოიგო, რის მერეც იდგა და მუშტი მაგრად ჰქონდა მოკუმული.

როცა საქმე ფეხბურთს ეხება, ის ყოველთვის ენთუზიაზმითაა სავსე. როცა მას "მანჩესტერ იუნაიტედზე" ველაპარაკებოდი, იმ ბავშვივით უხაროდა, საყვარელ საკონდიტროში რომ მოხვდება. როცა ჩვენს აკადემიაში ბავშვები მოდიან, მათთვის მისაბაძ მაგალითად სწორედ ფილი მომყავს ხოლმე, ვაჩვენებ მის ფოტოს და ვეუბნები, აი, რისი მიღწევა შეგიძლიათ თუ არ იზარმაცებთ-თქო.

## სემ ელერდაისი

(ბლექბერნის ყოფილი მწვრთნელი)

ზოგ ფეხბურთელს შანსი, რომ თავი გამოიჩინოს, ფსკერისკენ უბიძგებს, ზოგიერთი კი ამ შანსს იყენებს. ფილი აშკარად მეორე კატეგორიაშია. ამ თამაშში, თანაც ასეთ ასაკში საქმე ფსიქოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში, ადაპტაციასა და გამბედაობაშია და არა ტექნიკურ მომზადებაში. მყარ ფსიქოლოგიაში კი ფილი ნებისმიერს დიდი ფორას მისცემს.

"ოლდ ტრეფორდზე" გადასვლა და "წითლების" შემადგენლობაში მოხვედრა მისთვის დიდი გამოწვევა იყო. ფილს ეს გამოუვიდა. ის მე მუდმივად მაოცებს. სერ ალექსს ჯონსი დაცვის ცენტრში სჭირდება, ვფიქრობ, მას შეუძლია ეს ადგილი წლების განმავლობაში მყარად ჩაიგდოს ხელთ. ჩვენ მას ნახევარდაცვაში იმიტომ ვათამაშებდით, რომ სამბა და ნელსენი გვყავდა. დარწმუნებული ვარ, ფერგიუსონი მას დიდხანს აკვირდებოდა. ხანდახან ის მოდიოდა ხოლმე ჩვენს თამაშებზე და ალბათ ფილიც სწორედ მაშინ მოხვდა თვალში. იმისთვის კი, რომ ასეთი კარგი ფეხბურთელი შეამჩნიო, არ არის საჭირო ფერგივით გენიოსი იყო. სწორედ ამიტომ იყო, მან "იუნაიტედის", "სიტის", "ჩელსის", "ლივერპულისა" და "არსენალის" წინადადებები რომ მიიღო. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ნიჭიერებას. ის მაგალითს აძლევს პატარა ბიჭებს მთელ ქვეყანაში.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? არა, ჩვენ ჩვენს შეცდომებზე არ ვსწავლობთ. მწვრთნელები თავიანთ მზერას ხშირად უცხოურ სატრანსფერო ბაზარს მიაპყრობენ ხოლმე. ჩემი აზრით, მათ ამის უნდა რცხვენოდეთ, რადგან ტალანტები ჩვენს ქვეყანაშიც იზრდებიან. ფილი ამის ნათელი მაგალითია. მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რა ცეცხლშიც უნდა ჩააგდოთ, ის ამ გამოწვევას ღირსეულად მიიღებს. მეტიც, გვერდიდან შეიძლება ვერც კი იგრძნო, რამდენად რთულ საქმეს აკეთებს ის. სადებიუტო თამაშში ისეთი მშვიდი იყო, გეგონებოდა გუნდში უკვე 10 წელი ჰქონდა გატარებული. შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო მაღალი დონისაა შეხვედრა, იმდენად უფრო ძლიერად თამაშობს. სწორედ ამიტომ არის, რომ "იუნაიტედს" ის იდეალურად ერგება.

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბექჰი ზიზუს კვალზე



დევიდ ბექჰემი

"ეკიპის" ცნობით, იმისთვის, რომ "პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელობამ "ლოს ანჯელეს გალაქსის" 36 წლის ვარსკვლავი **დევიდ ბექჰემი** საბოლოოდ დაიყოლიოს კონტრაქტზე, მას ახალი მომხიბვლელი წინადადება შესთავაზეს. ყატარელმა მესაკუთრეებმა ფეხბურთელს კონტრაქტში ისეთი მუხლი ჩაუწერეს, რომელიც თანამშრომლობას კიდევ უფრო მომხიბლავს გახდის. ორწლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ ბექზი კლუბის ელჩი გახდება და შეეძლება კლუბის პოპულარიზაციის მიზნით მთელ მსოფლიოში იმოგზაუროს. ამრიგად ის **ზინედინ ზიდანის** გზას დაადგება, ვისაც მსგავსი ფუნქცია აქვს "რეალში". ზიზუ პარალელურად სამეფო კლუბის სპორტული დირექტორიცაა.

## ნანსიდან ლიონში?

EST REPUBLICAIN-ის ცნობით, "ნანსის" 22 წლის **სამბა დიაკიტე** შესაძლოა იანვარში "ლიონში" გადავიდეს. გამოცემა ამტკიცებს, რომ ინფორმაცია **რემი გარდთან** დაახლოებული პერსონისგან აქვს. აქვე გეტყვით, რომ დიაკიტე საყრდენი ნახევარმცველია და მიმდინარე სეზონში "ნანსიში" ჩემპიონატის 7 შეხვედრა ჩაატარა, თუმცა გოლი ჯერ არ გაუტანია. დათანხმდება თუ არა ლიგა 1-ის აუტსაიდერი (5 ქულით 10 ტურის შემდეგ მე-20 ადგილზეა) ნამყვან ფეხბურთელთან გამოთხოვებას, ჯერ უცნობია. წყარო ამტკიცებს, რომ კლუბი დიაკიტეს 3,5 მილიონ ევროდ დაუფიქრებლად შეელევაო.

## ჰალკს იაპონია ენატრება

"პორტუს" 25 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი **ჰალკი** ადასტურებს, რომ სმენია რიგი ევროპული გრანდების მხრიდან მისით დაინტერესების შესახებ. თუმცა ამბობს, რომ ამჟამინდელ კლუბში თავს მშვენივრად გრძნობს და ადგილსამყოფელის გამოცვლას სეზონის ბოლომდე ნამდვილად არ აპირებს. მეტიც, მას ლიგა საგრეშის დონე ბოლომდე აკმაყოფილებს. *"მე რაც ვიცი, ყველაფერი გაზეთების წყალობით. წერენ, თითქოს ჩემი ყიდვა "ინტერს" უნდა, ასევე რამდენიმე სხვა კლუბის სახელიც ახსენეს. ამის მიუხედავად მთლიანად "პორტუზე" ვარ კონცენტრირებული. აი, სად აღმოვჩნდები 1 ან 2 წლის შემდეგ, თავადაც არ ვიცი. არ არსებობს კონკრეტული ქვეყანა, რომელსაც უპირატესობას მივანიჭებ. ერთადერთი რამ ვიცი - იაპონია ის ქვეყანაა, რომელიც ძალიან მიყვარს და არ არის გამორიცხული, კარიერა სწორედ იქ დავამთავრო (ჰალკი უკვე თამაშობდა იაპონიაში 2005-/08 წლებში. რედ). ნებისმიერ შემთხვევაში ჩემს აგენტს მივენდობი, თავად კი საქმეს მოედანზე გავაკეთებ. პო, რაც მთავარია, ვიცი, რომ "პორტუსთვის" ოფიციალურად ჯერ არავის არაფერი შეუთავაზებია".*

## სერბეთმა დროებითი მწვრთნელი დანიშნა



რადოვან ჩურჩიჩი

სერბეთის ნაკრებმა ევრო 2012-ის შესარჩევი ჩააგდო, რასაც გუნდიდან ვეტერანთა წასვლა (ნაკრები **დეიან სტანკოვიჩმა** და **ნემანია ვიდიჩმა** დატოვეს) და მთავარი მწვრთნელის, 56 წლის **ვლადიმირ პეტროვიჩის** გადადგომა მოჰყვა. სერბეთის ფედერაციამ პოსტი დროებით მწვრთნელს ჩააბარა. ეს არის პეტროვიჩის ყოფილი ასისტენტი **რადოვან ჩურჩიჩი**. სწორედ ის გაუძღვება ეროვნულ გუნდს ნოემბერში ჩასატარებელ საკონტროლო შეხვედრებში, იუწყება სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი. ვის დაუპირისპირდება ჩურჩიჩის გუნდი, ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა ფედერაცია ამტკიცებს, რომ მეტოქეებს უახლოეს დღეებში დაასახელებს. სერბები ფეხბურთის ახალ მმართველს ნოემბრის ბოლოს აირჩევენ და ახალი მთავარი მწვრთნელის სახელიც მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა. უმთავრეს კანდიდატად პრესა განის ნაკრების ყოფილ თავკაცს, 57 წლის **მილოვან რაევაცს** ასახელებს.

## უტრეხტმა კუმანი დაითხოვა

**ერვინ კუმანი** "უტრეხტის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის. აღნიშნული ინფორმაცია გუშინ "დე ტელეგრააფმა" გაავრცელა. კლუბის ხელმძღვანელობა მთავარი მწვრთნელის მუშაობით საშინლად უკმაყოფილო იყო. ეს არც არის გასაკვირი, რადგან "უტრეხტი" ერედივიზიეში მე-10 ადგილზეა და თანაც 9 ტურში მხოლოდ სამი თამაშის მოგება შეძლო. მან ამ პოსტზე სულ 4,5 თვე გაძლო. ჯერჯერობით მისი შემცვლელების ვინაობა არ სახელდება.

## გრანტი პოლონეთში



ავრაამ გრანტი

პოლონური პრესის ინფორმაციით, "ჩელსის", "პორტსმუთისა" და "ვესტ ჰემის" ყოფილი თავკაცი **ავრაამ გრანტი** დაინტერესებულია პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობით. ლაპარაკია, რომ 56 წლის ებრაელი სპეციალისტი ამ ქვეყანას ევროპის ჩემპიონატისთვის ნაკრების მომზადებაში შეიძლება დაეხმაროს. ოქტომბრის ბოლომდე აუცილებლად დაიგეგმება ერთი მხრივ გრანტისა და მეორე მხრივ ფედერაციის თავკაცის, ლეგენდარული **გჟეგოშ ლატოსა** და პოლონელთა დამრიგებლის **ფრანციშეკ ჟმუდას** შეხვედრა. ამ შეხვედრაზე ისინი გრანტსა და ჟმუდას შორის კომპეტენციების განაწილებაზე იზრუნებენ, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ გრანტი თანამწვრთნელი გახდება. შეხვედრამდე ფედერაცია ჯერჯერობით ყოველგვარ კომენტარზე უარს ამბობს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაციო


მიროსლავ კლოზე

## კლოზეს ამბიციური გეგმები
# მირო მუნდიალს უმიზნებს

**მიროსლავ კლოზეს ყურადღება არასდროს აკლდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რომაულ დერბიში გამარჯვების გოლი გაიტანა, მასზე ნამდვილი ტაციაობა გაჩაღდა. მირო ერთ-ერთ საფეხბურთო თოქშოუს ესტუმრა და ბევრ საინტერესო თემაზე ისაუბრა, მათ შორის განვლილ დერბისა და სამომავლო გეგმებზე. კლოზეს საუბრის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს ქვემოთ გაეცნობით და გირჩევთ, როგორც მინიმუმ, თვალი გადაავლოთ...**

### დერბი

მატჩის შემდეგაც აღვნიშნე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ „რომას" კარში გატანილმა გოლმა გონება დამიბინდა. ასეთი ემოცია მხოლოდ სანაკრებო მატჩებში განმიცდია და ბედნიერი ვარ, რომ დაახლოებით ანალოგიური განცდა კიდევ ერთხელ დამეუფლა. იტალიაში განსაკუთრებული ქომაგობა იციან, ფეხბურთი ტიფოზებისთვის მთელი ცხოვრებაა და როდესაც ხვდები რამხელა სიხარული მიანიჭე მათ, თავს უბედნიერესად გრძნობ.

შეხვედრა მაღალ ტემპში წარიმართა და მუდმივად იგრძნობოდა ის დაძაბულობა, რომელზეც რომში ჩამოსვლის დღიდან არაერთხელ მსმენოდა. ზურგს ხანგრძლივი კარიერა მიმაგრებს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რომაული გუნდების დაპირისპირება ყველასგან გამორჩეულია. აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სატურნირო ცხრილს და იმას, თუ რომელი გუნდი როგორ ფორმაში იმყოფება. ერთი სიტყვით, დერბისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე და დიდი იმედი მაქვს, რომ კიდევ არაერთ რომაულ დაპირისპირებაში მივიღებ მონაწილეობას.

### კალჩო

იტალიური ფეხბურთი დაახლოებით ისეთია, როგორიც წარმომედგინა - ტაქტიკურად გადატვირთული, ხისტი და ემოციური. აქ პრაქტიკულად წარმოუდგენელია, რომ ერთმა გუნდმა მეორე ექვსი და შვიდი ბურთის სხვაობით დაამარცხოს, როგორც ეს სხვა ჩემპიონატებში ხშირად ხდება. თითოეულ პაექრობაში ბოლომდე კონცენტრირება და მაქსიმალურად დახარჯვაა საჭირო იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიო. ასეთი ფრაზები ზოგადად ძალიან ხშირად ისმის, მაგრამ მერწმუნეთ, ყველაზე უფრო მეტად ეს ყველაფერი იტალიის სერია A-ს მიესადაგება.

### სამომავლო გეგმები

„ლაციოსთან" 2014 წლამდე მაკავშირებს ხელშეკრულება და დიდი იმედი მაქვს, რომ ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. მსურს, დარჩენილი პერიოდი სწორედ „ბიანკოჩელესტეში" გავატარო, შემდეგ კი ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც მივიღო მონაწილეობა. შესაძლოა, ბევრს ეს უტოპიად მოეჩვენოს, მაგრამ თუ რაღაც გულით გინდა და თავს არ დაზოგავ, აუცილებლად მიაღწევ. აი, შემდეგ კი ნამდვილად დავასრულებ კარიერას და ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ.

ხშირად მსმენია განცხადებები იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ მოთამაშეს ფეხბურთი მობეზრდა და კარიერის დასრულებაზე უჭირავს თვალი. ჩემს შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად არის, რაც დრო გადის, ფეხბურთისგან უფრო მეტ სიამოვნებას ვიღებ და ჩემი ნება რომ იყოს, კარიერას არასდროს დავასრულებდი. თუმცა, ასაკს თავისი მიაქვს და ერთ არც თუ მშვენიერ დღეს, საყვარელ საქმესთან დამშვიდობება მომიწევს.

### შემდეგ...

სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბებულვარ არის თუ არა მწვრთნელობა ჩემი საქმე. სურვილი ნამდვილად მაქვს, მაგრამ რამდენად კარგად გამომივა, ამაში არ ვარ დარწმუნებული. პასუხისმგებლობით ვიარე მთელი განვლილი წლები და არ მსურს ისეთ საქმეს მოვეჭიდო, რომელშიც ვერ ვივარგებ. ამიტომ, ჯერ კარგად უნდა დავფიქრდე და საამისო დრო ნამდვილად მექნება. როგორც უკვე აღვნიშნე, კარიერის დასრულებას 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვაპირებ, იქამდე კი დიდი დროა დარჩენილი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ფეხბურთში დავრჩები, რადგან რასაც წარმოვადგენ, სწორედ სპორტის ამ სახეობის დამსახურებაა. როგორც მინიმუმ, ვეცდები, რომ ახალ თაობას გავუზიარო გამოცდილება და მათ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებაში დავეხმარო. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**ლაშა ნიკლაური**

იუვენტუსი

# სკუდეტო? რატომაც არა!


კლაუდიო მარკიზიო

„იუვენტუსისთვის" სეზონის სტარტი წარმატებული გამოვიდა, განვლილ 6 პაექრობაში ტურინულ გრანდს 12 ქულა აქვს და სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს. „ბიანკონერის" წარმატებულ ასპარეზობას მილანური გრანდების ჩავარდნა კიდევ უფრო ფასეულს ხდის და ეს „იუვეს" თითოეულ ფეხბურთელს ძალიან კარგად ესმის, მათ შორის **კლაუდიო მარკიზიოს**. „ვეკია სენიორას" ერთ-ერთი ლიდერი „გაძეტა დელო სპორტს" საკმაოდ საინტერესოდ ესაუბრა:

*„მართალია, ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ ექვსი ტურია გასული, მაგრამ მაინც ძალიან სასიამოვნოა, რომ სატურნირო ცხრილს სათავეში ვუდგავართ. ეს იმას ნიშნავს, რომ არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს და ვალდებულნი ვართ, აღებული ტემპი არ დავაგდოთ. მომდევნო ორ პაექრობას საკუთარ მოედანზე ვატარებთ და დიდი იმედი მაქვს, რომ ექვს ქულას ჩავიწერთ აქტივში. ეს შესანიშნავი შანსია იმის, რომ მდევრებს გვარიანად გავუსწროთ, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ინტერი

# შეშფოთებული მორატი
## და ოპტიმისტი სნეიდერი



სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში „ინტერის" კატასტროფულ სტარტს **მასიმო მორატი** დიდხანს არ იმჩნევდა, თუმცა „კატანიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, თავი ველარ მოთოკა და პრესას შეშფოთება გაუზიარა. სანამ სიტყვას „ინტერის" პრეზიდენტს გადავცემდეთ, დავძინოთ, რომ იტალიურ საფეხბურთო პრესაში აქტიურად მუსირებს აზრი „ნერაძურის" სპორტული დირექტორის, **მარკო ბრანკას** ზამთარში მადრიდის „რეალში" გადაბარგების შესახებ. მორატი ამ საკითხსაც შეეხო და უმჯობესია, სიტყვა სწორედ მას გადავცეთ:

*„როდესაც გუნდი ამდენი ხანია წარუმატებლად ასპარეზობს, რთულია არ შეშფოთდე და გამოსავალზე არ დაიწყო ფიქრი. ერთი ცხადია, მთავარ მწვრთნელს ვერ შევცვლით და მდგომარეობა სწორედ კლაუდიო რანიერიმ უნდა გამოასწოროს. ბევრს მიაჩნია, რომ სატრანსფერო ბაზარზე არ ვიაქტიურეთ, მაგრამ ამ მოსაზრებას ვერაფრით დავეთანხმები - ჩვენ არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გადავიბირეთ და გადავწონეთ ის დანაკლისი, რაც სამუელ ეტოოს წასვლით მივიღეთ. ამაში რანიერიც დამეთანხმა, რომელსაც არაერთხელ ვესაუბრე და ვიცი, რომ ძალიან კმაყოფილია მის ხელთ არსებული კონტიგენტით. გამომდინარე აქედან, იმედს არ ვკარგავ, რომ ვითარება უმოკლეს დროში გამოსწორდება.*

*რაც შეეხება მარკო ბრანკას „რეალში" შესაძლო გადაბარგების თემას, ამ ამბავმა ჩემამდეც მოაღწია, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჯერ ბოლომდე არ ვარ ინფორმირებული. მარკოსთან ახლო მომავალში ვაპირებ დალაპარაკებას და ყველაფერს გავარკვევ. ნებისმიერ ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ არჩევანი გააკეთოს და ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე სამუშაო გარემო გამოიცვალოს. თუმცა, დიდი იმედი მაქვს, რომ ბრანკა ჩვენთან დარჩება".*

პრესასთან გასაუბრება „ინტერის" ერთ-ერთმა ლიდერმა **ვესლი სნეიდერმაც** გადაწყვიტა და შემდეგი განაცხადა: *„სიმართლე გითხრათ, არ ვნერვიულობ სეზონის ჩაგდებულ სტარტზე, რადგან ჩვენს შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და მდგომარეობის გამოსასწორებლადაც უამრავი დრო გვაქვს. „ინტერი" დღესაც პრაქტიკულად ის გუნდია, რომელმაც ორი წლის წინ აბსოლუტურად ყველაფერი მოიგო და შესაბამისად, პოტენციალი კვლავაც უდიდესი გააჩნია. ასე რომ, ყურების ჩამოყრა ჩვენი მხრიდან უგუნურობა იქნება, მთავარია საკუთარი ძალების ვირწმუნოთ და ყველაფერი კარგად იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## ისევ დეპრესია: ამჯერად ფენინი!

ჩეხეთის ნაკრების თავდამსხმელი **მარტინ ფენინი** შაბათს კლინიკაში ტვინში სისხლჩაქცევის დიაგნოზით მიიყვანეს. 24 წლის ფორვარდს, რომელიც გულშემატკივრებს ჩეხეთის ნაკრების გარდა, ფრანკფურტის „აინტრახტიდან" ეხსომებათ და რომელიც ახლა „კოტბუსის" ფორვარდია, სისხლჩაქცევა უმძიმესი დეპრესიების ფონზე დაემართა. მისი მდგომარეობა სტაბილურია. გაირკვა, რომ ფენინი დიდი ხანია, ფსიქოლოგებთან მკურნალობს.

*„რამდენიმე თვეა, საშინელი დეპრესიები მაქვს, თავს მარტოდ ვგრძნობ და საკუთარ თავს ველარ ვაკონტროლებ. იმედი მაქვს, რომ ამ მდგომარეობიდან მალე გამოვალ,"* - ნათქვამია ფენინის ოფიციალურ განცხადებაში.

## ნეაპოლში ბაიერნის ფანები დაჭრეს

გუშინ, „ნაპოლისა" და „ბაიერნის" დაპირისპირების დაწყებამდე, ნეაპოლის ქუჩებში ამ გუნდების გულშემატკივრებს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა. აქედან, ერთი განსაკუთრებით მძიმე შედეგით დასრულდა: მიუნხენური გრანდის ორი ფანი „ნაპოლის" ქომაგებმა ჯერ სცემეს, მერე კი დანებით რამდენიმე მსუბუქი ჭრილობა მიაყენეს. დაშავებულთაგან, „ბაიერნის" ერთი ფანი 42 წლისაა, მეორე კი 47-ის. მათი მდგომარეობა არ დამძიმებულა – საავადმყოფოდან უკვე ორივე გამოწერილია.

**გოტფრიდ ლენცი**

Made in GERMANY
REHAU
Unlimited Polymer Solutions
ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.


შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოკრედიტით" და დაიბრუნეთ დირებულების 15% უკან
ა-3ე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
კაკალიძის 2 245 02 05 www. fanjara.ge

ესპანეთი. ლა ლიგა. VII ტურის შეჯამება

# LFP VS UFO

## ბრძოლა უცხოპლანეტელებთან ჯერ კიდევ გრძელდება

ჩემპიონატის თითქმის მეხუთედი გაილია და ჯერჯერობით „ბარსელონა“ და „რეალი“ ვერ ახერხებენ მდევრებისგან მოწყვეტას. რაშიც დიდი დამსახურება სხვა კლუბებს მიუძღვის, განსაკუთრებით კი - ვეტერანებით დაკომპლექტებულ „ლევანტეს“. ვნახოთ, როდემდე გაგრძელდება მათი ჭიდილი „უცხოპლანეტელებთან“. ყოველ შემთხვევაში, ამით მხოლოდ მოიგებს პრიმერა. გამოიკვეთა გუნდი, რომლის მდგომარეობასაც კატასტროფული ეთქმის - ხიხონის „სპორტინგს“ ერთადერთი ქულა აქვს 7 მატჩში.

ტური ისე არ გავა, ერთი საოცარი გოლი მაინც არ გავიდეს. ამჯერად „სარაგოსას“ პორტუგალიელი ფორვარდის, **ელდერ პოშტიგას** ჯერი დადგა, რომელმაც „რეალ სოსიედადის“ კარში ბრწყინვალე მაკრატელა გაიტანა „ცხრიანში“ თითქმის საჯარიმოს ხაზიდან.

### მუნიაინი - ბასკი ასფურცელა

ტრადიციულად, მიმოხილვას ორშაბათის მატჩით ვიწყებთ - ბასკურ-ნავარულ დაპირისპირებაში ბილბაოს „ატლეტიკომ“ „საფეხბურთო კათედრალზე“ „ოსასუნა“ 3:1 დაამარცხა. ისე გამოდის, რომ ბილბაოელები მხოლოდ ბასკებს ერჩიან - ორჯერ მოიგეს ჩემპიონატში „რეალ სოსიედადთან“ და „ოსასუნასთან“. რაც მთავარია, **მარსელო ბიელსას** გუნდმა ღრმა კრიზისი დასძლია და ცხრილის შუაში დამკვიდრდა.

ბილბაოელებს ლიდერი **ხავი მარტინესი** დაუბრუნდათ, რომელიც გოლითაც შეეწია გუნდს, თუმცა მასპინძელთა გამარჯვების მთავარი შემოქმედი მაინც 18 წლის **იკერ მუნიაინი** გახლდათ. ეს ბიჭი ზღაპრის პერსონაჟივით დღითი დღე იზრდება. „მარკა“ წერს, რომ იკერს „ბილბაოს“ თამაშში რევოლუცია შემოაქვს. ბიელსა კმაყოფილი დარჩა: *„ჩვენ ვიყავით სოლიდურები და მეტოქეზე ძლიერები. რაც ყველაზე მთავარია, კარგად გამოჩნდა, რომ მომატჩების პოტენციალი დაგვრჩა“*, - განაცხადა არგენტინელმა მწვრთნელმა.

### ბარსა-რეალობა

ორივე გრანდმა დიდი ანგარიშით მოიგო - „ბარსელონამ“ 3:0 აჯობა **ექტორ კუპერის** „რასინგს“, ხოლო „რეალმა“ 4:1 მოუგო „ბეტისს“. „ბარსა“ 17 ქულით პირველია, „რეალი“ მას ქულით ჩამორჩება და მე-3 ადგილზეა. შუაში კი სეზონის აღმოჩენა „ლევანტეა“ გაჩხერილი, ლიდერის დარად 17 ქულით.

ამ ორი თამაშიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უფრო თვალსასეირო გამოდგა, რადგან „ბარსამ“ თავიდანვე გატეხა კანტაბრიული გუნდი, რომელსაც ძალზე სუსტი შემოქმედი ფეხბურთელები ჰყავს, ხოლო „ბეტისმა“ მადრიდში ტაიმი ვაჟკაცურად გაძლო. თამაშის დღეს **მესუთ იოზილი** 23 წლის გახდა, თუმცა იუბილარი გერმანელი არ ყოფილა ამ მატჩის მთავარი მოქმედი გმირი - **გონსალო იგუაინმა** ყველა გააკვირვა, როცა ზედიზედ 4 მატჩში (2-2 საკლუბო და სანაკრებო) 3 ჰეთ-თრიკი შეასრულა! მის გარდა 2-2 საგოლე პასით გამორჩეულ **კრიშტიანო რონალდოს** და ანხელ დი მარიას გამოვყოფთ, ასევე კაკას. პორტუგალიელმა სუპერვარსკვლავმა „რეალის“ მაისურით მე-100 საგოლე პასი გააკეთა. იცით, რამდენი თამაში ითამაშა „სამეფო კლუბში“ კრიშტიანომ? 99! (ლიგის წუხანდელი მატჩის ჩათვლით, 100) და 95 გოლი გაიტანა. მოდი, წინადადება დავაწყოთ: კრიშტიანო რონალდომ „რეალის“ მაისურით 99 შეხვედრაში 95 გოლი გაიტანა და 100 საგოლე პასი გააკეთა - ვაუ!

ამ თამაშში სერხიო რამოსთან ორთაბრძოლაში დაშავდა პრიმერადივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა წევრი **ალვარო ვადილიო** (ბეტისელი ახლახან გახდა 17 წლის). სხვათა შორის, როგორც კი თამაში დამთავრდა, რამოსმა პირველ რიგში ახალგაზრდა მოიკითხა. *„ძალიან გაუხარდა, რომ მოვიკითხე და მითხრა, რომ არაფერ შუაში ვარ, ეს იყო შემთხვევითობა. ვთხოვე, რომ გამოკვლევის შემდეგ შემეხმიანოს. ვადილიო ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრების წევრია და მას დიდი მომავალი აქვს. ვუსურვებ, მალე გამოჯანმრთელებას“.*

„ბარსელონასა“ და „რასინგის“ მატჩზე სასაუბრო ბევრიც არაფერია - კატალონიელები ერთი თავით სჯობდნენ კანტაბრიელებს, **ლიონელ მესიმ** ორი გოლი გაიტანა (პირველი ძალიან კარგი იყო), ხოლო ტანდაბალმა **ჩავიმ** თავით გაიტანა. **ჟერარდ პიკემ** ორთავა კუნთი დაიზიანა და „ბარსას“ 15 დღით დააკლდება. მოკლედ, დაცვის ცენტრში ხან ერთია ლაზარეთში და ხან - მეორე (**კარლეს პუიოლი**), ხანაც - ორივე ერთად. სამაგიეროდ, გუნდს **სესკ ფაბრეგასი** გამოუჯანმრთელდა, ხოლო **ალბერტ ფონტასმა** 2015 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი, **ერიკ აბიდალმაც** კონტრაქტის გაგრძელებაზე სიტყვა „დაასველა“. სხვათა შორის, ფრანგმა ყველაზე მეტჯერ, 18-ჯერ მოუპოვა გუნდს ბურთი, არადა, შეცვლაზე შევიდა. „ბარსა“ 5-ჯერ დაჯარიმდა მხოლოდ, მასპინძლებმა 907 ზუსტი პასი გააკეთეს, სტუმრებმა - 129.




სეზონის აღმოჩენა, ლევანტე



ჩვეული სცენა: ლიონელ მესი მტრის ზურგში

### მესი VS რონი

ტიტანთა ბრძოლაში აქამდე (ჩვენი გამოთვლით) 4:3 იყო. ლიონელ მესიმ „რასინგთან“ 7-ჯერ დაარტყა კარისკენ, რომელთაგანაც 4 ზუსტი იყო, 2 გოლი გაიტანა, 5-ჯერ მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ.

კრიშტიანო რონალდომ 4-ჯერ დაარტყა კარისკენ (1 ზუსტი დარტყმა), 2 საგოლე გადაცემა გააკეთა, 3-ჯერ მოხვდა თამაშგარეში და ერთხელ დაჯარიმდა. მოკლედ, 5:3 მესის სასარგებლოდ...

**ტურის სიმბოლური ნაკრები**

GOAL.COM 3-4-3

**ხავი ვარასი** (სევილია, 1) - **ადილ რამი** (ვალენსია, 4), **ივან რამისი** (მალიორკა, 1), **ალვარო არბელოა** (რეალი, 2) - **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა, 1), **ჩავი** (ბარსელონა, 3), **გარი მედელი** (სევილია, 1), **ხოსე ბარკერო** (ლევანტე, 2) - **ელდერ პოშტიგა** (სარაგოსა, 1), **გონსალო იგუაინი** (რეალი, 2), **ლიონელ მესი** (ბარსელონა, 4).

**ტურის გმირი**

**გონსალო იგუაინი** (რეალი) - ჰეთ თრიკი „ბეტისის“ კარში.

**ტურის ფრაზები**

**კაკა**: *„ერთ რამედ ღირდა ის გრძნობა, რაც მაშინ განვიცადე, როცა შემცვალეს - მთელი „სანტიაგო ბერნაბეუ“ ფეხზე ამდგარი მიკრავდა ტაშს“*, - „ბეტისთან“ გოლის გატანის შემდეგ.

**ჟოზე მოურინიო**: *„ჩემთვის არ არსებობს სიტყვა სტარტერი, როცა გუნდში ამდენი ბრწყინვალე ფეხბურთელი მყავს“*, - „ბეტისის“ 4:1 დამარცხების შემდეგ.

**გონსალო იგუაინი**: *„როცა ფეხბურთს თავს დავანებებ, ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ ამ სამ ჰეთ თრიკს“*, - „ბეტისის“ კარში 3 გოლის გატანის შემდეგ.

**პედრო მუნიტისი**: *„მოუგო „ბარსას“ - დღეს ეს ფანტასტიკაა“*, - „რასინგის“ ვეტერანი „ბარსასთან“ 0:3 მარცხის შემდეგ.

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„რეფერიმ მესის ნაქცევისთვის პენალტი იმიტომ არ დანიშნა, რომ ვერ დაინახა ეპიზოდი“*, - საკამათო ეპიზოდზე საუბრისას.

**ექტორ კუპერი**: *„კამპ ნოუზე“ გოლის გატანა ნიშნავს, რომ დაამტკიცო - შენ მართალი ხარ, ისინი კი მტყუანები“*, - 0:3 მარცხის შემდეგ.

**ხუან იგნასიო მარტინესი**: *„ყველაფერს ველოდი, მაგრამ ამას არა“*, - „ლევანტეს“ თავკაცი, მას მერე, რაც „მალაგა“ 3:0 დაამარცხა.

**მანუელ პელეგრინი**: *„ეს იყო ძალიან უცნაური მატჩი“*, - „ლევანტესთან“ 0:3 მარცხის შემდეგ.

**ხოაკინ კაპაროსი**: *„მეორე ტაიმების გუნდი უნდა გავხდეთ“*, - „ვალენსიასთან“ 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ.

### ტურის სტატისტიკა

23 გოლი ტურში (2,3 მატჩში). 6 თამაში მოიგეს მასპინძლებმა; 3 ფრით დასრულდა, სტუმრებმა ერთი მოიგეს. ტურში მსაჯებმა 56 ყვითელი და 2 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი - **გონსალო იგუაინი** (რეალი).

დუბლი - **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **ელდერ პოშტიგა** (სარაგოსა)

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ალვარო ვადილიო** (ბეტისი, 17 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: 82 225 - „კამპ ნოუ“
ყველაზე ნაკლები მაყურებელი: 8 000 - „ალფონსო პერესი“
ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: 20 - ბარსელონა
ყველაზე მეტი დარტყმა კარში: 9 - ბარსელონა
ყველაზე მეტი ჯარიმა: 20 - სპორტინგი
ყველაზე მეტი კუთხური: 11 - ბილბაო
ყველაზე მეტი თამაშგარე: 9 - რეალი
ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: 80% - ბარსელონა

| | |
|---|---|
| მალიორკა-ვალენსია | 1:1 |
| ხეტაფე-ვილიარეალი | 0:0 |
| რეალი-ბეტისი | 4:1 |
| ბარსელონა-რასინგი | 3:0 |
| გრანადა-ატლეტიკო | 0:0 |
| რაიო ვალეკანო-ესპანიოლი | 0:1 |
| სარაგოსა-რეალ სოსიედადი | 2:0 |
| ლევანტე-მალაგა | 3:0 |
| სევილია-სპორტინგი | 2:1 |
| ბილბაო-ოსასუნა | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 0 | 26-4 | 17 |
| 2. ლევანტე | 7 | 5 | 2 | 0 | 11-3 | 17 |
| 3. რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 24-6 | 16 |
| 4. სევილია | 7 | 4 | 3 | 0 | 8-4 | 15 |
| 5. ვალენსია | 7 | 4 | 2 | 1 | 10-7 | 14 |
| 6. მალაგა | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 7. ბეტისი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-11 | 12 |
| 8. ატლეტიკო | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 9. სარაგოსა | 7 | 2 | 3 | 2 | 9-13 | 9 |
| 10. ესპანიოლი | 7 | 3 | 0 | 4 | 6-11 | 9 |
| 11. ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| 12. მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-8 | 8 |
| 13. სოსიედადი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 14. ვილიარეალი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-11 | 7 |
| 15. ოსასუნა | 7 | 1 | 4 | 2 | 6-15 | 7 |
| 16. ვალეკანო | 7 | 1 | 3 | 3 | 6-11 | 6 |
| 17. ხეტაფე | 7 | 1 | 2 | 4 | 6-10 | 5 |
| 18. გრანადა | 7 | 1 | 2 | 4 | 2-8 | 5 |
| 19. რასინგი | 7 | 0 | 4 | 3 | 4-12 | 4 |
| 20. სპორტინგი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-12 | 1 |

**ბომბარდირები:** 10 - **მესი** (ბარსელონა); 8 - **იგუაინი** (რეალი); 7 - **რონალდო** (რეალი); 5 - **სოლდადო** (ვალენსია), **ფალკაო** (ატლეტიკო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური



ნაპოლი-ბაიერნი 1:1

# სამეფო კლუბი უდანაკარგოა

## ნოიერს კი ისევ თავისიანმა გაუტანა

ერთადერთი გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოა, **ჟოზე მოურინიოს** „რეალია“, რომელიც 9 ქულით და ბურთების შესაშური შეფარდებით - 8-0 ლიდერობს თავის ჯგუფს. „ლიონის“ „სამეფო კლუბის“ დამახასიათებელი სინდრომისგან ნატამალიც აღარ დარჩა - წუხელ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ესპანურმა გრანდმა გადაურბინა ფრანგულს - 4:0. სხვათა შორის, ანგარიში ფრანგთა კარში სწორედ ფრანგმა გახსნა, თანაც ყოფილმა ლიონელმა - **ქარიმ ბენზემამ**, რომელიც შემდეგ საგოლე პასით შეეწია **სამი ხედირას**. „რეალის“ სხვა გოლები **მესუთ იოზილისა** და **სერხიო რამოსის** ანგარიშზეა. მიუხედავად ამისა, მადრიდელებს ჯერ განაღდებული არა აქვთ პლეიოფის საგზური, თუმცა, ისინი რომ ამას შეძლებენ, ეს არავის ეპარება.

გაგიკვირდებათ და, წლევანდელ გათამაშებაში პირველად მოიგო შარშანდელმა ფინალისტმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ - უეფასგან შერისხულმა (3-მატჩიანი [illegible] დისკვალიფიკაცია) **უეინ რუნიმ** „სტუმრად „ოცელულს“ დუბლი შეუსრულა, ორივე პენალტით - 2:0. „მანჩესტერი“ ჯგუფში მეორეა 5 ქულით და 2 ქულით ჩამორჩება ლისაბონის „ბენფიკას“.

„ინტერმა“, რომელსაც საშინაო პირველობაზე კრიზისი აქვს, მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა საფრანგეთში „ლილთან“, ხოლო „ბაიერნის“ მეკარე **მანუელ ნოიერს**, როგორც იქნა, გაუტარეს, ოლონდ ბურთი ისევ თავისიანმა, **ჰოლგერ ბადშტუბერმა** გაუტანა, „ნაპოლი“ კი გერმანულ გრანდს დაუზავდა - 1:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**A ჯგუფი**

**ნაპოლი-ბაიერნი 1:1**

**ნაპოლი (3-4-3):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, არონიკა – მაჯო, ინლერი (89. სანტანა), გარგანო, სუნიგა – ჰამშიკი (90. მასკარა), კავანი (80. ძემაილი), ლავეცი.
**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი (90. ალაბა) – გომესი (90. ლუიზ გუსტავო).
**გოლები:** 0:1 კროოსი (2), 1:1 ბადშტუბერი (39 ს.კ.)
**გაფრთხილება:** კანავარო, მაჯო, სუნიგა, ლავეცი - ბადშტუბერი, შვაინშტაიგერი, რიბერი, მიულერი, კროოსი
**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 13-24; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 3-10 (1-4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.
**მაყურებელი:** 60 240
**არბიტრი:** ო. ბენკერენშა (პორტ)

**მანჩესტერ სიტი-ვილიარეალი 2:1**

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** ჰარტი – საბალეტა, კომპანი, ლესკოტი, კოლაროვი – დე იონგი (62. აგუერო), იაია ტურე – ნასრი (80. მილნერი), სილვა, ჯონსონი (40. ბერი) – ჯეკო.
**ვილიარეალი (4-2-3-1):** დიეგო ლოპესი – საპატა, მარჩენა, გონსალო, კატალა – ბრუნო, ბ. ვალერო - დე გუზმანი (88. გულონი), პერესი (80. ვაკასო), კანი (82. გასპარი) – როსი.
**გოლები:** 0:1 კანი (4), 1:1 მარჩენა (43 ს.კ.), 2:1 აგუერო (90)
**გაფრთხილება:** კატალა, როსი, გასპარი
**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 9-1; **კარში დარტყმა:** 14-12 (7-4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.
**მაყურებელი:** 43 300
**არბიტრი:** პ. კრალოვეცი (ჩეხეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. ნაპოლი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. ვილიარეალი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

**B ჯგუფი**

**ცსკა-ტრაბზონი 3:0**

**ცსკა (4-4-2):** გაბულოვი – ფედეტოვი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი – ძაგოევი, მამაევი (69. შემბერასი), ალდონინი, ტოშიჩი (62. ცაუნია) - დუმბია (88. რაჰიმიჩი), ვაგნერ ლავი.
**ტრაბზონი (4-2-3-1):** ზენგინი – ჩელუსტკა, კაჩარი, გლოვაცკი, ჩეხი (75. საპარა) – ბალჩი, კოლმენი, ზოკორა, ალანზინიო (46. ბროძკი) - მიერჟიევსკი - ჰალილ ალტინთოფი (90. აკგიუნი).
**გოლები:** 1:0 დუმბია (29), 2:0 ცაუნია (76), 3:0 დუმბია (86)
**გაფრთხილება:** მამაევი - გლოვაცკი, ზოკორა, კოლმენი
**კუთხური:** 1-9; **ჯარიმა:** 15-17; **თამაშგარე:** 0-10; **კარში დარტყმა:** 11-10 (4-1); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.
**მაყურებელი:** 18 000
**არბიტრი:** მ. კლატენბურგი (ინგლისი)

**ლილი-ინტერი 0:1**

**ლილი (4-3-3):** ენიეამა – დებუში, ჩეჯუ, ბასა, ბერია – ბალმონი (81. გიე), მავუბა, პედრეტი (63. პიე) – კოული (74. ობრანიაკი), სოვი, აზარი.
**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, კივუ, ნაგატომო – მოტა, კამბიასო, ძანეტი – სნეიდერი (67. სტანკოვიჩი) – პაცინი (81. მილიტო), სარატე (63. ობი).
**გოლი:** 0:1 პაცინი (21)
**გაფრთხილება:** ჩეჯუ, პედრეტი - კივუ, მოტა
**კუთხური:** 12-3; **ჯარიმა:** 22-21; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 9-4 (5-3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.
**მაყურებელი:** 17 000
**არბიტრი:** ჰ. ვები (ინგლისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 2. ცსკა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-5 | 4 |
| 3. ტრაბზონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 4. ლილი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |

**C ჯგუფი**

**ოცელული-მანჩესტერი 0:2**

**ოცელული (4-3-3):** გრაჰოვაცი – რაპა, პერენდიია, კოსტინი, სალაგეანუ – ნეაგუ (72. პენა), ფილიპი, გიურგიუ – ანტალი, პუნოშევაცი (87. ვილიანტი), ფრუნზა (83. ილიე).
**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** ლინდეგაარდი – ფაბიო (76. ჯონსი), სმოლინგი, ვიდიჩი, ევრა – ვალენსია (71. ევანსი), ქერიკი, ანდერსონი, ნანი – რუნი, ერნანდესი.
**გოლები:** 0:1 რუნი (64-პენ), 0:2 რუნი (90-პენ)
**გაფრთხილება:** რაპა, პერენდია, ნეაგუ, კოსტინი, გიურგიუ - ქერიკი
**გაძევება:** ვიდიჩი (67), პერენდია (89)
**კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 18-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-10 (2-7); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.
**მაყურებელი:** 28 040
**არბიტრი:** ფ. ბრიხი (გერმანია)

**ბაზელი-ბენფიკა 0:2**

**ბაზელი (4-4-2):** ზომერი – შტაინჰიოფერი, აბრაჰამი, დრაგოვიჩი, პარკი – ფ. ფრაი (66. ზუა დაუგარი), ჰუგელი (85. ჩიპერფილდი), ჩაკა (80. კაბრალი), შაქირი – ა. ფრაი, შტრელერი.
**ბენფიკა (4-3-3):** არტური – მაქსი პერეირა (78. ვიტორი), ლუიზაო, გარაი, ემერსონი – ხავი გარსია, გაიტანი, სეზარი - ვიტსელი, აიმარი (67. ნოლიტო), როდრიგო (71. კარდოსო).
**გოლები:** 0:1 სეზარი (20), 0:2 კარდოსო (75)
**გაფრთხილება:** შტრელერი, ჰუგელი, შაქირი, ა. ფრაი - ემერსონი, არტური
**გაძევება:** ემერსონი (86)
**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 14-7 (9-5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 35 800
**არბიტრი:** ვ. კაშაი (უნგრეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 5 |
| 3. ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-6 | 4 |
| 4. ოცელული | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

**D ჯგუფი**

**რეალი-ლიონი 4:0**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – არბელოა, რამოსი, პეპე, მარსელო – ხედირა (62. კოენტრაო), ჩაბი ალონსო – რონალდო, იოზილი (66. კაკა), დი მარია – ბენზემა (72. იგუაინი).
**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი – რევეიერი, კრისი, კონე, სისოხო – კალსტრიომი, ფოფანა – ბრიანი, გურკუფი (66. ედერსონი), ბაშტოში – გომისი (80. დაბო).
**გოლები:** 1:0 ბენზემა (19), 2:0 ხედირა (48), 3:0 იოზილი (55), 4:0 რამოსი (81)
**გაფრთხილება:** ჩაბ ალონსო, რონალდო - კონე, ბრიანი
**კუთხური:** 8-1; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 17-4 (8-1); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.
**მაყურებელი:** 70 000
**არბიტრი:** ჩ. ჩაქირი (თურქეთი)

**დინამო (ზ)-აიაქსი 0:2**

**დინამო ზ. (4-2-3-1):** კელავა – ვიდა, შიმუნიჩი, ტონელი, იბანიესი – კალელო (80. ტომაჩეკი), ლეკო - ბადელი (46. კოვაჩიჩი), სამირი, რუკავინა – ბექირაი.
**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი – ვან დერ ვილი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ანიტა – ენო, ერიკსენი (90. ლოდეირო), იანსენი – სულეიმანი, ს. დე იონგი, ბოერიგტერი (70. ბულიკინი).
**გოლები:** 0:1 ბოერიგტერი (49), 0:2 ერიკსენი (90)
**გაფრთხილება:** ვიდა, კალელო, სამირი, შიმუნიჩი, ტომაჩეკი - ბოერიგტერი
**კუთხური:** 2-9; **ჯარიმა:** 2-9; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10-18 (7-11); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.
**მაყურებელი:** 25 700
**არბიტრი:** მ. გრეფე (გერმანია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2. ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 3. აიაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 4. დინამო (ზ) | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |



უცხოური ფეხბურთი

ოთხშაბათის მატჩების წინ

# ბორუსია ბარიოსის გარეშე!

## გადამწყვეტი ჯახები ლევერკუზენში, პირეოსსა და დონეცკში

**E ჯგუფი**

**ლევერკუზენი-ვალენსია**

ჯგუფის ლიდერი და ფავორიტი „ჩელსია“. ფაქტობრივად არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ლონდონური კლუბი პირველ ადგილზე გავა. აქედან გამომდინარე, „ლევერკუზენისა“ და „ვალენსიას“ დაპირისპირებებს მეორე ადგილისთვის ბრძოლის კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

გერმანიის ვიცე-ჩემპიონი ამ სეზონში ერთობ არასტაბილური გუნდია – ახალი მწვრთნელის, **რობინ დუტის** კონცეფცია ხშირად ვერ ამართლებს. „ფარმაცევტებმა“ ვერც გასულ უქმეებზე მოიგეს (2:2 „გლადბახთან“) და მადლობა უნდა თქვას, რომ არ წააგეს. ჩემპიონთა ლიგაში კი „ბაიერს“ ორი ტურის შემდეგ სამი ქულა აქვს და სწორედ „ვალენსიასთან“ ორმა დუელმა უნდა გაარკვიოს, შეუძლიათ თუ არა ლევერკუზენელებს ჯგუფიდან გასვლა. თავის მხრივ, „ვალენსია“ ნორმალურ ფორმაშია – „ღამურები“ პრიმერადივიზიონის საუკეთესო ოთხეულში ბინადრობენ. **უნაი ემერის** გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „მალიორკასთან“ 1:1 ითამაშა და იმ შეხვედრაში გუნდს **ევერ ბანეგა** იმის გამო დააკლდა, რომ ვარჯიშზე დააგვიანა და ემერიმ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. დღეს ბანეგა ისევ განაცხადში იქნება.

გერმანელებს ცენტრალური მცველი **იომერ ტოპრაკი** ჰყავდათ დაშავებული, მაგრამ ამ უკანასკნელმა გამოჯანმრთელება მოასწრო და დღეს მის მოედანზე გასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ბუნდესლიგაში დისკვალიფიცირებულ **გონსალო კასტროს** ჩემპიონთა ლიგაში თამაში შეუძლია და სავარაუდოდ, ისიც ძირითად შემადგენლობაში იქნება.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** ლენო – ბალიტში, რაინარტცი, ტოპრაკი, კადლეცი – როლფესი, ლ. ბენდერი – კასტრო, სემი – კისლინგი, დერდიოკი.
**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში – ბრუნო, რამი, ვიქტორ რუისი, ხორდი ალბა – ალბელდა, ტოპალი – პაბლო ერნანდესი, კანალესი, მათიუ – სოლდადო.
**არბიტრი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

**ჩელსი-გენკი**

„ჩელსი“ „გენკთან“ საშინაო მატჩში უპირობო ფავორიტია და სასწაული უნდა მოხდეს, ლონდონელებმა სამი ქულა რომ ვერ აილონ. თუმცა ხანდახან სასწაულებიც ხდება ხოლმე – გაიხსენეთ „მანჩესტერ იუნაიტედის“ საშინაო ფრე „ბაზელთან“ (3:3). „ჩელსიმ“ გასულ უქმეებზე საშიშ მეტოქე „ევერტონს“ 3:1 მოუგო, „გენკმა“ კი „ლოკერენთან“ არასასურველი მარცხი იწვნია და ბელგიის ჩემპიონატში მისთვის უჩვეულო, მე-9 პოზიციაზეა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი – ბოსინგვა, დავიდ ლუისი, ტერი, კოული – მალუდა, მეირელეში, ლემპარდი – სტარიჯი, ტორესი, მატა
**გენკი (4-3-1-2):** კოტელესი – ნგონგჩა, მასუერო, ვანდენ ბორე, პუდილი – ჰილანდი, დე ბრუინი, ბაფელი – ტოშერი – ოგუნჯიმი, ბარდა.
**არბიტრი:** ალექსეი ნიკოლაევი (რუსეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. ვალენსია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. გენკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

**F ჯგუფი**

**მარსელი-არსენალი**

„ოლიმპიკს“ ორივე თამაში მოგებული აქვს და ჯგუფის ლიდერია, საფრანგეთის ჩემპიონატში კი ველოდრომელები კატასტროფულ მდგომარეობაში არიან – „ტულუზასთან“ 0:0-ის შემდეგ „მარსელი“ მე-15 (!) ადგილზეა. საკმარისია, ფრანგებმა ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ერთი მატჩი ჩაატარონ უმაღლეს დონეზე და ჯგუფის მთავარი ფავორიტი „არსენალიც“ დაამარცხონ, რომ მერვედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამენ.

ჯერჯერობით ამ სეზონში ლონდონური კლუბიც ვერ დაფრინავს: **არსენ ვენგერის** გუნდმა „სანდერლენდთან“ მოგებული თამაშის (2:1) შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ ცხრილის შუაში აინაცვლა.

**სავარაუდო შემადგენლობა**

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა – ასპილიკუეტა, ნ'კულუ, დიავარა, მორელი – ლუჩო გონსალესი, დიარა, შეირუ – ვალბუენა, რემი, ა. აიუ.
**არსენალი (4-3-3):** შჩესნი – ჯენკინსონი, მერტეზაკერი, კოშელნი, სანტოსი – არტეტა, სონგი, როსიცკი – უოლკოტი, ვან პერსი, ჟერვინიო.
**არბიტრი:** დამირ სკრომინა (სლოვენია)

**ოლიმპიაკოსი-ბორუსია (დ)**

„მარსელისა“ და „არსენალისგან“ განსხვავებით, დორტმუნდის „ბორუსიამ“ ბუნდესლიგაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოასწორა და 9 ტურის შემდეგ საუკეთესო სამეულშია. აქედან გამომდინარე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ **იურგენ კლოპის** გუნდმა პროგრესი ჩემპიონთა ლიგაშიც უნდა განიცადოს. ფაქტია, რომ ორ თამაშში ერთი ქულა და ბოლოსწინა ადგილი გერმანიის ჩემპიონისთვის შეუფერებელი, ცუდი შედეგია. თუმცა კლუბის ხელმძღვანელები ამბობენ, ჩვენი „პური და ყველი ბუნდესლიგაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ რომელიმე ტურნირისთვის პრიორიტეტის მინიჭებაზე მიდგა საქმე, ჩემპიონთა ლიგას აუცილებლად გერმანიის ჩემპიონატს ვამჯობინებთო...“

თუმცა, კლოპის თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბორუსია“ ჩემპიონთა ლიგას ფეხებზე იკიდებს. *„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ „ოლიმპიაკოსს“ ორივე თამაში მოვუგოთ და მერვედფინალში გასვლისთვის ბრძოლა გავაგრძელოთ. ფაქტია, რომ საბერძნეთიდან სამი ქულის წამოღება ძალიან ძნელი იქნება. ყველაფერთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერძენი ხალხი დღეს უკმაყოფილოა გერმანიით და შესაბამისად, სტადიონზე ჯოჯოხეთი გველის,“* - განაცხადა კლოპმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, იურგენი როტაციას მიმართავს და ძირითად შემადგენლობაში, მეორე საყრდენად **ილქაი გიუნდოგანის** ნაცვლად **სებასტიან კელს** ათამაშებს, **ივან პერიშიჩის** ნაცვლად **შინჯი კაგავას** გაამწესებს, მარჯვენა მცველის პოზიციაზე კი, ძირითადში ისევ **ლუკაშ პიშჩეკს** დააბრუნებს, რადგან პარასკევს „ვერდერის“ კარში გატანილი მეორე გოლის ავტორი **პატრიკ ოვომოიელა** დაშავდა. ტრავმა მიიღო ახლახან გამოჯანმრთელებულმა თავდამსხმელმა **ლუკას ბარიოსმაც**, რომელიც კლოპმა საბერძნეთში ასევე არ წაიყვანა.

საკადრო პრობლემები არც „ოლიმპიაკოსს“ აკლია: **ტოროსიდისი, იესტე** და **ფუსტერი** ტრავმირებულები არიან. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა მარცხენა მცველი **ჰოლებასი**.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** კოსტანცო – მოდესტო, ა. პაპადოპულოსი, მელბერგი, ჰოლებასი – ორბაისი, მაკუნი – მირალასი, იბაგასა, აბდუნი – ჯებური.
**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, ლიოვე – ს. ბენდერი, კელი – გიოტცე, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.
**არბიტრი:** ბას ნიჰუისი (ჰოლანდია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. ბორუსია (დ) | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**G ჯგუფი**

**პორტუ-აპოელ**

ყველაზე იოლ ჯგუფში მოხვედრით ყველაზე მეტი ხეირი პირველ ორ ტურში ნიქოზიის „აპოელმა“ ნახა – კვიპროსელებს ოთხი ქულა აქვთ და ცხრილს სათავეში უდგანან. თუმცა დღეს, „აპოელს“ ექვსიდან ყველაზე რთული მატჩი ელის: სტუმრად, ფავორიტ „პორტუსთან“. პორტუგალიის ჩემპიონს მხოლოდ მოგება სურს, კვიპროსელები კი ფრეზე ოცნებობენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ (4-1-2-3):** ჰელტონი – საპუნარუ, ოტამენდი, როლანდო, ა. პერეირა – ფერნანდო - გუარინი, მოუტინიო – ჰალკი, კლებერი, როდრიგესი.
**აპოელ (4-2-3-1):** კიოტისი – პურსაიტიდისი, ჟორჟე, იაჰიჩი, ბოავენტურა – მორაიში, პინტუ – ტრიკოვსკი, მარჩინიო, მანდუკა – აილტონი.
**არბიტრი:** ანტონი გაუტიე (საფრანგეთი)

**შახტარი-ზენიტი**

ისე, „აპოელს“ წინა ტურში, „შახტართან“ გასვლით შეხვედრაშიც წაგებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ნიქოზიელებმა დონეცკში ფრეს (1:1) მიაღწიეს. უკრაინელები ამჯერად „ზენიტს“ მასპინძლობენ და თუ ჯგუფიდან გასვლა უნდათ, პეტერბურგელებს სამი ქულა უნდა დაატოვებინონ. „შახტარმა“ უკრაინის ჩემპიონატში ბოლო ორი თამაში დამაჯერებლად მოიგო (4:1 და 3:1), რუსეთის ჩემპიონატის ლიდერმა „ზენიტმა“ კი ზედიზედ ორი ფრე ითამაშა („სპარტაკთან“ და „დინამოსთან“). თავის მხრივ, პეტერბურგელებს ამ შეხვედრაში ფრეც აძლევს ხელს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შახტარი (4-2-3-1):** რიბკა – სრნა, ჩიჟოვი, ჩიგრინსკი, შევჩუკი – ჰიუბშმანი, მხითარიანი – ედუარდო, ტეიშეირა, ვილიანი – ლუის ადრიანო.
**ზენიტი (4-3-3):** მალაფეევი – ლუკოვიჩი, ბრუნო ალვესი, ლომბაერტსი, კრიშიტო – ფაიზულინი, დენისოვი, შიროკოვი – ზირიანოვი, ბუხაროვი, დანი.
**არბიტრი:** ფრანკ დი ბლეეკერე (ბელგია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოელ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ზენიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 3. პორტუ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. შახტარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**H ჯგუფი**

**მილანი-ბატე**

„მილანმა“ იტალიის ჩემპიონატში ბოლოს და ბოლოს სიცოცხლის ნიშანწყალი გამოავლინა: „როსონერიმ“ გასულ უქმეებზე „პალერმო“ 3:0 დაამარცხა, რაც ხუთ თამაშში მხოლოდ ხუთი ქულის აღების შემდეგ კარგი შედეგია. იტალიის მოქმედი ჩემპიონის თავკაცმა **მასიმილიანო ალეგრიმ** კი თქვა, ერთ თვეში შეიძლება პირველ ადგილზე ვიყოთო. **მარკ ვან ბომელს** თამაში შეუძლია, მაგრამ ეს რისკი იქნებოდა, რის გამოც ალეგრი მას „ბატესთან“ შეხვედრაში დაასვენებს. „მილანის“ ფავორიტობაზე ლაპარაკი არც ღირს და ლოგიკურად, „ბატე“ დღეს უშანსოდაა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, ბონერა, ანტონინი – ნოჩერინო, ვან ბომელი, აკვილანი – კ.-პ. ბოატენგი – იბრაჰიმოვიჩი, რობინიო.
**ბატე (4-4-1-1):** გუტორი – ბაგა, შიმიჩი, რადკოვი, ბორდაჩევი – ვოლოდკო, ბრესანი, კონტსევოი, ოლეხნოვიჩი – რუდიკი – კეუმანი.
**არბიტრი:** ტომ ჰარალდ ჰაგენი (ნორვეგია)

**ბარსელონა-ვიქტორია**

მით უმეტეს უშანსოდაა პლზენის „ვიქტორია“, რომელსაც „ნოუ კამპზე“ თამაშის პატივი ექნება. **ლიონელ მესისგან** მორიგ შოუს ველით – მან არგენტინის ნაკრებში ისე ვერ ითამაშა, როგორც საჭიროა, სამაგიეროდ, „ბარსაში“ ყველაფერი იდეალურად გამოსდის.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი – დანი ალვეში, პუიოლი, მასკერანო, აბიდალი – ჩავი, ბუსკეტსი, ტიაგო – პედრო, მესი, ვილია.
**ვიქტორია (4-2-3-1):** ჩეხი – ლიმბერსკი, ბისტრონი, ჩისოვსკი, რაიტორალი – ჰორვატი, ირჟაჩეკი – ფილო, კოლარი, პეტრჟელა – ბაკოსი.
**არბიტრი:** ალექსანდარ სტავრევი (მაკედონია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| 2. მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 3. ვიქტორია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 4. ბატე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |



ლუკას ბარიოსი დორტმუნდის ბორუსიას საბერძნეთში ვერ გაჰყვა

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. აბუ დაბის ტურნირი

# ლიპარტელიანის არაბული გაელვება




აბუ დაბის „დიდი პრიზის“ ბოლო დღე წარმატებული აღმოჩნდა საქართველოს ნაკრებისთვის, რომელმაც თითო ოქრო და ბრინჯაო მოიპოვა. ტურნირის ჩემპიონი **ვალერი ლიპარტელიანი** (90) გახდა, **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100) კი მესამეზე გავიდა. ეს შეჯიბრება წარმატებულია არა მარტო სტატისტიკური მაჩვენებლებით, არამედ ჭიდაობის ხარისხითაც, რაც ორივე მედალოსანზე ითქმის. ხანჯალიაშვილს იქნებ სიახლე იმდენად არ უჩვენებია, როგორც ლიპარტელიანს - იქნებ გარკვეული ხარვეზები ფიზიკურად კვლავაც ეტყობოდა, განსაკუთრებით ძალისმიერ მოჭიდავეებთან, მაგრამ გამძლეობითაც ბევრად უკეთ გამოიყურებოდა და ტექნიკური არსენალიც გაუმრავალფეროვნებია. ახლა მხოლოდ ამოსმულის იმედად არ იყო და მისი წარმატების მთავარ მიზეზადაც ეს მიგვაჩნია. ლიპარტელიანმა პირველ შეხვედრაში მაროკოელი **მოჰამად ელ ასრი** იოლად დააიპონა, სამი წუთიც არ დასჭირვებია საამისოდ, მეორეში ორი ვაზარით ასევე წმინდად მოუგო ახალგაზრდა იაპონელ **რიოჰეი ანაის**, მერე კი გაფრთხილებებით აჯობა უკრაინელ მსოფლიოს პრიზიორს, ოლიმპიური ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელ **რომან გონტიუკს**. ყველაზე მეტად სწორედ აქ გაუჭირდა, რადგან უკრაინელი ძალისმიერი ძიუდოს მიმდევარია და საკმაოდ მყარი ჩავლება აქვს, მაგრამ ლიპარტელიანმა დაკვირვებით იჭიდავა, მთელი შეხვედრა ფლობდა საგრძნობ უპირატესობას და მეტოქე მსაჯებმა ორივეჯერ დამსახურებულად გააფრთხილეს. ამ შეხვედრაში იყო მომენტი, როცა არბიტრებმა შეხვედრის მიწურულს უკრაინელს იუკო მისცეს, რითაც ანგარიში გათანაბრდა და თითქოს დამატებითი დროც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მერე ქულა გააუქმეს. მთლიანობაში ჩვენებური დამაჯერებლად დომინირებდა ტატამზე და მეტოქისთვის წარმატების შანსი არც მიუცია, თავიდან ბოლომდე გაანეიტრალა გონტიუკი. ვფიქრობთ, ნახევარფინალი კორეელ **დაე-ნამ სონგთან** ლიპარტელიანისთვის ერთ-ერთი საუკეთესი იყო ამ შეჯიბრებაზე - ჩვენებურმა უზადო კისრულით მთელი 180-გრადუსით გადმოიღო მეტოქე და უბრწყინვალესი იპონი მიითვალა.

ფინალში ჩვენებურს საინტერესო მეტოქე შეხვდა - შვედი **მარკუს ნიმანი**, ვისთანაც შარშან ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო. ამჯერად სრულყოფილი რევანში შედგა. მეტოქე თავისი ფიზიკური უპირატესობის გამოყენებას აქტიურად კი ცდილობდა და ჩავლებების ხარჯზე ცდილობდა ფონს გასვლას, ჩანაფიქრს ერთხანს წარმატებითაც ახორციელებდა, მაგრამ ლიპარტელიანმა მაინც შეძლო დამაჯერებლად მოგება. ამით მან სალიცენზიო რეიტინგშიც საგრძნობლად გაიმყარა პოზიციები, თუმცა მის საგზურს არც აქამდე ემუქრებოდა დიდი საფრთხე. ამ მოგებისთვის ლიპარტელიანმა 200 ქულა მიიღო. ახლა მის ანგარიშზე 846 ქულაა, რითაც მსოფლიოს რეიტინგში მეთერთმეტეა, ოლიმპიურში კი ერთი ადგილით დაწინაურდა და მეშვიდე პოზიცია კუბელ **ეშლი გონსალესს** გაუცვალა. მართალია, მას სულ მალე როტერდამის „დიდ პრიზზე“ შარშან მოპოვებული 120 ქულა გაუნახევრდება ანუ საერთო მონაგარი 786 ქულა გაუხდება, მაგრამ გონსალესზე წინ მაინც იქნება.

ხანჯალიაშვილმა ისევ ლამის ყველა შეხვედრაში სცადა თავს ზევით მეტოქის გადაგდება, რაც უმეტეს შემთხვევაში დახვეწილად ნამდვილად არ გამოუდიოდა, მაგრამ ადრინდელთან შედარებით, ამჯერად უფრო ყურადღებით ჭიდაობდა და თუ წმინდა გდებებს ვერ აკეთებდა, შედარებით დაბალი რანგის ქულებს მაინც იღებდა, რამაც ნახევარფინალამდე მიიყვანა. იქამდე ფრანგ **მეთიუ ტორელს** წმინდად, ლიტველ **მარიუს პასკევიჩიუსს** (ამასთან შარშან დიუსელდორფში წააგო) ვაზარ-იუკოთი, მეოთხედფინალში უზბეკ მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურ პრიზიორ **აბდულო ტანგრიევს** კი იუკოთი აჯობა. ნახევარფინალში ჩვენებური კორეელ **სუნ-მინ კიმთან** დამარცხდა და ბრინჯაოს დასჯერდა. ამით მან 80 სარეიტინგო ქულაც შეიმატა და მსოფლიოს რეიტინგში 27-ე ადგილიდან ცოტა ზევით აინაცვლებს, ოლიმპიურში კი სამი ადგილით წაინაცვლა წინ და უკვე მეთექვსმეტეა. ქულათა გარკვეული მარაგი მასაც ჩამოეჭრება, მაგრამ ეს რეიტინგში დიდად ვერ აზარალებს.

მძიმე წონაში პირველივე შეხვედრა წააგო **ადამ ოქრუაშვილმა** - მომავალ ფინალისტთან, ჰოლანდიელ **ლუუკ ვერბიხთან** დამარცხდა.

90-ში გამოვარჩევთ აზერბაიჯანელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ელნურ მამადლის** ბრინჯაოს. მან ოლიმპიური ოქრო და ორჯერ მსოფლიოს ვერცხლი 73 კილოგრამში მოიპოვა, მაგრამ პეკინის თამაშების შემდეგ 81-ში გადავიდა, თუმცა მზარდი წონის გამო მაშინვე გამოამჟღავნა 90-ისკენ მისწრაფება. მწვრთნელი **აგიარ ახუნდზადე** სკეპტიკურად შეხვდა შეგირდის ამ სურვილს, ეს შედეგს არ მოუტანს და აჯობებს, წონას მიხედოსო, მაგრამ მამადლი მაინც გამოვიდა 90-ში და წონის ძველ ლიდერს, მეხუთეზე გასულ მსოფლიოს პრიზიორსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ელხან მამადოვსაც** გაუსწრო. 100 კილოგრამში კვარცხლბეკი ძირითადად ძველმა ლიდერებმა შეავსეს - ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს ორგზის ვერცხლის და ოლიმპიური ბრინჯაოს ჰოლანდიელმა მფლობელმა **ჰენკ ხროლმა** ფინალში ეგვიპტელ მსოფლიოს პრიზიორ **რამადან დარვიშს** მოუგო. ბრინჯაოებიდან ერთი მონღოლმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნაიდან ტუვშინბაიარმა** მოიპოვა, მეორე - უტიტულო, თუმცა არა უცნობმა გერმანელმა **ბენჯამენ ბერლამ**. შედარებით მოულოდნელი კვარცხლბეკი ვიხილეთ მძიმე წონაში, სადაც ფინალში კორეელი **სუნგ-მინ კიმი** და ვერბიხი გავიდნენ, გამარჯვება კი კორეელმა მოიპოვა.

**ქვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**90 კგ.** **1. ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო)**, 2. მარკუს ნიმანი (შვედეთი), 3. ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი), დაე-ნამ სონგი (კორეა).

**100 კგ.** 1. ჰენკ ხროლი (ჰოლანდია), 2. რამადან დარვიში (ეგვიპტე), 3. ნაიდან ტუვშინბაიარი (მონღოლეთი), ბენჯამენ ბერლა (გერმანია).

**+100 კგ.** 1. სუნგ-მინ კიმი (კორეა), 2. ლუუკ ვერბიხი (ჰოლანდია), **3. ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)**, ისლამ ელ შეჰაბი (ეგვიპტე).

**ქალები**

**78 კგ.** 1. აბიგალ იოო (უნგრეთი) 2. მარინდე ვერკერკი (ჰოლანდია); 3. რუიკა სატო (იაპონია), გიეონგ-მი ჯეონგი (კორეა).

**+78 კგ.** 1. ელენა ივაშჩენკო (რუსეთი) 2. კეტი მატე; 3 ანე-სოფიე მონდიერე (ორივე - საფრანგეთი), ირინა კინდერსკა (უკრაინა).

**ირაკლი თავაძე**



ვალერი ლიპარტელიანი



ზვიად ხანჯალიაშვილი

კრივი. რეგიონი



# კარელიძის მემორიალი ვარიანში

ოთხი დღე მიმდინარეობდა ვარიანის კრივის კლუბ „ჩემპიონში“ გიორგი კარელიძის სახელობის პირველობა კრივში. კარელიძე გორში დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა კრივს. ეს შეჯიბრებაც მისი გარდაცვალების შემდეგ დაფუძნდა. უკვე მეექვსე წელიწადია, ასპარეზობა შემოდგომით იმართება გორის კრივის დარბაზში. შარშან, სტუმართა სიმრავლის გამო, გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა, სპორტის სამინისტროს მიერ ნაჩუქარ ოლიმპიურ რინგზე. წლეულს ჭიდაობის დარბაზი სხვა ტურნირის მასპინძლობით იყო დაკავებული და ორგანიზატორებმა შეჯიბრება ვარიანში გადაიტანეს. *„გორში სასტუმროების სიმცირის გამო მონაწილეთა დაბინავება ჭირს, კანდელაკის საკრივო კომპლექსს კი სასტუმროც აქვს და კვების ბლოკიც. წლევანდელ ტურნირზე ორ ასაკობრივ ჯგუფში თავი მოიყარეს საქართველოს ათზე მეტი სასპორტო სკოლის თუ კრივის კლუბების წარმომადგენლებმა. მოკრივეთა სიმრავლის გამო ზოგიერთი წონა ორ ჯგუფად დავყავით და შესაბამისად ორ-ორი გამარჯვებული გამოვლინდა“*, - გვითხრა შეჯიბრების ორგანიზატორმა, გორის კრივის სკოლის დირექტორმა **ავთანდილ შოშიაშვილმა**.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო გორის გუნდი, მეორეზე ვარიანის „ჩემპიონი“ გავიდა, მესამეზე - ჭიათურა. სპეციალური პრიზი მიიღო გიორგი კანდელაკის ვაჟმა **თარაშ კანდელაკმა**. სპეციალური პრიზი დააწესა და იგი **ლაშა კობახიძეს** გადასცა რუისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა მამა **დავითმა**. ნიშანდობლივია, რომ მამა დავითი (ბერელაშვილი) ადრე გორის კრივის სკოლაში ვარჯიშობდა და საქართველოს ჩემპიონიც იყო. ახლა მუდამ ესწრება შიდა ქართლში საკრივო შეჯიბრებებს. მას შვილიც მოკრივე ჰყავს, რომელსაც გორის კრივის სკოლაში ავთანდილ შოშიაშვილი აოსტატებს. ეს ბიჭი, ტურნირის გამარჯვებულიც გახდა 32 კგ-ში.

მთავარი მსაჯი იყო ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი მძიმე წონაში **ბექა ლობჟანიძე**. მსაჯები რინგზე - რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი **ლადო ცაციაშვლი** (გორი) და **აშოტ ელიზბარიანი** (ახალქალქი).

**ვასილ ბალახაძე**
ვარიანიდან
დავით ასპანიძის ფოტო

**გამარჯვებულებს გამარჯვებულებს**

**უმცროსი ასაკი (2000-2001 წწ დაბ.):** **28 კგ** - ნიკა კერესელიძე (ვარიანი), **30 კგ** - დავით მაღალაშვილი (გორი), **32 კგ** - გიორგი კაპანაძე (ჭიათურა) და გიორგი ბერელაშვილი (გორი), **34 კგ** - ვლადიმერ ბერიკაშვილი (ვარიანი) და ნიკა მოდებაძე (ჭიათურა), **38 კგ** - ზურაბ მენაბდიშვილი და ალეკო შატაკიშვილი, **42 კგ** - ილია მნარიაშვილი (სამივე - გორი);

**უფროსი ასაკი (1996-1997 წწ დაბ.):** **32 კგ** - არსენ ელიზბარიანი (ახალქალაქი), **36 კგ** - ნოდარ დარბაიძე (ჭიათურა), **40 კგ** - ბექა ლაზარაშვილი (გორი), **41,5 კგ:** - ლაშა კობახიძე (გორი), **44,5 კგ** - თარაშ კანდელაკი (ვარიანი) და ვალერი ბოყოველი (ჭიათურა), **46 კგ** - ავთანდილ თეთვაძე (გორი), **48 კგ** - გიორგი ახალკაცი, **52 კგ** - გიორგი დოლიაშვილი (ორივე - გორი), **54 კგ** - ჯოტო თაბოშვილი (ერედვი), **57 კგ** - ვახტანგ გაფრინდაშვილი (ჭიათურა), **60 კგ** - ბექა ადუაშვილი, **63 კგ** - იოსებ აბულაძე (ორივე - ვარიანი), **66 კგ** - რატი ტლაშაძე (გორი), **75 კგ** - გიორგი ზედგენიძე (ვარიანი), **78 კგ** - პავლე გოგოლაძე (ჭიათურა).

სამბო

# კაპანაძის ლატვიური მედალი

როგორც გაირკვა, რიგაში დამთავრებულ ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა მსოფლიოს პირველობაზე ჩვენებმა კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რომელსაც ახალგაზრდებს შორის 68 კილოგრამ წონით კატეგორიაში **ზვიად კაპანაძე** დაეუფლა. სამბისტთა წლევანდელი პირველობა ბევრად უკეთ კი იყო ორგანიზებული - გადაიცემოდა პირდაპირ რეპორტაჟში, თუმცა საინფორმაციო უზრუნველყოფა მაინც არ იყო სრულყოფილი. რეპორტაჟებში მაინც ადგილობრივ ოპერატორთა ნებაზე ხარ დამოკიდებული, რომელ შეხვედრას გიჩვენებენ, ხოლო შეხვედრათა ოქმები საიტზე ოპერატიულად კვლავაც არ ქვეყნდებოდა. ამ პირობებში ისევ ფედერაციაზე ვიყავით დამოკიდებული და კაპანაძის მედალიც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით გამოგვრჩა.

ამდენად, რიგაში ორივე ასაკობრივი ნაკრების საერთო მონაგარი 5 ოქრო, 4 ვერცხლი და 4 ბრინჯაოა. აქედან ბიჭების ახალგაზრდული გუნდის მიღწევა 2 ოქრო და 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაოა. მათგან ჩემპიონები **გიორგი ნოზაძე** (90) და **სლავა რეზესიძე** (+100) გახდნენ, **ვახტანგ ჩიდრაშვილმა** (57), **თორნიკე თათარაშვილმა** (62) და **ლაშა ზურაბიანმა** (82) მხოლოდ ფინალური შეხვედრები დათმეს, კაპანაძე კი მესამეზე გავიდა. ჭაბუკებმა 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოინადავლეს. ამ ასაკში ჩემპიონობით **მიხეილ მეზურნიშვილმა** (70), **გიორგი ბიწაძემ** (75) და **ალექსანდრე მილდიანმა** (87) გაგვახარეს, **ბექა ტულუში** (65) ვერცხლს დასჯერდა, **აბესალომ ვაშაყმაძე** (52) და **გაგა ჯიხვაძე** (+87) მესამეზე გავიდნენ. ბიჭების ორივე ნაკრებმა თავ-თავის ასაკში საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი მოიპოვეს რუსების შემდეგ.

კიდევ ერთი ბრინჯაო ახალგაზრდა გოგოებში მოჭიდავე **შორენა შარაძის** (64) მონაგარია.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# გია გიორგაძე: ქალებისგან ამჯერადაც მედლებს ველით

ჰალკიდიკიში (საბერძნეთი) ორიდან 12 ნოემბრის ჩათვლით მოჭადრაკე ქალვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი გაიმართება. შეჯიბრებისთვის კარგა ხანია, მონდომებით ემზადებიან ქართველი დიდოსტატები. ვაჟებში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი** და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი **დავით ზარქუა** (კაპიტანი **გია გიორგაძე**, მწვრთნელი **ხვიჩა სუპატაშვილი**), ხოლო ქალთა გუნდში ითამაშებენ **ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ნაზი პაიკიძე** და **სალომე მელია** (კაპიტანი **ნინო გურიელი,** მთავარი მწვრთნელი **ზურაბ სტურუა**, მწვრთნელი **თამაზ გელაშვილი**). საქართველოს ჩემპიონი **მაია ლომინეიშვილი და ბელა ხოტენაშვილი** კონტინენტის პირველობაში მონაწილეობას საპატიო მიზეზებით (ოქტომბრის მიწურულს დედები გახდებიან) ვერ შეძლებენ.

ელადაშიც წარმატებისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებენ. ქალთა გუნდისგან ყოველთვის მედალს ვითხოვთ და ამჯერადაც ასე იქნება. ჰალკიდიკიში მათ, კაპიტნისა და მწვრთნელის გარდა, კონსულტანტად ნანა ალექსანდრია ეყოლებათ. გოგონებთან ერთად მისმა ყოფნამ დადებითი მუხტი შეიტანა გუნდში 2008 წლის დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სადაც ჩემპიონები გავხდით, და წინა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე. მაშინ მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით რუსების შემდეგ მეორე ადგილი გვხვდა, არადა, პირად შეხვედრაში ჩრდილოელ მეზობლებს ვძლიეთ. ქალთა გუნდს კარგა ხანია, ზურაბ სტურუა ავარჯიშებს, ახლა მას წამოეშველა თამაზ გელაშვილი, რომელმაც წლეულს ზაფხულს წარმატებით ითამაშა ამერიკაში, რამდენიმე ტურნირი მოიგო და რეიტინგიც 24 პუნქტით გაიმდიდრა.

ვაჟებს წინა ჩემპიონატზე დიდი ჩავარდნა ჰქონდათ - 30-ე ადგილს დასჯერდნენ. წლეულს, იმედია, მონაგარს გააუმჯობესებენ. პირველ ათეულში მოხვედრა კარგ შედეგად ჩაითვლება. ჩვენებს საამისოდ ძალა და გამოცდილება შესწევთ.


მარცხნიდან: ნანა ძაგნიძე, გია გიორგაძე, თამაზ გელაშვილი და ნინო ხურციძე

- ვაჟთა ნაკრების დაკომპლექტებაში სირთულეები არ გვქონია, ქალებში კი ერთი ადგილი დარჩა ვაკანტური, - გვითხრა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ. - ამიტომ სამთა მატჩტურნირის გამართვა გადავწყვიტეთ. სოფიო ხუხაშვილმა შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი თქვა. ჩემი აზრით, ის ამ ეტაპისთვის მზად არ იყო. სალომე მელიას, ნინო ბაციაშვილისა და მაკა ფურცელაძის დაპირისპირებაში კი მელიამ იმარჯვა და ღირსეულად დაიბევა ნაკრებში ადგილი. რაც შეეხება ნაზი პაიკიძეს, იგი დებიუტანტია, მაგრამ არაერთ საერთაშორისო ტურნირში დაამტკიცა, რომ უძლიერესი დიდოსტატების წინააღმდეგ თამაში წარმატებით შეუძლია. თუნდაც ბოლო - ოსლოს საჭადრაკო ფესტივალი ავილოთ. საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე მამაკაცებს ღირსეული მეტოქეობა გაუწია, ზოგიერთი დაამარცხა კიდეც. ოღონდ ეს არის, რომ, ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, ყოველთვის სტაბილურად ვერ თამაშობს. ყოველივეს მიუხედავად, ვიმედოვნებთ, რომ ნაზი ჩვენს იმედებს გაამართლებს. იგი ამჯერად მოსკოვში პირად მწვრთნელთან ერთად ემზადება და 26 ოქტომბრიდან საბერძნეთში შემოგვიერთდება. რაც შეეხება მანდილოსანთა ნაკრების სხვა წევრებს, ისინი გამოცდილი მებრძოლები არიან და

**- საწვრთნელი შეკრების ჩატარება ანტალიაში გქონდათ დაგეგმილი...**

- დიახ, ასე იყო. თურქეთში მომზადება შედარებით იაფი კი გვიჯდებოდა, მაგრამ იქიდან საბერძნეთში ჩასაფრენად დამატებითი ხარჯები იყო საჭირო. ამიტომაც ბერძენ კოლეგებს მოველაპარაკეთ და 26 ოქტომბრიდან ელადაში გავმართავთ ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებას. მასპინძლები სავარჯიშოდ და დასასვენებლად კარგ პირობებს გვთავაზობენ. აკლიმატიზაციის გავლაც გაგვიადვილდება.

**- ქალთა ნაკრებს წლეულს გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატიც ელის.**

- ამ შეჯიბრებას 18-28 დეკემბერს თურქული ქალაქი მარდინი (ტრაბზონიდან 670 კილომეტრზე) უმასპინძლებს. საპრიზო ადგილებისთვის პლანეტის 10 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს. ეს ერთადერთი შეჯიბრებაა, სადაც ჩვენს ქალ დიდოსტატებს მედალი არ მოუპოვებიათ. წინა შეჯიბრებაზე მე-4 ადგილით დავკმაყოფილდით - კვარცხლბეკამდე ნახევარი ქულა დაგვაკლდა. ვეცდებით, დანაკლისი წლეულს ავინაზღაუროთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო




# ფინიშის წინ

ჯაკარტაში დღეს დამთავრდება ინდონეზიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილიც** მონაწილეობს. გუშინ ორი ტურის პარტიები გაიმართა. ჩვენებურმა მონაგარს 1,5 ქულა შესძინა: ჯერ ინდონეზიელ ჰენი მარენტეკს დაუზავდა, შემდეგ კი მის თანამემამულე მაკსუმ ფირდაუსს სძლია, მოაგროვა 4 ქულა და 34-47-ე ადგილებს ინაწილებს. გათამაშების ცხრილის სათავეში 6,5 ქულით, ყველასთვის მოულოდნელად, ინდოელი სურია შეხარ განგული (2631) მოექცა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ტურნირის რეიტინგფავორიტი ვან იუე (ჩინეთი, 2706), ლი ჩაო (ჩინეთი, 2710), ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2712), ოლივერ ბარბოსა (ფილიპინები, 2538) და სანდრო მარეკო (არგენტინა, 2597).

დღეს ბოლო ტურში ერთმანეთს შეხვდებიან: ვან იუე (6)-შეხარ განგული (6,5), ალექსეი დრეევი (6)-ოლივერ ბარბოსა (6), ლი ჩაო (6)-სანდრო მარეკო (6), სოუ უესლი (5,5)-რიჩარდ ბითუუნი (5,5), ვლადისლავ ტკაჩიევი (5,5)-ჰაი დაო (5,5), ძუნ ჩჟოუ (5,5)-სუსანტო მეგარანტო (5,5). სოფიკო გურამიშვილი შავი ფიგურებით იანა კრივიჩს (სლოვენია) დაუპირისპირდება. ქალებში 5 ქულით რეგინა პოკორნა (სლოვაკეთი) მეწინავეობს. ბოლო ტურში იგი ტიგრან კოტანჯიანთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი, წლის ბოლომდე ასეულში

**ანა ტატიშვილი** (89), უდავოდ, ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელია, ამას რეიტინგიც ადასტურებს - წლების შემდეგ, როგორც იქნა, ველირსეთ მოწინავე ასეულში ჩვენებურის მოხვედრას, მაგრამ, თუკი ანა წარმატებით ასპარეზობს საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით (ITF) გამართულ ტურნირებში, მას ძალზე უჭირს უფრო მაღალ დონეზე - ჩოგბურთის ასოციაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში (WTA). არადა, უმაგისოდ 21 წლის ქართველს მოწინავე ასეულში დამკვიდრება გაუჭირდება. ჩვენი სიტყვების დასტურად ანას სექტემბერ-ოქტომბრის მონაგარს მოვიყვანთ - მან ჯერ ITF-ის ორ ტურნირში იყოჩაღა, ფინალსა და მეოთხედფინალში ითამაშა, შემდეგ კი ლინცში პირველსავე საკვალიფიკაციო წრეში ნააგო. დამარცხდა ის ლუქსემბურგის ღია პირველობის (220 ათასი დოლარი) პირველივე წრეშიც, რომელიც გუშინ გაიმართა. ჩვენებურმა ორსაათიანი ბრძოლა შესთავაზა იტალიელ **ალბერტა ბრიანტის** (73), მაგრამ საბოლოოდ განზილებული დარჩა - 3:6, 6:1, 3:6.

ტატიშვილი ლუქსემბურგში წყვილთა ბადეში რჩება, სადაც სლოვენიელ **ანდრეა კლეპაჩთან** ერთად თამაშობს. წლის ბოლომდე ანა შეინარჩუნებს ასეულში ადგილს ორი ტურნირის შარშანდელი ქულები (გრეიფვაინი, 50 ათასი დოლარი, მეოთხედფინალი - 18 ქულა და ფინიქსი, 75 ათასი დოლარი, ნახევარფინალი, 50 ქულა) სულაც რომ დაკარგოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




რეგიონი

# ხაშურის სპორტული პროფილი




ხაშურის სასპორტო სკოლის დირექტორს **მევლუდ ლომიძეს** ამ ქალაქში თავისუფალ ჭიდაობაში ვახტანგ კვინიკაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას ვესაუბრეთ.

**- ბატონო მევლუდ, რამდენ წელს ითვლის თქვენი სასპორტო სკოლა?**

- შარშან 70 წელი შეუსრულდა. იუბილესადმი მიძღვნილი ასპარეზობები გაიმართა ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფეხბურთში, კალათბურთში. სწორედ ეს სახეობებია წამყვანი ტრადიციულად სპორტსკოლაში.

**- საერთო წარმატებებზე რას იტყვით?**

- თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი სპორტსმენები წარმატებებს სისტემატიურად აღწევენ საქართველოს პირველობებზე და ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებებშიც იწვევენ. ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვართ ძიუდოსა და სამბოში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში დავიკვეხნით საქართველოს ჩემპიონებით, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორებით. დიდი ტრადიციები გვაქვს ქართულ ჭიდაობაში. წლეულს რაიონის მუნიციპალიტეტის და სასპორტო სკოლის თაოსნობით ექვს სოფელში (ალი, ფლევი, ვაყა, ქინძათი, ოსიაური, ზემო სერი) ჩავატარეთ შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ნახერხმოყრილ არენაზე.

**- ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში არ ჩანხართ...**

- ადრე სპორტსკოლაში ფუნქციონირებდა სექცია, მაგრამ მერე შეწყვიტა არსებობა. მეორე წელია აღვადგინეთ და სათავეში ჩავუყენეთ ახალგაზრდა მწვრთნელი კახა ლომიძე. ბუნებრივია, მოკლე დროში წარმატებებს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ესეც უთუოდ მოვა.

**- დანარჩენ სპორტის სახეობებზე რას იტყვით...**

- სკოლაში ორი წელია, ძალოსნობის სექცია ამოქმედდა და წლეულს ერთ-ერთმა ჩვენმა შეგირდმა საქართველოს პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. გარდა ამისა მუშაობს მძლეოსნობის, კალათბურთის, ჭადრაკის ჯგუფები. სკოლაში ყველა სპორტის სახეობაში სულ 700-მდე ახალგაზრდა ვარჯიშობს.

**- სასპორტო სკოლაში თქვენ ფეხბურთიდან მოხვედით...**

- ფეხბურთი მასობრიობით პირველია ჩვენს რაიონში და ამაში თავისი წვლილი ჩვენს სკოლასაც შეაქვს. მართალია, გუნდი უმაღლეს ლიგაში არ გვყავს, მაგრამ ჩვენი აღზრდილებიდან არაერთი თამაშობს ლიგის გუნდებში.. რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მუშაობა ცუდად ვერ შეფასდება.

**- უკანასკნელ სეზონში ხაშურის „იველიას“ პირველ ლიგაში გადასვლას ერთი ნაბიჯი დააკლდა. წლეულს რა გეგმები აქვს ამ გუნდს?**

- ჯერ სტადიონთან დაკავშირებული პრობლემებია მოსაგვარებელი.

**- რა პრობლემაა?**

- კუთვნილებაა გასარკვევი. ამასთან, წლეულს სურამსა და ხაშურში მომხდარი წყალდიდობისას (რომელსაც ტრაგიკული შემთხვევებიც მოჰყვა) სტადიონი ადიდებულმა მდინარემ დატბორა და ახლაც მინდვრის საფარი ნახევარ მეტრამდე სისქის ქვიშითაა დაფარული. „იველია“ კალენდარულ მატჩებს ბორჯომში მართავს. ფაქტობრივად, სულ სტუმრად ან ნეიტრალურ მინდორზე ვთამაშობთ. როგორც ჩემთვის ცნობილია, რაიონის ხელმძღვანელობა წლეულს ამ საკითხის გადაჭრას გეგმავს და ფინანსური თვალსაზრისით პირველი ლიგისთვის შესამზადებლადაც არ არის უარს.

**- ხაშურს ქალთა ფეხბურთის გამორჩეული გუნდი ჰყავს საქართველოში.**

- საქართველოს ნაკრებში ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი გოგონაა. ქვეყნის ჩემპიონატის ფავორიტებს შორისაც მუდამ ვართ, რაც მწვრთნელ თემურ კობერიძის დამსახურებაა. ცოტა ხნის წინათ ჩვენი აღზრდილი თამთა მალიძე „კარლსრუეში“ გადავიდა.

**- რაიონის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა თუ გაქვთ?**

- სკოლის ბიუჯეტი გაიზარდა. გარდა ამისა, რაიონის ხელმძღვანელობამ შარშან წლის ბოლოს საქართველოს პირველობათა ყველა გამარჯვებულს წამახალისებელი პრიზები (მობილური ტელეფონები) გადასცა. წლეულს სეზონის შედეგების მიხედვით გამოვავლენთ სამ საუკეთესო მწვრთნელს და მათაც დაასაჩუქრებენ.

**ვასილ ბალახაძე**
ხაშურიდან
დავით ასპანიძის ფოტო




## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ძალაძების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

კალათბურთი. ლიტვური სიმპათია

# ევრობასკეტზე საქართველომ ესპანეთს გაასწრო



საქართველო პირველია, ესპანეთი - მეორე, ლატვია - მესამე, გერმანია - მეოთხე... დიახ, საქართველოს ნაკრებმა ევრობასკეტზე ესპანეთს აჯობა. თუმცა კარგად იცით, რომ ესპანელებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგეს, ხოლო ჩვენი გუნდი მე-12 იყო. მაშ, რაში აჯობა საქართველომ ევრობასკეტის ჩემპიონს? - გულშემატკივართა რაოდენობით. ლიტვაში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო იმ გუნდის გამოვლენა, რომელსაც ლიტველები ყველაზე მეტად ქომაგობდნენ (ცხადია, ლიტვის ნაკრების შემდეგ).

გამოკითხულებს უნდა დაესახელებინათ ლიტვის მერე მეორე და მესამე საქომაგო ობიექტები. საქართველოს საერთო ხმების მეოთხედი ხვდა წილად - 25.6 პროცენტი. აქედან გამოკითხულთა 19.2 პროცენტმა ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზე დაასახელა (შეგახსენებთ, პირველს არც კითხულობდნენ, რადგან თავისთავად იგულისხმებოდა ლიტვის ნაკრები), ხოლო 6.4 პროცენტმა - მესამე ადგილზე.

ესპანეთი საქართველოს მცირედით ჩამორჩა: სულ 25.4 პროცენტი, ლატვია 17, გერმანია 16.6, სერბეთი 14.5, ხორვატია 13.6, საფრანგეთი 10.9, რუსეთი 10.6, სლოვენია 8.1, იტალია 8.1 პროცენტი.

ლიტველმა ჟურნალისტებმა გამოიკითხეს ისიც, რატომ გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა. პასუხი ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებულ თბილ ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ, ამასთან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ნაკრებმა გულიანი თამაშით ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არაერთი ქომაგი შეიძინა.

კომენტარი არ დაიზარა ლიტვური კალათბურთის ლეგენდამ **რიმას კურტინაიტისმა:**

- საბჭოთა კავშირის დროს ქართველ და ლიტველ კალათბურთელებს თბილი ურთიერთობა გვქონდა, ჩვენს ქვეყნებს შორისაც ასეთი კავშირი იყო. ლიტველები ძალიან ვაფასებთ ქართველ ხალხს, ისევე როგორც ქართველები გვცემენ პატივს. ამიტომ გამოკითხვის შედეგები გასაკვირი ნამდვილად არ არის.

ბატონმა რიმასმა იქვე დასძინა, რომ ევრობასკეტზე ლიტვის შემდეგ ესპანეთის ნაკრებს ქომაგობდა.

| Nr. | Šalis | Antras pasirinkimas | Trečias pasirinkimas | Bendras rezultatas |
|---|---|---|---|---|
| 1 | Gruzija | 19,2 % | 6,4 % | 25,6 % |
| 2 | Ispanija | 17,3 % | 8,1 % | 25,4 % |
| 3 | Latvija | 5,9 % | 11,1 % | 17 % |
| 4 | Vokietija | 9,5 % | 7,1 % | 16,6 % |
| 5 | Serbija | 8,1 % | 6,4 % | 14,5 % |
| 6 | Kroatija | 8,1 % | 5,5 % | 13,6 % |
| 7 | Prancūzija | 5,9 % | 5 % | 10,9 % |
| 8 | Rusija | 4,7 % | 5,9 % | 10,6 % |
| 9 | Slovėnija | 3,1 % | 5 % | 8,1 % |
| 10 | Italija | 2,6 % | 5,5 % | 8,1 % |

ინიციატივა

# ხუთნი ერთი მიზნისთვის

გუშინ, 18 ოქტომბერს, თბილისის 115-ე სკოლას **გიორგი ასანიძე** სტუმრობდა. მას, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს, სიხარულით შეხვდნენ, თუმცა ამჟამად ბატონი გიორგი საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეა და სკოლაშიც საქმიანი ვიზიტით იყო. კერძოდ...

*- თბილისის ხუთმა სკოლამ გადაწყვიტა გაერთიანება და სპორტული კლუბის შექმნა. საქართველოს კანონმდებლობით მათ ამის უფლება აქვთ, ამიტომ ასეთი წამოწყება მისასალმებელია, რადგან ახალგაზრდობაში სპორტის განვითარებას ემსახურება. სპორტული პოტენციალი თითოეულ ადამიანშია, მთავარი მისი სწორი მიმართულებით წარმართვაა. ვიმედოვნებ, სპორტული კლუბის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს, როგორც სპორტში ახალგაზრდობის მეტად ჩართვას, ასევე სკოლებს შორის კავშირს. კლუბისთვის კარგი სახელი შეურჩევიათ - „მორკინალი". ვფიქრობ, ამ წამოწყებას კიდევ არაერთი სკოლა შეუერთდება,* - განაცხადა გიორგი ასანიძემ.

**საუბარი 115-ე სკოლის დირექტორმა ზვიად ქადარიამ განაგრძო:**

***- საქმის დაწყება იოლი არ არის. მაგრამ ხუთმა სკოლამ ეს გავაკეთეთ, ახლა სხვა სკოლებიც უნდა შემოგვიერთდნენ და თბილისის მასშტაბებსაც უნდა გავცდეთ.***

ამავე სკოლის სპორტის მასწავლებელმა **გია ბეგიაშვილმა** დასძინა, რომ პირველი ღონისძიება 20 ოქტომბერს დაიწყება და მასში უკვე ათი სკოლის საფეხბურთო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. კლუბის სამომავლო მიზნებზე კი ეს თქვა:

*- უპირველესად, ჩატარდება შიდა სასკოლო შეჯიბრებები, რომლებიც გამოარკვევს სკოლის საუკეთესო სპორტსმენებს. მათგან შეიკრიბება სკოლის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კლუბის სასკოლო ჩემპიონატში. კლუბებში თავგამოჩენილი მოსწავლეებისგან ჩამოყალიბებული ნაკრები კი ფედერაციების მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ ტურნირებში ითამაშებს. ღონისძიებებში იასპარეზებენ მეხუთე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეები.*

207-ე სკოლის დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე:**

**- მტკიცე საფუძველი ჩავყარეთ, ახლა მთავარია ზედნაშენი. კლუბის ჩამოყალიბებით არაერთ ახალგაზრდას გამოვგლეჯთ ქუჩას და სწორ გზაზე დავაყენებთ.**

ბოლოს დავძენთ, რომ კლუბში გაერთიანდნენ 115-ე (დირექტორი ზვიად ქადარია), 69-ე (თეა პაპავა), 173-ე (თინათინ ნასიძე), 114-ე (გულიკო გაბიტაშვილი), 207-ე (ზურაბ ჩხაიძე) სკოლები. დამსწრეთ ხალხური სიმღერები შესთავაზა სკოლის ნორჩ მომღერალთა გუნდმა. ღონისძიება საქართველოს ჰიმნით დასრულდა.



კალათბურთი. არმია



საქართველოს ჩემპიონი „არმია" თბილისში დაბრუნდა. გუნდი პირველი ოქტომბრიდან სლოვენიის ქალაქ ლაშკოში შეკრებაზე იყო და საკონტროლო მატჩებში გამოსცადა ახალდამატებული კალათბურთელები.

# არმია დაბრუნდა და იწყებს

ვიდრე მოთამაშეებზე გეტყოდეთ, მოგახსენებთ, რომ არმიელებმა სლოვენიაში სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს. პირველი შეხვედრა „როგაშკასთან" გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა - 76:70. მეორე შეხვედრა „შენტურთან" ფრედ დამთავრდა. რადგანაც კალათბურთში ერთმატჩიანი ბრძოლების თანაბარი ანგარიშით დასრულება არ შეიძლება, დამატებითი დრო დაინიშნა. ოვერტაიმში კი „შენტურმა" მინიმალური სხვაობით იმარჯვა - 100:99. მესამე შეხვედრა „არმიამ" მოიგო - ძალოვნებმა ხორვატიის „კრიჟევცი" 75:69 დაამარცხეს.

**კოტე ტულუშის** შეგირდებს უახლოესი მატჩი 22 ოქტომბერს ელით - საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურში თბილისის „დინამოს" დაუპირისპირდებიან. პირველობაზე 11 გუნდი მონაწილეობს და ყოველ ტურში ერთი ისვენებს. ჩემპიონატის პირველ დღეს „არმიამ" იუქმა.

მკითხველს ისიც ეცოდინება, რომ ჩვენი ჩემპიონი წლეულს ევროჩელენჯის გათამაშებაშიც მიიღებს მონაწილეობას. მას ჯგუფში ჰოლანდიურ „ლეიდენთან", გერმანულ „გოტინგენთან" და თურქულ „ბეშიქთაშთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. პირველი მატჩი თბილისშია - 8 ნოემბერს „არმია" „გოტინგენს" უმასპინძლებს.

ევროტურნირზე ქართული გუნდი ხუთი უცხოელით წარდგება. უკანა ხაზის ლიდერი **სანდიეტა გეინსი** იქნება, რომელიც „ნიუ ჯერსის" წევრია და საქართველოში ლოკაუტის დასრულებამდე ითამაშებს.

ამავე ამპლუის მოთამაშეა 26 წლის პუერტორიკოელი **გილერმო დიასი**. იგი 2008 წელს „კლიპერსის" წევრი იყო.

**ჯერემი რიჩარდსონიც** არაერთ ამერიკულ კლუბში გამოდიოდა, თუმცა „ატლანტასა" და „ორლანდოში" ფეხი ვერ მოიკიდა და ევროპაში გადმოვიდა. გასულ სეზონში იგი ესპანური „ვალენსიას" ღირსებას იცავდა.

ბელგიური „ოოსტენდედან" ჩამოვიდა **უილიამ ტომასი**, რომელიც 201 სმ სიმაღლის ფორვარდია.

**ყველაზე ადრე „არმიას" ცენტრი შვედი იოაკიმ კიელბომი შეუერთდა, რომელმაც ევრობასკეტზე ქართველ თანაგუნდელებთან ერთად ჩვენი ნაკრების თამაში იხილა.**

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




კვირის ობიექტივი



ეს სცენა ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ალექსანდრე კოტორაშვილმა შაბათს დააფიქსირა. დოსიესთვის პორტრეტის გადაღებისას ფოტოაპარატი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უნდა იყოს, არადა სერგო ათუაშვილი 222 სმ სიმაღლისაა და 175 სმ სიმაღლის ირაკლი პერტაიას ქვემოდან ზემოთ დაახლოებით 45-გრადუსიანი კუთხიდან მოუწევდა გადაღება, რომ არა სერგო ათუაშვილის მოხერხება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური პრესა ჩვენებურზე




# მამა დაბრუნდა

ამ სათაურით იხსნება ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გაზეთის - „მიდი ოლიმპიკის“ პირველი გვერდი. მამა კი საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს“ ლიდერი, მესამეხაზელი **მამუკა გორგოძეა.**

„გულივერამ“, რომელიც ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებიდან გუნდში ორი კვირის წინ დაბრუნდა, „მონპელიეს“ შემადგენლობაში ახალ სეზონში პირველად ითამაშა. მონპელიელებმა სტუმრად „ბაიონი“ დაამარცხეს - 26:17.

ალსანიშნავია, რომ „მონპელიეს“, რომელიც შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტია, გორგოძის არყოფნაში ექვსი თამაშიდან ერთი მოგება, ამდენივე ფრე და ოთხი წაგება ჰქონდა. „მამა დაბრუნდა“ და გუნდი ისევ ძველებურად ათამაშდა.

აი, რას წერს მასზე „მიდი ოლიმპიკი“:

*„ცხადია, „ბაიონთან“ თამაში გორგოძის ცხოვრების საუკეთესო შეხვედრა არ იყო, მაგრამ „მონპელიეს“ შემადგენლობაში მარტო მისმა ყოფნამ გუნდის თამაშზე უდიდესი გავლენა იქონია.*

*თავისი უდრეკი მებრძოლი სულით, უდიდესი ფიზიკური ძალითა და მუდმივად გამარჯვებისკენ სწრაფვით, მან შეძლო გუნდის თამაშის დალაგება. „მონპელიე“ უფრო შედეგიანი გახდა, ვიდრე აქამდე იყო. ეს დიდი ლიდერის ნიშანია.*

*გორგოძესთან ერთად მონპელიელთა ლიდერად ჩამოყალიბდა მისი თანამემამულეც, შერკინების ბურჯი გიორგი ჟღენტი, რომელმაც მეტოქეს ბევრი პრობლემა შეუქმნა.*

*ერთი სიტყვით, „კავკასიელმა გულივერმა“ „ბაიონს“ დაჰკრა და ამოაყირავა“.*

მსოფლიოს თასი

# უელსმა მესამისთვის სამი შეცვალა

უელსის ნაკრები პარასკევს ოქლენდში, „ედენ პარკზე“, მესამე ადგილისთვის მატჩში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. წითელი „ურჩხულების“ მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** ნახევარფინალური მატჩის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება განახორციელა.

დისკვალიფიცირებული კაპიტნის **სემ ვერბარტონის** ადგილს ფლანკერის პოზიციაზე რვა ნომერი **ტობი ფალეტაუ** დაიკავებს. რვა ნომრად კი ტრავმამოშუშებული **რაიან ჯოუნზი** დადგება.

შერკინების პირველ ხაზში დაშავებული **ადამ ჯოუნზის** ნაცვლად **პაულ ჯეიმზი** ითამაშებს. გეთლენდმა სულის მოთქმის საშუალება მისცა მეორეხაზელ **ალან-ვინ ჯოუნზს**, რომელიც ამჯერად სათადარიგოთა შორის იქნება. ძირითადში კი **ბრედლი დევისი** ითამაშებს.

უელსელებს ვერბარტონის არყოფნაში, რომელსაც სამკვირიანი დისკვალიფიკაცია აქვს, შერკინების ბურჯი **გეთინ ჯენკინსი** უკაპიტნებს.

*„მესამე ადგილისთვის მატჩში ჩვენ, ფაქტობრივად, მორაგბეთა იმავე შემადგენლობას ვეყრდნობით, რომელმაც მსოფლიოს თასის გათამაშებაში აქამდე მოგვიყვანა. ერთადერთი ცვლილება, რომელიც არ იყო იძულებითი, მეორე ხაზში განვახორციელეთ. ალან-ვინ ჯოუნზს ფრანგებთან მატჩში, როცა ჩვენი გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა, დიდი ჯაფა დაადგა. ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ცოტას დაისვენებს.*

*ავსტრალიის ნაკრებს ბოლოს ორიოდ თვის წინ ვეთამაშეთ შინ „მილენიუმზე“. ცხადია, კარგად ვიცნობთ ამ გუნდის თამაშს. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ შინ ზეიმით მიგვიღონ, როგორც მსოფლიოს სამ საუკეთესო გუნდს შორის შემავალი ნაკრები.*

*ჩვენ გრძელი და რთული გზა გავიარეთ, ბეჯითად ვიშრომეთ და, ვფიქრობ, მსოფლიოს რაგბის ისტორიის სახელმძღვანელოში ღირსეული ადგილის დაკავება ალალად გვერგება“,* - თქვა უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უორენ გეთლენდმა.

**უელსის ნაკრები: 15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ჯორჯ ნორსი, 13. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. შეინ ვილიამსი, 10. ჯეიმზ ჰუკი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეთინ ჯენკინსი, 2. ჰიუ ბენეტი, 3. პაულ ჯეიმზი. 4. ბრედლი დევისი, 5. ლუკ ჩარტერისი, 6. დენ ლიდიატი, 7. ტობი ფალეტაუ, 8. რაიან ჯოუნზი.**

**16. ლოიდ ბარნსი, 17. რაიან ბევინგტონი, 18. ალან-ვინ ჯოუნზი, 19. ენდი პოუელი, 20. ლოიდ ვილიამსი, 21. სტივენ ჯოუნზი, 22. სკოტ ვილიამსი.**

ვებ ელისის ექო

# მარტინ ჯონსონი გზაგასაყარზე

ინგლისის რაგბის კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **მარტინ ტომასმა** „პომების“ თავკაც **მარტინ ჯონსონს** შესთავაზა, მომავალი კვირის ბოლომდე გადაწყვიტოს, დარჩება თუ არა ეროვნული ნაკრების მესაჭედ.

ალსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების მსოფლიოს თასზე გამოსვლა ცალსახად უარყოფითად იყო შეფასებული. „პომების“ შესაძლო წარუმატებელი გამოსვლა მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ლეგენდარულმა ინგლისელმა მორაგბემ **ლოურენს დალალიომ** იწინასწარმეტყველა. *„ეს გუნდი მზად არ არის ვებ ელისის თასი მოიგოს“*, - თქვა მაშინ მრავლისმნახველმა მესამეხაზელმა.

ამის მიუხედავად, ინგლისის რაგბის კავშირში მიაჩნიათ, რომ ნაკრებს ისევ მარტინ ჯონსონი უნდა წვრთნიდეს. თუმცა, მას კონტრაქტი წლის ბოლოს უმთავრდება და მხოლოდ ჯონსონზეა დამოკიდებული, განაგრძობს თუ არა ეროვნულ გუნდში მუშაობას.

შეგახსენებთ, რომ მომავალი მსოფლიოს თასის გათამაშება 2015 წელს სწორედ ინგლისში გაიმართება, რაც „პომების“ წარმატების შანსს საგრძნობლად ზრდის.

*„არ მინდა, ისე გაიგონ, თითქოს მარტინ ჯონსონს ულტიმატუმს ვუყენებდე. მას შეუძლია, იმდენ ხანს იფიქროს, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის. მე ყოველთვის მხარს ვუჭერდი მარტინს და ახლაც მიმაჩნია, რომ ნაკრებს მან უნდა უხელმძღვანელოს“*, - თქვა მარტინ ტომასმა.

თუმცა სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს აღნიშნულთან დაკავშირებით ინგლისური რაგბის კიდევ ერთ ლეგენდას - **უილ კარლინგს.**

*„ვფიქრობ, „ჯონო“ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. თუ ის ნაკრებში დარჩება, მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო შეილახება. ის მეტად ლოიალური ადამიანია და ძალიან გაუჭირდა გუნდის თავგასული მოთამაშეების დამორჩილება.*

*ცხადია, „ჯონოს“ გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილს ვერ დაუკარგავ. ის დიდი მორაგბე და გუნდის კაპიტანი იყო. თუ მისი მოღვაწეობის ბოლო სამ წელიწადს განვიხილავთ, საამაყო ბევრი არაფერი აქვს“*, - თქვა უილ კარლინგმა.

# ნათან შარპის ასიანი

ავსტრალიის ნაკრების მეორეხაზელი **ნათან შარპი** პარასკევს ოქლენდში უელსის ნაკრებთან გასამართ მესამე ადგილისთვის მატჩში, ეროვნული ნაკრების კვართს მეასედ მოირგებს.

ბურთით ნათან შარპი



33 წლის ვეტერანმა ტრავმის გამო ვერ შეძლო ნახევარფინალში ახალი ზელანდიის წინააღმდეგ მატჩში თავისიანებს დახმარებოდა. მის ნაცვლად „ოლ ბლექს“ ნაკრების ახალწვეული **რობ საიმონსი** დაუპირისპირდა. თუმცა „ვოლაბების“ ყოფილი კაპიტანი ამჯერად თამაშს ნამდვილად შეძლებს, მით უფრო, რომ მეორეხაზელი **დენ ვიკერმანი** დაშავდა და გუნდს ვერაფრით დაეხმარება.

შარპის დებიუტი ავსტრალიის ნაკრებში 2002 წელს საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში შედგა და მას შემდეგ „ვოლაბების“ ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრი იყო. ავსტრალიის ეროვნული გუნდის უკანახაზელს, **ადამ-ეშლი კუპერს** მიაჩნია, რომ მისი მეგობრის ეს მიღწევა გუნდს დამატებით მოტივაციას სძენს.

*„ეს უდიდესი მიღწევაა. არ ვიცი, თვითონ რას გრძნობს, მაგრამ მე ნამდვილად აღფრთოვანებული ვარ. ძალიან მინდა უელსთან მატჩში მის გვერდით ვითამაშო. ის ხომ მეხუთე ავსტრალიელია, ვისაც ჩვენი ქვეყნის ნაკრების კვართი ასჯერ და მეტჯერ მოურგია.*

*იმის გარდა, რომ ნათანი დიდი მორაგბეა, ის შესანიშნავი მეგობარიცაა, რომელიც მზად არის ნებისმიერ დროს დაგეხმაროს. ამიტომ, მისი წარმატება ძალიან მიხარია“*, - თქვა ადამ-ეშლი კუპერმა.

შეიძლება ითქვას, რომ ნათან შარპს გაუმართლა კიდეც, რადგან ვიკერმანმა „ოლ ბელქსთან“ მატჩში მხართან ერთად ცხვირიც დაიზიანა და თამაშს ვერაფრით შეძლებს. მის გარდა „ვოლაბებს“ დააკლდებათ ტრავმებული შერკინების კვაჭი **სტივენ მური,** ბურჯი **სეკოპე კეპუ** და შუამარბი **პეტ მაკკები.**



# ახალი ურთიერთობა დიმიტრი იაშვილთან

საფრანგეთის ნაკრები კვირას ოქლენდში მსოფლიოს თასის ფინალში ახალი ზელანდიის ნაკრებს დაუპირისპირდება. „ლე ბლოს“ მთავარ მწვრთნელს **მარკ ლიევრემონს**, ცხადია, ახლა თამამად შეუძლია იამაყოს იმ ექსპერიმენტით, რომელიც მან მსოფლიოს თასის მსვლელობისას წამოიწყო.

მარკმა მართლაც ძალიან გარისკა. მან ცხრა ნომერი **მორგან პარა** მგეზავად გაამწესა. ამით ქართული წარმოშობის ცხრა ნომერ **დიმიტრი იაშვილს** საშუალება მიეცა, ძირითადში ადგილი დაემკვიდრებინა. ეს დუეტი თამაშიდან - თამაშამდე სულ უფრო უკეთ გამოიყურება.

*„ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ, საკუთარ მოსაზრებებს ვუზიარებთ ერთმანეთს. ამან შედეგი გამოიღო. ინგლისთან გამარჯვებამ კი თავდაჯერებულობა შეგვძინა.“* - თქვა „იაშიმ“

ყოფილი კონკურენტები ახლა მოკავშირეები გახდნენ. ლიევრმონს ძალიან უხაროდა, რადგან პარას მგეზავად გადაყვანამ იაშვილს ყველანაირი კომპლექსი მოუხსნა და ამ მორაგბემ თავისი პოტენციალის სრულად წარმოჩენა შეძლო.

*„როცა კონკურენტები ვიყავით, ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებდით. ამჯერად ჩვენი ურთიერთობა რადიკალურად განსხვავებულია, ჩვენ ერთად ვმუშაობთ და ყველაფერი წესრიგშია“*, - აღნიშნა მორგან პარამ.

ალსანიშნავია, რომ იაშვილი და პარა ამჟამად ტრავმირებულნი არიან და ვარჯიშს მხოლოდ ხუთშაბათს განაახლებენ. პარას კისერი სტკივა და გუშინ მხოლოდ მსუბუქად რბენით დაკმაყოფილდა. იაშვილს კი, რომელმაც ნახევარფინალში უელსის ნაკრებთან თავიდან ბოლომდე ითამაშა, მარცხენა თეძო ისევ აწუხებს და დასვენება სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

კალათბურთი


კევინ გარნეტი

# დამნაშავე გარნეტი ყოფილა

გუშინ, გვიან ღამით ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადამწყვეტი შეხვედრა უნდა გამართულიყო კლუბების მფლობელებსა და მოთამაშეთა პროფკავშირს შორის. ბოლო ინფორმაციის თანახმად, რომელსაც CBS Sports აქვეყნებს, კალათბურთელები მზად არიან შეამცირონ საკუთარი წილი საერთო შემოსავლიდან. შეგახსენებთ, რომ ძველი კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით მოთამაშეები საერთო შემოსავლის 57 პროცენტს იღებდნენ, მაგრამ ასეთი სიტუაცია ხელს არ აძლევდათ კლუბების მფლობელებს.

მოლაპარაკებების დროს მოთამაშეებმა ეს მაჩვენებელი 53 პროცენტამდე დაიყვანეს და ახლა, მზად არიან კიდევ უფრო დაუწიონ თამასას.

■ ■ ■

დაპირისპირებული მხარეები ურთიერთბრალდებებსაც არ ივიწყებენ. NBA-ის ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ბოლო მოლაპარაკებებზე ნეგატიური გავლენა იქონია "ბოსტონ სელტიქსის" ლიდერმა **კევინ გარნეტმა.**

ლიგის ერთ-ერთი ფუნქციონერის აზრით, კალათბურთელი 4 ოქტომბრის სხდომის დროს გამომწვევად იქცეოდა და არ სურდა კომპრომისზე წასვლა.

*"მოლაპარაკებები წარმატებით მიდიოდა იქამდე, სანამ დარბაზში გარნეტი არ შემოვიდა"*, - ამბობს ლიგის ერთ-ერთი წარმომადგენელი Yahoo! Sports-თან ინტერვიუში.

■ ■ ■

ერთ-ერთმა ინკოგნიტო აგენტმა კი ივარაუდა, რომ NBA-ის კომისარ **დევიდ სტერნს** ძალიან უნდა ლოკაუტის შობამდე დასრულება. ამის მიზეზად უცნობი წყარო საერთაშორისო ტელევიზიებსა და ასოციაციას შორის გაფორმებულ კონტრაქტებს ასახელებს. ცნობილია, რომ NBA-ის საშობაო თამაშებში უცხოური ტელეარხები ყველაზე დიდ ფულს იხდიან და თუ ეს შეხვედრები არ გაიმართა, მაშინ ლიგის იმიჯი სერიოზულად დაზარალდება.

*„სტერნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ლოკაუტი შობისთვის დასრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიგა აუნაზღაურებელ ზარალს ნახავს"*, - ამბობს აგენტი.

# ვირტუსი დანებდა: კობი ბოლონიაში არ იქნება

ბოლონიას „ვირტუსის" მფლობელმა **კლაუდიო საბატინიმ** აღიარა, რომ „ლეიკერსის" ვარსკვლავ **კობი ბრაიანტის** აგენტთან - **რობ პელინკასთან** მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა და აღარ აპირებს NBA-ის ვარსკვლავის ტრანსფერზე მუშაობას.

საბატინის თქმით, მოთამაშის მიერ წამოყენებული ფინანსური მოთხოვნები და ყოფითი პირობები ძალიან გადაჭარბებულია და კლუბს მისი შესრულება არ შეუძლია.

ასე რომ, „ვირტუსის" შეფი დღეს სპეციალურ პრესკონფერენციას მოიწვევს და გამოაცხადებს, რომ კობი ბრაიანტი არ ითამაშებს მის კუთვნილ კლუბში.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულიდან მოყოლებული ბოლონიური კლუბი ბრაიანტის გაფორმებას ცდილობდა და კონტრაქტის სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობდა კალათბურთელს: სრული სეზონი, ლოკაუტის ბოლომდე თამაში, სამი მატჩი, ერთი მატჩი, ტურნირი ვარსკვლავების მონაწილეობით... ბოლო შეთავაზება იყო ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობა, მაგრამ ამერიკული მხარის მოთხოვნებმა იტალიურ კლუბს მოლაპარაკებების ხალისი გაუქრო.


კობი ბრაიანტი

ევროლიგა

# არმია ფავორიტებში ჩაეწერა

ევროლიგის ახალი სეზონი საბჭოთა პერიოდის ორი დაუძინებელი მტრის - კაუნასის "ჟალგირისისა" და მოსკოვის ცსკა-ს მატჩით გაიხსნა.

შარშანდელი სეზონის ჩაგდების შემდეგ არმიულმა კლუბმა დიდძალი თანხა დახარჯა შემადგენლობის გასაძლიერებლად. **ტეოდოშიჩი, კრსტიჩი, ლავრინოვიჩი, კირილენკო, ხრიაპა** - ასეთი შენაძენის ფონზე კაუნასელთა ახალწვეულები - **ტაი ლოუსონი, სონი უიმსი** და **რობერტას იავტოკასი,** უბრალოდ ჩრდილში მოექცნენ.

"ჟალგირისის" ბერძენმა მწვრთნელმა **ელიას ცუროსმა** თავის ოპონენტს **იონას კაზლაუსკასს** ზონური დაცვა შესთავაზა, მაგრამ ამ სვლამ არ გაამართლა. კირილენკო, **შვედი** და **შიშკაუსკასი** მეთოდურად აგდებდნენ სამქულიანებს, თუ ზონური დაცვის გარღვევას ვერ ახერხებდნენ, გენიალური მილოშ ტეოდოშიჩი პასებით ამარაგებდა ცენტრებს.

ცსკა დამაჯერებლად აკონტროლებდა თამაშს და მხოლოდ ერთი ჩავარდნა ჰქონდა მეორე მეოთხედის შუაში. ლოუსონისა და **მარკო პოპოვიჩის** დუეტმა გააქტიურეს "ჟალგირისის" თამაში უკანა ხაზზე, იავტოკასმა და კომპანიამ კი სამწამიანში უპირატესობა მოუტანეს საკუთარ გუნდს. შედეგად, "ჟალგირისმა" თითქმის გააბათილა ათქულიანი ჩამორჩენა და მაქსიმალურად მიუახლოვდა არმიელებს. მაგრამ, როგორც კი ცუროსი ზონურ დაცვას დაუბრუნდა, სტუმრებმა მაშინვე დაიბრუნეს კომფორტული 10-12-ქულიანი უპირატესობა.

შეტევის გარდა, მოსკოველები შესანიშნავად მოქმედებდნენ დაცვაში. კირილენკოს მოედანზე ყოფნამ ცსკა-ს დაცვა პრაქტიკულად გაუვალი გახადა. "იუტა ჯაზის" ყოფილ ფორვარდს უკვე მესამე მეოთხედის შუაში ორმაგი დუბლი ჰქონდა გაფორმებული. კარგი მონაკვეთი ჰქონდა კრსტიჩს, შემდეგ კი ზედიზედ ხუთი ქულა ჩააგდო შვედმა და სწორედ მან სხვაობა 12-ქულიანი გახადა - 44:58.


ანდრეი კირილენკო

და მივიღეთ ის, რომ სტუმართა კარგად აწყობილ თამაშს ლიტველებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. მასპინძლები ცდილობდნენ ანგარიშის შემცირებას და რაღაც მომენტებში თითქმის გამოუვიდათ ეს, მაგრამ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. 74:87 - ცსკა-მ გამარჯვებით დაიწყო ახალი სეზონი და თან ისეთი თამაში აჩვენა, რომ მაშინვე ტურნირის მთავარ ფავორიტებში ჩაეწერა. სხვა საქმეა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ NBA-ში სეზონი დაიწყება და კირილენკო ოკეანის გაღმა გაემგზავრება. ამ კითხვაზე ჯერ ადრეა პასუხი.

**B ჯგუფი**

**ჟალგირისი-ცსკა 74:87**

**16:25, 15:19, 21:23, 22:20**

ჟ: კოლინზი (18+4 პასი), უიმსი (16+6 მოხსნა), პოპოვიჩი (8), ლოუსონი (7), დელინინკაიტისი (6), იანკუნასი (4+5 მოხსნა), იავტოკასი (4), კუზმინსკასი (4), კალნიეტისი (3), რაკოვიჩი (2), კლიმავიჩუსი (2).

ც: შვედი (19), კირილენკო (17+15 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), ტეოდოშიჩი (14+8 პასი), კრსტიჩი (12+6 მოხსნა), დ. ლავრინოვიჩი (12), შიშკაუსკასი (5), ხრიაპა (5+6 მოხსნა+4 პასი).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ზვიგენები სტუმრებს არ ინდობენ


ფლორიდამ შვიდი გაიტანა

ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარული ჩემპიონატი ხუთი მატჩით გაგრძელდა და მორიგი სათამაშო დღის გამორჩეული მოვლენა გახდა "ვინიპეგ ჯეტსის" პირველი გამარჯვება ლიგაში მას შემდეგ, რაც ეს გუნდი ქალაქ ატლანტადან კანადაში გადაბარგდა.

"ჯეტსმა" პირველი სამი სასტარტო შეხვედრა წააგო საერთო ანგარიშით - 5:13. ამიტომაც კანადელები მაქსიმალურად მობილიზებულები და მონდომებულები შეხვდნენ "პიტსბურთან" საშინაო შეხვედრას.

მაყურებელს გოლის დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. სასტარტო ჩაგდების შემდეგ "პინგვინების" მცველი **ზბინეკ მიხალეკი** მოულოდნელად დაეცა და მასპინძლებმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვეს. **უელვუდმა ბურმისტროვის** პასით მერვე წამზე გახსნა ანგარიში!

მასპინძლები არ მოდუნდნენ და პერიოდის ბოლოს კიდევ ერთი შედეგიანი შეტევა გამოუვიდათ. ბურმისტროვმა კარგად იბრძოლა შაიბისთვის და ისეთი პასი მისცა **გენერ გლესს**, რომ გოლის არგატანა დიდი ცოდვა იქნებოდა.

რა თქმა უნდა, სტუმრები არ დანებდნენ და მეორე პერიოდში ერთი გოლი გაუტანეს **პაველეცს**. შედეგიანი დარტყმა ჩაიწერა აქტივში პირველი წამების "გმირმა" მიხალეკმა. მაგრამ პაველეცმა მეტის გაკეთების უფლება არ მისცა "პინგვინებს". "ჯეტსის" მეკარემ რამდენიმე ეფექტური სეივი განახორციელა და თავის გუნდს სეზონში პირველად მოაგებინა.

■ ■ ■

"კოლორადომ" სტუმრად მოუგო "ტორონტოს". ამ მატჩამდე გუნდები კარგი განწყობით მივიდნენ. ტორონტოელებმა სამიდან სამი მატჩი მოიგეს, "კოლორადომ" ერთი შეხვედრა წააგო, მაგრამ შემდეგ ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვა. პირველი ორი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ამის ლოგიკური გამოხატულება იყო ანგარიში - 2:2. მესამე პერიოდში კი ინიციატივას "ტორონტო" დაეუფლა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც გაუშვეს ხელიდან გამარჯვება. მოგებას "კოლორადომ" ოვერტაიმში მიაღწია. ასე რომ, "ტორონტომ" სეზონში პირველი თამაში წააგო.

"ფლორიდამ" ისევ მოუგო "ტამპა ბეის", ამჯერად სტუმრად - 7:4. "ტამპასთვის" ეს უკვე ზედიზედ მეხუთე მარცხი იყო. თანაც, ამ მატჩებში **გი ბუშეს** გუნდმა 23 შაიბა გაუშვა. გუნდებმა ყოველ პერიოდში უხვგოლიანი თამაშით გაახარეს მაყურებელი. ორმხრივ იერიშებში უფრო წარმატებული სტუმრები აღმოჩნდნენ. "პანტერების" რიგებში გამოირჩეოდნენ **კრის ვერსტიგი** (2+2), **სტივენ უაისი** (2+2) და **ბრაიან კემპბელი** (0+4).

"ედმონტონმა" შინ აჯობა "ნეშვილს" - 3:1. ორივე გუნდმა მოკრძალებული ჰოკეი აჩვენა, მაგრამ სტუმრები უარესად გამოიყურებოდნენ. რთულია გამარჯვებაზე ფიქრი, როცა კარში მხოლოდ 12 ზუსტ დარტყმას ასრულებ. "მენავთობეები" უფრო ხშირად უტევდნენ და სამი შაიბა მიითვალეს. ამჯერად წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი** მხოლოდ ერთი საგოლე პასით შემოიფარგლა.

"ანაჰაიმმა" სტუმრად დაამარცხა "სან ხოსე" - 3:2. "ზვიგენები" "იხვებზე" უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ სასტარტო პერიოდში **ტეემუ სელიანეს** ორმა შაიბამ მასპინძლებს ცხოვრება გაურთულა. ზვიგენები" ბევრს ეცადნენ, მაგრამ მეტოქის დაწევა ვერ შეძლეს. "შარქსს" მწყობრში დაბრუნებულმა მეკარემ **ანტი ნიემიმაც** ვერ უშველა.

### ფაქტები

- "ანაჰაიმმა" ხუთი სასტარტო შეხვედრიდან ოთხი მოიგო - ეს სეზონის საუკეთესო დასაწყისია "იხვებისთვის" 2006-07 წლების შემდეგ.

- "ედმონტონის" დებიუტანტმა **რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსმა** NHL-ში პირველი საგოლე პასი შეასრულა.

- "კოლორადომ" ზედიზედ ხუთი გასვლითი მატჩი მოიგო, რითაც საკლუბო რეკორდი დაამყარა.

**ტორონტო-კოლორადო 2:3**

**0:0, 1:2, 1:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 კესელი-6, 1:1 ვინიკი-2 (ო'რაილი-5, ჰეიდა-3), 1:2 ჰეიდუკი-3 (ე. ჯონსონი-5, პ. შჩასტნი-3), 2:2 კულემინი-1 (ფანოფი-3, მაკარტური-1), 2:3 დ. ჯონსი-4 (ქუინსი-2).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 4:7**

**2:2, 1:2, 1:3**

**გოლები:** 0:1 კოპეცკი-1 (ჯოვანოვსკი-1, ბ. კემპბელი-4), 1:1 პურსელი-2 (შენონი-3, მ-ა. ბერჟერონი-4), 2:1 ჰედმანი-1 (ა. ჰოლი-1, ტომპსონი-2), 2:2 უეისი-2 (კულიკოვი-2, ბ. კემპბელი-5), 2:3 ვერსტიგი-2 (უეისი-2, ბ. კემპბელი-6), 2:4 ბერგენჰაიმი-1, 3:4 ლეკავალიე-2 (მ-ა. ბერჟერონი-5, გილროი-1), 3:5 ვერსტიგი-3 (ფლიშმანი-2, უეისი-3), 4:5 სტემკოსი-2 (გილროი-2, მ-ა. ბერჟერონი-6), 4:6 უეისი-3 (ვერსტიგი-3, ჯოვანოვსკი-2), 4:7 გარისონი-2 (ბ. კემპბელი-7, ვერსტიგი-4).

**ვინიპეგი-პიტსბურგი 2:1**

**2:0, 0:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 უელვუდი-2 (ბურმისტროვი-2, ანტროპოვი-1), 2:0 გლესი-1 (ბურმისტროვი-3), 2:1 ზ. მიხალეკი-1 (ლეტანგი-6, კუკი-1).

**ედმონტონი-ნეშვილი 3:1**

**0:0, 0:1, 3:0**

**გოლები:** 0:1 ს. კოსტიცინი-1 (კლაინი-2), 1:1 ტ. ჰოლი-1 (ნაჯენტ-ჰოპკინსი-1, ჰორკოფი-1), 2:1 რ. სმიტი-2 (ჰორკოფი-2), 3:1 რ. ჯონსი-1 (ჰორკოფი-3, რ. სმიტი-1).

**სან ხოსე-ანაჰაიმი 2:3**

**0:2, 1:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 სელიანე-1 (ს. კოივუ-1, ვიშნოვსკი-1), 0:2 სელიანე-2 (ს. კოივუ-2, მაკმილანი-2), 1:2 ვლასიჩი-1 (ტ. მიტჩელი-3, დ. მიურეი-1), 1:3 პერი-2 (ლიდმანი-1), 2:3 ბერნსი-2 (ჯ. ტორნტონი-1, დ. ბოილი-2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ავტოსპორტი

# ტრაგედიის ექო


ნაიჯელ მენსელი

ბრიტანული პრესა აქტიურად განიხილავს ინდიკარის რბოლაში მომხდარ ავარიას, რომელმაც ამ სერიის ყოფილი ჩემპიონის **დენ უელდონის** დალუპვა გამოიწვია. ფორმულა 1-ის ლეგენდა **ნაიჯელ მენსელი** ეთანხმება **ჯოდი შექტერის** აზრს, რომელსაც სურს, რომ მისმა ვაჟმა მიატოვოს ამერიკული სერია უელდონის დალუპვის შემდეგ...

ნაიჯელ მენსელი: *"ფორმულა 1-ის უსაფრთხოება - მაგალითი უნდა იყოს ინდიკარისთვის. ტრასაზე აუცილებელია უსაფრთხოების ზონები, რომელიც პილოტს ინციდენტის შემთხვევაში სიჩქარის დაკლების საშუალებას მისცემს. ოვალურ ტრასებზე კი არსად წასასვლელი არ არის - პატარა ინციდენტმა შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ წამის მეასედებში პილოტი ბეტონის კედელს შეასკდება იქამდე, სანამ რამეს გააცნობიერებს.*

*ვეთანხმები შექტერს - საათში 350 კილომეტრი სიჩქარით მოძრავი 34 მანქანა კილომეტრნახევრიან ტრასაზე - ეს მეტისმეტია. როცა ტრასაზე ამდენი მანქანაა, პატარა შეცდომამ, შესაძლოა, კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს".*

ფორმულა 1-ში უსაფრთხოებისთვის მებრძოლი, სერ **ჯეკი სტიუარტი** ასევე მიიჩნევს, რომ ამერიკულ სერიებში უსაფრთხოების სტანდარტებია შესაცვლელი.

ჯეკი სტიუარტი: "როცა მე ვმონაწილეობდი რბოლებში, პილოტების შეჯახება დიდი იშვიათობა იყო, რადგან ნებისმიერ კონტაქტს შეიძლება ფატალური შედეგი მოჰყოლოდა, მაგრამ დღეს კონტაქტური ბრძოლა ჩვეულებრივი ამბავია და ეს გადამჭრელი მოქმედებისკენ მოწოდება უნდა იყოს.

ეს ავარია და მისი შედეგები კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ რისკი ძალიან მაღალია. ხელმძღვანელობამ სიტუაცია კონტროლს უნდა დაუქვემდებაროს - პილოტები სერიოზულად უნდა დაისაჯონ ერთმანეთთან კონტაქტის გამო".

● ფორმულა 1. კორეის გრანპრის შემდეგ

# ტრადიციული სტატისტიკა

**ტრადიციულად,** ყოველი ეტაპის შემდეგ ცნობილმა საენციკლოპედიო ბაზა Forix-მა საგულისხმო სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა.

## სებასტიან ფეტელის მიღწევები

კორეაში **სებასტიან ფეტელმა** მოიგო მეოცე რბოლა კარიერაში და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **მიკა ჰაკინენს**. ეს პილოტები ყველა დროის სიაში მეთორმეტე-მეცამეტე ადგილებს იყოფენ.

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 91 |
| 2. ალან პროსტი | 51 |
| 3. აირტონ სენა | 41 |
| 4. ნაიჯელ მენსელი | 31 |
| 5. ფერნანდო ალონსო | 27 |
| 6. ჯეკი სტიუარტი | 27 |
| 7. ჯიმ კლარკი | 25 |
| 8. ნიკი ლაუდა | 25 |
| 9. ხუან-მანუელ ფანხიო | 24 |
| 10. ნელსონ პიკე | 23 |
| 11. დეიმონ ჰილი | 22 |
| 12. მიკა ჰაკინენი | 20 |
| 12. სებასტიან ფეტელი | 20 |

- კორეაში სებასტიანმა მეთხუთმეტედ აიღო სტარტი სასტარტო ბილიკის პირველი რიგიდან. რეკორდი - სეზონში 16 სტარტი პირველი რიგიდან - სამ პილოტს ეკუთვნის: ბრაზილიელ **აირტონ სენას** (1989), ფრანგ **ალენ პროსტსა** (1993) და ბრიტანელ **დეიმონ ჰილს** (1996).

- ფეტელი სეზონში მეთხუთმეტედ ავიდა პოდიუმზე და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა გერმანელი **მიხაელ შუმახერისა** (2004) და ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** (2005) მაჩვენებლებს. აბსოლუტური რეკორდი იმავე შუმახერს ეკუთვნის - 17 პოდიუმი 2002 წლის სეზონში.

## კვალიფიკაცია

- ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** შეწყვიტა 26-რბოლიანი სერია, რომლის დროსაც ის ვერ ახერხებდა პოულის მოპოვებას. ამით ლუისმა შეაჩერა "რედ ბულის" პილოტების სერია, რომელიც ხანგრძლიობით მესამეა ისტორიაში - ზედიზედ 16 გამარჯვება კვალიფიკაციაში. რეკორდი ეკუთვნის "უილიამსს" - ზედიზედ 24 პოული. მეორე ადგილზეა "მაკლარენი" - 17 პოული ზედიზედ.

- ბოლო ოთხი რბოლიდან სამში ბრიტანელმა **ჯენსონ ბატონმა** მესამე სასტარტო პოზიცია მოიპოვა.

- ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** კვალიფიკაციაში აჯობა ფერნანდო ალონსოს. მანამდე ესპანელმა ბრაზილიელი ზედიზედ 16-ჯერ დაამარცხა.

- მეშვიდედ ამ სეზონში გერმანელმა **ნიკო როსბერგმა** სტარტი აიღო მეექვსე პოზიციიდან - "რედ ბულის", "მაკლარენისა" და "ფერარის" პილოტების უკან.

## რბოლა

- წლევანდელი ჩემპიონატის მსვლელობისას, სებასტიან ფეტელმა მხოლოდ მეორედ გაიარა საუკეთესო წრე. ეს მისი მერვე საუკეთესო წრეა კარიერაში.

- ბოლო ექვსი გრანპრის განმავლობაში ჯენსონ ბატონმა პირველად ვერ შეძლო პოდიუმზე ასვლა, ლუის ჰემილტონმა კი პირიქით, ბოლო ექვს რბოლაში პირველად შეაღწია საუკეთესო სამეულში.

- ავსტრალიელმა **მარკ უებერმა** დაამყარა ახალი რეკორდი სეზონის მსვლელობისას მესამე ადგილების რაოდენობით - კორეაში ავსტრალიელმა მეშვიდედ დაიკავა პოდიუმის მესამე საფეხური. წინა რეკორდი - ექვსი მესამე ადგილი ეკუთვნოდა ავსტრიელ **გერჰარდ ბერგერსა** (1995) და ჯენსონ ბატონს (2004).

- ფინიში მეხუთე ადგილზე - უარესი შედეგია ფერნანდო ალონსოსთვის ბოლო ცხრა რბოლის განმავლობაში, ხოლო მეექვსე ადგილი ფელიპე მასასთვის - საუკეთესო შედეგი ამავე პერიოდში.

- ფინიშზე მეშვიდე ადგილზე მისვლით ესპანელმა **ხაიმე ალგერსუარიმ** გაიმეორა კარიერაში საუკეთესო შედეგი, რომელსაც მან წელს მონცაში მიაღწია. მეოთხედ ამ სეზონში "ტორო როსოს" ორივე პილოტი მოხვდა ქულათა ზონაში.

- ზუსტად ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც "რედ ბულის" ბოლიდი ბოლოჯერ გამოეთიშა ბრძოლას ტექნიკური მიზეზის გამო - 2010 წელს კორეის გრანპრიზე ფეტელი ძრავის დაზიანების გამო ჩამოშორდა ეტაპს.

- იაპონელმა **კამუი კობაიაშიმ** ზედიზედ მეექვსე რბოლაში ვერ შეძლო ქულების დაგროვება, რითაც თავისი ყველაზე უილბლო სერია გაიმეორა. შარშან "ზაუბერის" ორივე პილოტმა დააგროვა ქულები, ამჯერად კი მხოლოდ მე-15 და მე-16 ადგილზე გავიდნენ.

- ფელიპე მასამ კარიერაში 150-ე გრანპრი ჩაატარა, მაგრამ უკვე ზუსტად ერთი წელია ბრაზილიელი პოდიუმზე არ ასულა. შარშან კორეაში ფელიპემ პოდიუმზე მოხვედრა შეძლო.

- "რედ ბულმა" ზედიზედ მეორედ მოიპოვა კონსტრუქტორთა თასი. ბოლო ათი წლის განმავლობაში ყველა გუნდი, გარდა "ბრაუნ გრანპრისა", მინიმუმ ზედიზედ ორი წელი ეუფლებოდა ამ თასს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


კორეის გრანპრი

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 17** | |
| გერმანია-სლოვაკეთი | 2:0 |
| ესტონეთი-ალბანეთი | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| რეინჯერსი-ლივერპული | 1:0 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბარნსლი-ბარნლი | 2:0 |
| იფსვიჩი-პორტსმუთი | 1:0 |
| ლიდსი-ქოვენთრი | 1:1 |
| მილუოლი-ბრაიტონი | 1:1 |
| ნოტინგემი-მიდლსბრო | 2:0 |
| პიტერბრო-კარდიფი | 4:3 |
| კრ. პალასი-ბრისტოლი | 1:0 |
| რიდინგი-დერბი | 2:2 |
| **კონფერენცი** | |
| ალფრეტონი-ფლიტვუდი | 1:4 |
| ბეთი-სტოკპორტი | 0:2 |
| დარლინგტონი-ბაროუ | 0:1 |
| ებსფლიტი-გრიმსბი | 3:1 |
| ფორესტ გრინი-ტელფორდი | 2:1 |
| გეიტშიდი-საუთპორტი | 2:3 |
| კიდერმინსტერი-ბრენტრი | 5:4 |
| ლინკოლნი-მენსფილდი | 1:1 |
| ლუტონი-რექსჰემი | 0:1 |
| ნიუპორტი-კეტერინგი | 3:1 |
| ტამუორტი-ჰეიესი | 2:1 |
| იორკი-კემბრიჯი | 2:2 |
| **შოტლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| დამბარტონი-ალბიონი | 2:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| ბანიკი-სლოვაცკო | 0:0 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| კოშიცე-მორავცე | 2:2 |
| ტრნავა-ბისტრიცა | 1:2 |
| ჟილინა-ტატრანი | 2:1 |
| **პოლონეთის თასი** | |
| გრიფი-გურნიკი | 1:0 |
| პოდბესკიჯი-შლიონსკი | 0:1 |
| **სლოვენიის თასი** | |
| რუდარი-ნოვა გორიცა | 2:1 |
| **ბულგარეთი** | |
| კალიაკრა-ჩერნო მორე | 0:5 |
| **ესტონეთი** | |
| კალიუ-ვიილანდი | 3:0 |
| ლევადია-პაიდე | 0:1 |
| ტამეკა-ფლორა | 0:0 |
| **ვენესუელა** | |
| რეალ ესპორი-ლანეროსი | 3:2 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-სევერსტალი | 2:3 |
| სიბირი-ვიტიაზი | 4:0 |
| ს. იულიაევი-ლევ-პოპრადი | 6:5 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (მნ) | 2:3 (ო) |
| სკა-ბარისი | 4:3 (ო) |
| აკ ბარსი-ცსკა | 3:2 (ო) |
| დინამო (რ)-ტრაქტორი | 1:3 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ჰერლევი | 3:2 |
| ჰერნინგი-ესბერგი | 4:1 |
| სონდერიისკი-ოდენსე | 5:3 |
| ფრედრიკშავნი-ოლბორგი | 4:5 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-ვოლერენგა | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:4 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კალპა | 0:1 |
| კერპეტი-ჰიფკ | 3:6 |
| პელიკანსი-საიპა | 6:2 |
| ტპს-ტაპარა | 2:1 |
| ესეტი-ჰპკ | 5:1 |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-პარდუბიცე | 3:2 (ბ) |
| ბოლესლავი-კარლოვი ვარი | 4:1 |
| პლზენი-ლიბერეცი | 4:1 |
| ტრშინეცი-ვიტკოვიცე | 2:3 (ბ) |
| სლავია-სპარტა | 1:0 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| სერვეტი-ბილი | 3:2 (ო) |
| ფრიბურგი-ბერნი | 3:2 (ბ) |
| ციურიხი-კლოტენი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ვექსიო | 3:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მოსკოვი** | |
| შარდი-სტარაჩე | 6:3, 6:7, 7:6 |
| სტახოვსკი-ბერერი | 2:6, 4:6 |
| ბოგომოლოვი-ლაოვიჩი | 3:6, 6:3, 6:4 |
| რამოსი-ტურსუნოვი | 6:7, 4:6 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| კამკე-რობრედო | 6:2, 6:3 |
| ნიემინენი-კოპილი | 6:3, 7:6 |
| დოდიგი-მანარინო | 7:6, 7:6 |
| ანდერსონი-გარსია ლოპესი | 7:6, 7:6 |
| ბლეიკი-ო. როხუსი | 7:6, 6:3 |
| ნალბანდიანი-მალისე | 4:6, 7:6, 7:6 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| იაკიმოვა-კადანტუ | 1:6, 4:6 |
| ბრიანტი-ტატიშვილი | 6:3, 1:6, 6:3 |
| ნიკულესკუ-კნაპი | 6:7, 7:5, 7:6 |
| ჰანტუხოვა-ჰრადეცკა | 7:6, 5:7, 1:6 |
| მარინო-პავლიუჩენკოვა | 1:6, 6:3, 6:3 |
| გორჯესი-ბალტაჩა | 7:5, 6:1 |
| კეოტავონგი-მინელა | 6:3, 1:6, 6:3 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| ზაკოპალოვა-სავჩუკი | 6:3, 6:1 |
| პერვაკი-ვოსკობოევა | 7:5, 6:4 |
| კუზნეცოვა-კორნე | 6:3, 6:3 |
| იანკოვიჩი-ივანოვა | 4:6, 6:1, 4:6 |

● TV პროგრამა

### 19 ოქტომბერი. ოთხშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. ბაიერნი-ჰერტა.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტური. ლაციო-რომა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. X ტური. რენი-ლორიანი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VII ტური. ბარსელონა-რასინგი.
**00:00** სუპერკოლაჟი.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**01:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტულუზა-მარსელი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ბელგრანო.
**17:00** სუპერკოლაჟი.
**17:20** ცურვა. მსოფლიოს თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**19:30** ახალი ამბები.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-უდინეზე.
**22:30** კალათბურთი. ევროლიგა. 2010 – 2011. მონტეპასკი-რეალი.
**00:15** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**10:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
**12:30** ახალი ამბები.
**13:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი - ტოტენჰემი
**15:00** ახალი ამბები.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

**I არხი**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლევერკუზენი-ვალენსია (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შახტარი-ზენიტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მარსელი-არსენალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE-ტრანსლიაცია. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მილანი-ბატე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**10:30** WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
**18:00** WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**16:55** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ქალები. უგმკ-ბურჟე (LIVE).
**19:55** ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. უნიქსი-მონტეპასკი (LIVE).

**SPORT+**

**18:40** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ზენიტი-ფრიდრიხშავენი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლევერკუზენი-ვალენსია (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:00** ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ისევ სპორტისა და მილიონების შესახებ

**ამერიკულ** ჟურნალ Earning Curve-ში საინტერესო სტატია გამოქვეყნდა იმის შესახებ, რატომ არის ჩოგბურთში სხვა სათამაშო სახეობებთან შედარებით ნაკლები ჰონორარები და რატომ აპირებენ ჩოგბურთელები ახალი პროფკავშირის შექმნას.


გასოლი და ნადალი: მდიდარი და ღარიბი

შრომითი უთანხმოება და სპორტი - ეს თემა ბევრს არ უყვარს. ფანები ხშირად მიიჩნევენ სპორტსმენებს ხარბ ადამიანებად, უფრო მკაცრ შეფასებას კი მათი დამქირავებლები იმსახურებენ.

ჭორების თანახმად, მამაკაცთა საჩოგბურთო სამყარომ, შესაძლოა, ბუნტი წამოიწყოს. არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეიქმნება მოთამაშეთა ახალი პროფკავშირი.

აშშ-ში ამის შესახებ ბევრს არ ლაპარაკობენ, რადგან იქ სპორტის ეს სახეობა მეორე პლანზეა გადასული - როგორც ჩანს, იქ ჩოგბურთის პოპულარობას კვალი დააჩნია იმან, რომ ამერიკელ მამაკაცებს რვა წელია „დიდი სლემის" ტურნირი არ მოუგიათ.

უცნაურია, მაგრამ ეს ორი სიტუაცია, შესაძლოა, რაღაცნაირად უკავშირდება ერთმანეთს. რატომ სურთ საუკეთესო მოთამაშეებს გაერთიანება? რატომ ეძებენ აშშ-ში ასე მონდომებით ტოპ-მოთამაშეებს? როგორც აგენტები ამბობენ: საქმე ფულს ეხება.

1985 წელს **ივან ლენდლმა** სეზონი პირველი ნომრის რანგში დაასრულა და 1.9 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. თუ იმ პერიოდის გუნდურ სახეობებს შევადარებთ, ლენდლი მეორე იყო შემოსავლებით ბეისბოლისტებს შორის (**მაიკლ შმიდტი**: 2.1 მილიონი წელიწადში) და მეოთხე კალათბურთელებს შორის (**მეჯიქ ჯონსონი**: 2.5 მილიონი, **მოზეს მელოუნი**: 2.1 მილიონი, **ქარიმ აბულ-ჯაბარი**: 2 მილიონი).

დღეს ეს დაუჯერებლად ჩანს, მაგრამ ლენდლმა მაშინ უფრო მეტი გამოიმუშავა, ვიდრე NFL-ის ყველაზე მაღალანაზღაურებადმა ფეხბურთელმა, სუპერბოულის MVP-მ და სკანდალისტმა **ჯო მონტანამ** (1.3 მილიონი). ლენდლმა თითქმის ორჯერ მეტი შემოსავალი მიიღო, ვიდრე NHL-ის ლეგენდა **უეინ გრეტცკიმ** (825 ათასი).

ეს იყო ამერიკელების ეპოქა: **ჯიმი კონორსი** და **ჯონ მაკინროი** ეკონომიკური თვალსაზრისით პრაქტიკულად თანასწორნი იყვნენ სპორტის სხვა სახეობების ვარსკვლავებთან.

1984 წელს მაკინროის ფინანსურმა რეკორდმა 2 მილიონ დოლარს მიაღწია. დაუმატეთ ამას უპირატესობა, რომელსაც ინდივიდუალური სახეობების სპორტსმენებს აძლევს სარეკლამო კონტრაქტები.

**პიტ სამპრასის, ანდრე აგასის, ჯიმ კურიესა** და **მაიკლ ჩანგის** (იმ დროს ისინი საუკეთესო იუნიორები იყვნენ) თაობა ასოცირდებოდა ჟურნალების ყდებთან და უამრავი ბრენდის რეკლამასთან.

გადმოვინაცვლოთ 2010-ში, როცა **რაფაელ ნადალი** პირველი ჩოგანი გახდა და მისი ვარსკვლავური სეზონის შემდეგ (მოიგო „დიდი სლემის" სამი ჩემპიონატი, სულ - შვიდი ტურნირი) შემოსავალმა 10 მილიონ დოლარს გადააჭარბა. მართალია, ეს შთამბეჭდავი ციფრი იყო, მაგრამ ნადალი ამ მაჩვენებლით საუკეთესო 25-ს შორის ვერ მოხვდებოდა ვერც ბეისბოლისტებს, ვერც კალათბურთელებსა და ვერც ჰოკეისტებს შორის.

სპორტის ამ სახეობებში მოთამაშეები დაახლოებით 20-30 მილიონს იღებენ. რაფას თანამემამულემ და სარეკლამო პარტნიორმა **პაუ გასოლმა** 15 მილიონი გამოიმუშავა, არადა, პაუ „მეორე ვიოლინოა" „ლეიკერსში" **კობი ბრაინტის** შემდეგ.

■ ■ ■

10-მილიონიანი ზღვარი ბეისბოლში პირველად 13 წლის წინ გადალახეს - ეს გააკეთა ფანების კერპმა **ალბერტ ბელმა**.

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ლენდლი 1985 წელს მიღებული ჰონორარით დღეს ATP-ის ათ ყველაზე მაღალანაზღაურებად ჩოგბურთელს შორის მოხვდებოდა.

1985 წელს სათამაშო სახეობებში ყველაზე მდიდარი სპორტსმენები დღეს თავიანთ ლიგებში გვერდით ვერ დაუდგებოდნენ საშუალო ხელფასის მქონე მოთამაშეებს.

ნადალის შემოსავალს NHL-ის მოთამაშეების ანაზღაურებას თუ შევადარებთ, მაგრამ ჰოკეიში მიღებულია მოთამაშეების შემოსავლებზე კონტროლი. ცალკეული ჰოკეისტი საერთო მოგების მხოლოდ გარკვეულ პროცენტს იღებს, ეს კი მთელ ლიგაში თანხის მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილების გარანტია გახლავთ. 2010 წელს NHL-ში საშუალო ხელფასი 2.4 მილიონი დოლარი იყო, რაც ATP-ის შემოსავლების რეიტინგში მერვე ადგილის შესაბამისია.

NHL-ის ჰოკეისტის მინიმალურ ხელფასს - 500 ათას დოლარს - ATP-ში მხოლოდ 61-მა ჩოგბურთელმა მიაღწია.

ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კონტრაქტი სპორტსმენს თამაშის ხარისხის მიუხედავად ხელფასის გარანტიას აძლევს, არ აქვს ხარჯი ვარჯიშებსა და მოგზაურობაზე და ხანგრძლივი არდადეგებიც გააჩნია, მაშინ უფსკრული უფრო ღრმად მოგვეჩვენება.

■ ■ ■

შესაძლოა, ჩოგბურთთან უფრო იოლი შესადარებელი იყოს გოლფი. ორივეგან არ არსებობს გარანტირებული კონტრაქტი და სპორტსმენები საკუთარი თავის იმედად არიან. 1985 წელს **კერტის სტრენჯი** PGA-ის რეიტინგს სათავეში 542 ათასი დოლარით ჩაუდგა. ლენდლთან შედარებით, ის „ლატაკი" იყო.

შემდეგ გოლფში გამოჩნდა ვინმე **ტაიგერ ვუდსი**. უდიდესმა პოპულარობამ და ოფიციანტი ქალებისადმი სისუსტემ მთავარი სპონსორებისგან და სატელევიზიო კონტრაქტებიდან უდიდესი შემოსავალი მოუტანა. ვუდსმა რამდენჯერმე დაასრულა სეზონი 10-მილიონიანი შემოსავლით.

მაგრამ ვუდსის ტრავმამ და სექსუალურმა სკანდალებმა PGA-ის ტური 2010 წელს ყველაზე პოპულარული მოთამაშის გარეშე დატოვა.

**მეტ კუჩარმა** 4.9 მილიონი საპრიზო ჰონორარი მიიღო, რაც 100 ათასით მეტია **ჯიმ ფარიკის** შემოსავალზე. მიუხედავად ამისა, ფარიკი საკმარისად კარგად თამაშობდა იმისთვის, რომ მოეგო FedEx Cup-ის სერია, რომელიც წლის განმავლობაში გარკვეულ ტურნირებზე მეგოლფეთა შედეგებს ითვალისწინებს. ამისთვის მან 10 მილიონი დოლარი მიიღო.

მართალია, ამ თანხას ოფიციალური ჰონორარების დათვლისას არ ითვალისწინებენ, მაგრამ გამოდის, რომ ფარიკმა 2010 წელს თითქმის 15 მილიონი მიიღო ისე, რომ არც ერთი „მეიჯორი" არ მოუგია.

როცა ვუდსმა ორჯერ მოიგო FedEx Cup (დაარსებიდან ხუთი წლის შემდეგ), მისმა წლიურმა შემოსავალმა 21 მილიონ დოლარს მიაღწია.

ცოტა ხნის წინ ამერიკელმა ჩოგბურთელმა **მერდი ფიშმა** თავის „ტვიტერზე" დაწერა: *„ათი მილიონი FedEx Cup-ის მოგებისთვის. ასეთი რამ აფუჭებს სპორტს"*. 11-წლიანი კარიერის განმავლობაში ფიშმა ექვს მილიონზე ოდნავ მეტი გამოიმუშავა - ერთად აღებული ერთეულთა და წყვილთა თანრიგში თამაშისთვის.

გოლფში მხოლოდ საუკეთესო მოთამაშეები არ იღებენ დიდ თანხებს: აქ უკეთ მოგების განაწილებასთან გვექვს საქმე. 2010 წელს ATP-ში ოცმა მოთამაშემ გამოიმუშავა მილიონი დოლარი, იმ დროს, როცა 95-მა მეგოლფემ მიაღწია შვიდნიშნა რიცხვს.

და ნუ იფიქრებთ, რომ ჩოგბურთში ფული რეიტინგში დაბლა მყოფ მოთამაშეებს იმიტომ არ მისდით, რომ საუკეთესოები ისაკუთრებენ ყველაფერს. 2007 წელს ტაიგერმა დაახლოებით 11 მილიონი გამოიმუშავა, მაგრამ 99-მა მოთამაშემ მაინც მიიღო ერთი მილიონი.

ასე რომ, ეკონომიკური ზრდის მხრივ, აქ მოყვანილი რიცხვები უსიამოვნო სურათს ქმნის.

ჩოგბურთი მომხიბვლელი არ არის სატელევიზიო კონტრაქტების გასაფორმებლად და ესეც გარკვეულ როლს თამაშობს, მაგრამ მოთამაშეთა გაერთიანებას შეუძლია გავლენა იქონიოს შემოსავლების განაწილებაზე.

წლევანდელ აშშ-ის ღია პირველობაზე გამოცხადდა, რომ მოთამაშეებმა ტურნირის შემოსავლის მხოლოდ 13 პროცენტი მიიღეს.

NFL-ის მოთამაშეთა საბჭომ ამას წინათ მიღწეული კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით კლუბების მფლობელებს საერთო მოგების 50 პროცენტი გამოსცატა.

ბავშვობიდანვე ჩოგბურთში მეცადინეობა ძალიან ძვირი ჯდება და ამ მხრივ ეს, ალბათ, ყველაზე მდიდარი სახეობაა. ბევრს მიაჩნია, რომ აქ ფულის დაბანდება დიდ რისკს უკავშირდება და ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს.

12 წლის ჩოგბურთელი, შესაძლოა, არ ფიქრობს ანაზღაურებაზე, მაგრამ მისი მშობლები სწორედ ფინანსურ მოგებაზე ოცნებობენ. და ჩოგბურთის ნებისმიერ მწვრთნელი დაგიდასტურებთ, რომ „მარიფათიანი" მშობლისა თუ მფარველის გარეშე რთულია მწვერვალის მიღწევა.

გარდა ამისა, დღეს ბავშვები საკმაოდ წინდახედულნი არიან. მათ ესმით, რომ სპორტი დიდი ბიზნესია და ხშირად ფულის სიყვარული თამაშის სიყვარულზე მაღლა დგას.

ფორმულა 1


ინდოეთის ავტოდრომი

# ინდოეთი გაიხსნა

გუშინ ოფიციალურად გაიხსნა ინდური ავტოდრომი - Buddh International Circuit, რომელიც უკვე მზად არის წლევანდელი ჩემპიონატის მონაწილეების მისაღებად. მშენებლობა 300 მილიონი ევრო დაჯდა და ის დაახლოებით სამი წელი გრძელდებოდა.

**სამირ გაური**, Jaypee Sports International (JSPI)-ის აღმასრულებელი დირექტორი: *„ასეთი მასშტაბური სპორტული ნაგებობების აშენება ყოველთვის ძვირი ჯდება, მაგრამ ეროვნული ავტოდრომის შექმნა ბევრის მოთხოვნა იყო. ამიტომაც ჩვენ შევადგინეთ მრავალწლიანი პერსპექტიული პროგრამა და მოუთმენლად ველით ინდოეთის სადებიუტო გრანპრის.*

*ბევრი სარბოლო სერიის ხელმძღვანელობასთან გვაქვს მოლაპარაკება და გვინდა მაქსიმალურად დავტვირთოთ ავტომობილი სპორტული თუ კულტურული აქციებით"*.

ახალ ტრასაზე პირველი წრე ინდური წარმოშობის შვეიცარიელმა ნილ იანიმ გაიარა „რედ ბულის" ბოლიდით. მოკლე სესიის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტრეკის კონფიგურაცია მართლაც ჩქაროსნული გამოვიდა.

# შიშველი ტამარა

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის ბერნი ექლსტოუნის ქალიშვილმა - **ტამარა ექლსტოუნმა** უცნაურ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ამ ექსტრავაგანტულმა ქალბატონმა შიშველი ფოტოები გადაიღო მილიონი ფუნტი სტერლინგის ფონზე.

როგორც გაზეთი The Sun წერს, ჰოლივუდის ცნობილმა ფოტოგრაფმა **ტაილერ შილდსმა** 27 წლის ტამარას ეროტიკულ ფოტოსესიაში მონაწილეობა შესთავაზა. ფოტოგრაფის ჩანაფიქრი იმაში მდგომარეობდა, რომ მოდელს ქაღალდის ფულზე მწოლიარეს უნდა მოეხდინა თავისი სხეულის დემონსტრირება.

მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მილიონი ფუნტი სტერლინგი. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ შილდსს ასეთი ფული არ ჰქონდა, მაგრამ ტამარა ექლსტოუნი ისე მოიხიბლა მოდური ფოტოგრაფის იდეით, რომ თავად გამოყო საჭირო თანხა.

გადაღებებს შემდეგ ტამარა ექლსტოუნმა განაცხადა რომ „ფოტოსესიამ კომფორტულ გარემოში ჩაიარა" და მაქსიმალურად დასვენებაც მოასწრო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ტამარა ექლსტოუნის ფოტოსესია